საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
10 ნოემბერი შაბათი 2012 №267 (13 873) ფასი 80 თეთრი

# ორი დიდი დერბი

აქეთ იმერული — ზესტაფონი-ქუთაისი

იქით რომაული — ლაციო-რომა



ქუთაისში დიდი ჯახი იქნება
ფოტო: www.fctorpedo.ge



## კვირას ყველა გზა რომში მიდის

ლაციო - რომა

8-9



ლელოს ცენტრი
მანუჩარ მესხიძე

## სხვა რა გითხრათ, სულ ოპოზიციაში ვიყავი

3



## ქუთაისმა დინამოს მაინც მოუგო, ოღონდ კალათბურთში

გუშინდელი გამარჯვებით ქუთაისელები პირველ ადგილზე გადავიდნენ

13

## თუ მაგარი ხარ, გამოდი და სამართლიან არჩევნებში თავისთავად ივარგე!

გოჩა ჯამარაული ზვიად სიჭინავას უპირისპირდება



4

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები

# ირაკლი ქობალიას ეროვნულში დაუძახეს


ირაკლი ქობალია

14 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები შინ ეგვიპტეს უმასპინძლებს. საამხანაგოდ გამოძახებულთა სიას ჯერ ხუთი ფეხბურთელი გამოაკლდა, გუნდის დამრიგებელმა **თემურ ქეცბაიამ** ხუთიდან ხუთ მოუძებნა შემცვლელი, ერთ-ერთი გორის "დილას" ნახევარმცველი **ზურაბ არზიანი** გახლდათ, თუმცა გუშინ ცნობილი გახდა, რომ ისიც ვერ შეძლებს ეგვიპტესთან თამაშს ტრავმის გამო.

ქეცბაიას კიდევ ერთი შემცვლელის მოძებნა მოუხდა და ნაკრებში "ზუგდიდის" თავდამსხმელს **ირაკლი ქობალიას** უხმო.

საპასპორტო მონაცემებით 20 წლის ქობალია აგრესიული, ალღოიანი თავდამსხმელია, უთამაშია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში. მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში ხუთი გოლი აქვს გატანილი.

**დავით თავართქილაძე**

სიახლე

# ჩვენ და დილა

გასული სეზონი გორის „დილას" ისტორიაში, უდავოდ, საუკეთესო იყო: გუნდმა პირველი ტიტულიც მოიპოვა (საქართველოს თასი) და საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაშიც საუკეთესო შედეგი აჩვენა (V ადგილი დაიკავა). თუმცა, ამჯერად ყველა წინაპირობაა შექმნილი, რომ „დილამ" წინა სეზონის მიღწევები გააუმჯობესოს: ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელის და დღესდღეობით უკვე კვალიფიციური მწვრთნელის, **გიორგი დარასელიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდი ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მოიაზრება. იმასაც შეგახსენებთ, რომ „დილა" თავის მართლაც შთამბეჭდავ სერიას აგრძელებს — მთავარ მწვრთნელად დარასელიას დანიშვნის შემდეგ გუნდმა ზედიზედ 9 მატჩი მოიგო! „დილას" მორიგი მატჩი ხვალ აქვს, გუშინ კი გუნდმა, ჩვეულებისამებრ, საგურამოს ბაზაზე ივარჯიშა; მაგრამ ვიდრე ვარჯიში დაიწყებოდა, გუნდის ხელმძღვანელობამ, სამწვრთნელო შტაბმა და ფეხბურთელებმა, საგურამოს საწვრთნელი ბაზის („ლოკომოტივის" პრეზიდენტს **ლექსო თოფურიას** მადლობის მეტი არაფერი ეთქმის, ამ ბაზას დღემდე ასე რომ მზრუნველობს) საპრესკონფერენციო დარბაზში მოიყარეს თავი. ჰო, სტუმრიანობა იყო გუშინ საგურამოში: „დილას" მენეჯერის **გია ისიანისა** და ამ კლუბის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის **ფრიდონ კერვალიშვილის** მართლაც მშვენიერ იდეას ქართული მედიის მხრიდანაც ადეკვატური „პასუხი" მოჰყვა! ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, იმას მოგახსენებთ, რომ ამიერიდან „დილა" და ქართული მედიის რამდენიმე საშუალება ერთმანეთთან მჭიდროდ ითანამშრომლებენ. უფრო მეტიც: სწორედ გუშინდელი დღიდან საინფორმაციო სააგენტო „მსოფლიო სპორტი", ვებგვერდი geosport.ge, რადიო „სტარ-FM" და გაზეთი „ლელო" გორის კლუბის საინფორმაციო მხარდამჭერები გახდნენ. ისე, გია ისიანისა და „დილას" დირექტორის, **ზურაბ დალაქიშვილისგან** სხვა საინტერესო სიახლეებიც შევიტყვეთ; მაგალითად, კლუბს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო რომ აფინანსებდა, ეს პროექტი ამჟამად შეჩერებული ყოფილა და სულ მალე გორის „დილას" ორი სოლიდურზე-სოლიდური სპონსორი ეყოლება (შვეიცარიიდან და ავსტრიიდან); ამას გარდა, გაგვაცნეს გორის სტადიონზე მიმდინარე სამუშაოების შესახებაც და განსაკუთრებით, ჟურნალისტებისთვის შექმნილ კომფორტულ გარემოს გაუსვეს ხაზი!..

**გია ტუხაშვილი**


ფოტო: www.worldsport.ge

ამბავი

# ჟორდანია, ახალკაცი, ნემსაძე: ფედერაციის საპატიო პრეზიდენტები?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ბოლო შეკრებაზე, ფეხბურთის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტის წოდების შემოღების საკითხი განიხილეს. მხოლოდ ზოგადად ითქვა, რომ ეს ბევრ ქვეყანაში მიღებული პრაქტიკაა და მსგავსი პოსტი ფიფასა და უეფაშიც შემოიღეს.

*"საპატიო პრეზიდენტი უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ფეხბურთის განვითარებაში. საპატიო პრეზიდენტს საშუალება ექნება, ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად, ჩვენი ქვეყანა წარმოადგინოს ფიფასა და უეფაში. ასევე, დაესწროს აღმასკომის სხდომებს, ყრილობებს"* – ვკითხულობთ ფედერაციის გავრცელებულ პრეს-რელიზში.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სფფ-ს საპატიო პრეზიდენტის პოსტი შესთავაზეს ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტებს **მერაბ ჟორდანიასა** და უმცროს **ნოდარ ახალკაცს,** აგრეთვე **გიორგი ნემსაძეს**. მათ ექნებათ უფლებამოსილება, წარმოადგინონ სფფ და მისი სახელით აწარმოონ მოლაპარაკება.

ამას გარდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტის ტიტული გარდაცვალების შემდეგ მიენიჭება უფროს **ნოდარ ახალკაცს.**

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

**ხანგრძლივი** უცხოური კარიერის შემდეგ, ზურაბ მენთეშაშვილი საქართველოს გასული წლის დასაწყისში დაუბრუნდა და "ზესტაფონთან" კონტრაქტი გააფორმა, თუმცა ტრავმის გამო წელიწადი გაუცდა და ფეროელთა შემადგენლობაში დებიუტი ძალიან დაუგვიანდა. 32 წლის ნახევარმცველმა საზარდულის ოპერაცია თბილისში გაიკეთა და ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. განმეორებითი ქირურგიული ჩარევა ბელგიაში გახდა საჭირო და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი მისი მოედანზე დაბრუნება.

## ზურაბ მენთეშაშვილი

# ყველა ტიტულზე მაღლა ნაკრები დგას

"ზესტაფონში" დიდი ენთუზიაზმით ჩამოვედი, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმამ დიდი ხნის განმავლობაში უქმად დამტოვა. საბედნიეროდ, ყველა უსიამოვნება წარსულს ჩაჰბარდა და ახლა მეძლევა იმის საშუალება, რომ კლუბის გულშემატკივრებს, ხელმძღვანელობასა და სამწვრთნელო შტაბს ნდობა ჩემი მონდომებული თამაშით გავუმართლო", - ამბობს მენთეშაშვილი.

მისთვის "ზესტაფონთან" დაკავშირებული საუკეთესო მოგონება საქართველოს ჩემპიონობაა, ყველაზე ცუდი კი – ჩემპიონთა ლიგაში განცდილი წარუმატებლობა: "ძალიან მძიმედ მახსენდება "ნეფთჩისთან" განცდილი მარცხი. ევროტურნირებს ყველა მოუთმენლად ველოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, იმედები გაგვიცრუვდა და ჩემპიონთა ლიგას ნაადრევად გამოვეთიშეთ. დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალ სეზონში ევროარენაზე უფრო შედეგიანად გამოვალთ".

რაც შეეხება მიმდინარე მიზნებს, იმის მიუხედავად, რომ "ზესტაფონი" საქართველოს ჩემპიონატში დღეისთვის მხოლოდ მეექვსე ადგილზეა და ლიდერს ცხრა ქულით ჩამორჩება, ზურას მიაჩნია, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა სავსებით რეალურია: "ჯერ სეზონის ნახევარიც არ გასულა და პროგნოზების გაკეთება ნაადრევია, თუმცა იმის მიუხედავად, რომ დღეს სხვა გუნდები ლიდერობენ, ვფიქრობ, რომ ჩემპიონობის ძალა შეგვწევს. მოქმედი ჩემპიონები ვართ და ტიტულის შენარჩუნების შანსიც გვაქვს. დღეს საქართველოს ჩემპიონატში არ არის ისეთი კლუბი, რომელიც სხვებს ორი-სამი თავით აღემატება. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საქართველოს ჩემპიონატს გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს".

საკუთარი სათამაშო ფორმით მენთეშაშვილი ბოლომდე კმაყოფილი არ არის და მიაჩნია, რომ შეუძლია, "ზესტაფონისთვის" უფრო სასარგებლოც იყოს. ტრავმებით გამოწვეულმა იძულებითმა პაუზამ მის კონდიციებს დაღი დაასვა, თუმცა მენთეშაშვილი ოპტიმალურ ფორმამდე მისვლას უახლოესი პერიოდისთვის ვარაუდობს.

"მატჩიდან მატჩამდე საკუთარ თავს პროგრესს ვატყობ და მალე ავთამაშდები იმ დონეზე, როგორისკენაც მივისწრაფვი. მოხარული ვარ, რომ "ზესტაფონმაც" დაძლია რთული პერიოდი და გუნდსაც აშკარად ეტყობა უკეთესობა. აშკარად არ შეგვეფერება ის პოზიცია, რაც ამჟამად გვიკავია სატურნირო ცხრილში და დიდი იმედი მაქვს, რომ ეტაპობრივად ზემოთკენ ავინაცვლებთ".

არის თუ არა იოლი საზღვარგარეთის ქვეყნებში ცხოვრების შემდეგ საქართველოში დაბრუნება? ამ კითხვაზე მენთეშაშვილს ასეთი პასუხი აქვს: "ევროპაში მართლაც განსხვავებული საფეხბურთო და საცხოვრებელი პირობებია და საქართველოში დაბრუნებული ფეხბურთელისთვის აქაურობასთან ხელახლა შეგუება მართლაც რთულია, მაგრამ ფეხბურთი ჩემი სამუშაოა და მზად ვარ, მთლიანად საქმეზე ვიყო კონცენტრირებული. ყველა ყოფით პრობლემას "ზესტაფონში" შექმნილი სამუშაო გარემო მავიწყებს. აქ ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს და ამ გუნდში ყოფნა ძალიან მსიამოვნებს. მოხარული ვარ, რომ სამწვრთნელო შტაბი სრულად მენდობა და საშუალებას მაძლევს, "ზესტაფონს" ჩემი გამოცდილება მოვახმარო. შემთხვევით ვისარგებლებ და მადლობას გადავუხდი წინა სამწვრთნელო შტაბსაც, რომლისგანაც არანაკლებ თანადგომას ვგრძნობდი".

"ალანია", "სკონტო", "შინიკი", "ვენტსპილსი", თელ ავივის "ჰაპოელი" – ეს ის უცხოური კლუბებია, რომელთა ღირსებაც მენთეშაშვილს სხვადასხვა დროს დაუცავს. მიაჩნია, რომ აქედან ყველაზე წარმატებული პერიოდი "ჰაპოელში" გაატარა, რომლის შემადგენლობაშიც ისრაელის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა.

თუმცა მისთვის საკლუბოზე უფრო მნიშვნელოვანი ყოველთვის სანაკრებო კარიერა იყო: "ჩემპიონთა ლიგა არ მომიგია და მსოფლიოს ჩემპიონატი, მქონდა გარკვეული მიღწევები. თუმცა ვერც ერთ საკლუბო ტიტულს ვერ შევადარებ იმ განცდას, რაც საქართველოს ნაკრებში თამაშისას მქონდა. ჩემი კარიერის ყველაზე დიდ მიღწევად სწორედ იმას მივიჩნევ, რომ საქართველოს ნაკრების წევრი ვიყავი და მქონდა პატივი, ჩემი ქვეყნის ღირსება დამეცვა, მოედანზე მისი ჰიმნი მემღერა. ყოველთვის კარგად ვაცნობიერებდი, თუ რაოდენ დიდი პატივი იყო ეს ჩემთვის და იმის მიუხედავად, რომ ჩვენს ნაკრებს განსაკუთრებული წარმატებისთვის არასდროს მიუღწევია, ქართველი გულშემატკივრების წინაშე პირნათელი ვარ, რადგან მოედანზე თავი არასდროს დამიზოგავს".

საუკეთესო სანაკრებო მოგონებად კი ზურას თბილისში შოტლანდიელთა დამარცხება მიაჩნია, ასევე სიამოვნებით იხსენებს იტალიელთა წინააღმდეგ გამართულ მატჩებს. ეროვნულ გუნდში დაბრუნებაზე ხელი არ ჩაუქნევია და ცდილობს, ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება კვლავ დაიმსახუროს.


ზურაბ მენთეშაშვილი (№18) ფოტო: www.fczestafoni.ge

რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების მატჩებს ყურადღებით ადევნებს თვალს: "საქართველოს ნაკრებში ჩემს დროსაც ბევრი პრობლემა იყო და ახლაც ასეა, თუმცა ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ და ბრძოლა განვაგრძოთ. ამჟამინდელ გუნდში ვხედავ პროგრესის გარკვეულ წინაპირობას და იმედია, მალე ეს შედეგებშიც აისახება".

აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ფიქრობს და თუ ტრავმებმა ხელი არ შეუშალა, ფეხბურთის თამაშს კიდევ რამდენიმე სეზონის განმავლობაში აპირებს. ჯერ არ იცის, "ზესტაფონი" მისი ბოლო კლუბი იქნება თუ არა, თუმცა სხვაგან წასვლაზე ამჟამად არ ფიქრობს.

რაც შეეხება უფრო შორეული მომავალს, მწვრთნელობას არ გამორიცხავს, ის კი ზუსტად იცის, რომ საქმიანობას ფეხბურთში განაგრძობს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# ლევან ყენია: ეს უკვე წარსულია...

ლვოვის "კარპატის" ნახევარმცველი **ლევან ყენია** საუკეთესო ფორმას უახლოვდება, რამდენიმე შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა და უკრაინული მედიის ყურადღებაც დაიმსახურა.

"სპორტ-ექსპრესთან" ინტერვიუში საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა ბევრი საინტერესო ამბავი გაიხსენა.

*"ორი წელიწადი ვერ ვთამაშობდი, შეკრებაც არ გამივლია და ბევრი მუშაობა მჭირდება. ალბათ, სათანადო ფიზიკურ კონდიციებში ჯერ მაინც არ ვარ. ფეხბურთს მიღმა დარჩენილს ფორმის შენარჩუნებაში Playstation-ზე თამაში "მეხმარებოდა". პრესაში სიმართლე ინერებოდა, თუ რატომ ჩაიშალა "ზენიტში" ჩემი გადასვლა. როგორც მივხვდი, ლუჩანო სპალეტისა და ზოგიერთ მოთამაშეს გუნდში ჩემი მისვლა არ სურდათ და თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი. მოთამაშეთა გვარებს არ დავასახელებ, რადგან ეს უკვე წარსულია. წარმოდგენა არ მაქვს, რა იყო ასეთი დამოკიდებულების მიზეზი... "კარპატის" გარდა, კარიერის გაგრძელების სხვა ვარიანტებიც მქონდა, მაგრამ ძალიან მიხარია, სწორედ ლვოვში რომ აღმოვჩნდი. მადლობა მთავარ მწვრთნელს, ნიკოლაი კოსტოვს, რომელიც მენდო... 20-ნომრიანი მაისური პრინციპულად არ ამირჩევია. მთავარია,*



*30 არ იყოს, რადგან ჩემთვის უიღბლოა - ამ ნომრით "შალკეში" სერიოზული ტრავმა მივიღე"* – ამბობს ყენია.

მცირე ხნის წინ, "შალკეს" ყოფილმა თავდამსხმელმა **კევინ კურანიმ** რუსულ მედიაში გაიხსენა, რომ გუნდის ყოფილ მთავარ მწვრთნელს **ფელიქს მაგათს** სასტიკი და უცნაური ვარჯიშები ჰქონდა, რომ ერთხელ ფეხბურთელები შუაღამის დადგომამდეც კი ავარჯიშა. ქართველ ლეგიონერი ამბობს, რომ კურანის უცნაური არაფერი მოუყოლია: *"კურანი მართალს ამბობდა, რადგან მაგათი ძალიან მკაცრი მწვრთნელია. ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია დღეში სამჯერ მომქანცველი ვარჯიში. სანამ ვთამაშობდი, მაგათთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა. თუმცა, ტრავმის შემდეგ, გუნდისთვის უსარგებლო რომ ვიყავი, ურთიერთობა გაგვიფუჭდა".*

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის "სიკვდილის ჯგუფში" საქართველოს ნაკრების შანსებს კი ყენია სკეპტიკურად უყურებს და ამბობს, რომ "ჯვაროსნებს" ძალიან გაუჭირდებათ – ვინ შეედავება?

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელოს სტუმარი

## მანუჩარ მაჩაიძე

# ფეხბურთი ასინქრონული თამაშია

**ჩვენი სტუმარი ლეგენდარული მანუჩარ მაჩაიძე გახლავთ. ბედნიერი ვარ იმით, რომ ბუნდოვნად მაინც მახსოვს ამ არაჩვეულებრივი ფეხბურთელის თამაში. ბურთის ფლობა, დრიბლინგი, თამაშის გამწვავება, უძლიერესი დარტყმა - მანუჩარ მაჩაიძე თბილისის «დინამოს" ნამდვილი ლიდერი იყო.**

**ჩვენთან არ არის იმის კულტურა, რომ სათანადოდ დააფასონ ის ხალხი, ვინც საფეხბურთო მოედნებზე დიდ და საოცარ საქმეებს აკეთებდა. მანუჩარ მაჩაიძე ისეთი ფეხბურთელი იყო, რომ მას ვერავის შეადარებ, მხოლოდ მას შეეძლო ბურთის ისე შენარჩუნება, რომ რამდენიმე მეტოქე ძვრას ვერ უზამდა მის ფეხზე მიკრულ მრგვალ საგანს...**

**მანუჩარ მაჩაიძემ დიდი ფეხბურთელი გახლდათ და ეს საკამათო არავისთვის არ არის...**



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**- როგორც სახელოვანი ვეტერანი, რას გრძნობთ საზოგადოებისგან? რამდენად დაფასებული ადამიანი ხართ საქართველოში?**

- მახსოვს, ერთხელ ინდონეზიაში გვქონდა ტურნე, ძალიან ძლიერ გუნდებს ვეთამაშეთ, ტურნირის ორგანიზატორებმა კუთვნილი საპრიზო თანხა გადმოგვცეს. დავითვალეთ და აღმოჩნდა, რომ 400 ათასი დოლარი იყო. ფული მოსკოვში ჩავიტანეთ, თანხას ათი დოლარი აკლდა და ამის გამო ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი კინაღამ დაიჭირეს. ჩვენ, "დინამოს" ფეხბურთელებს კი პრემიის სახით 40-40 დოლარი დაგვირიგეს - ასე იყო მაშინ. მერე კი, როცა ვეტერანები გავხდით, 90-იან წლებში თბილისის მერ ნიკო ლეკიშვილს ვთხოვეთ, რომ "დინამოს" სტადიონის ტერიტორიაზე ვეტერანებისთვისაც დაერთო ნება მაღაზიების გასახსნებლად. ჩვენი თხოვნა გაიზიარეს. სახელმწიფოს გადასახადს ვუხდიდით და პურის ფულიც გვქონდა. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა მოვიდა, ეს მაღაზიები ჩამოგვართვეს, არადა ეს ზოგი ყოფილი დინამოელისთვის არსებობის ერთადერთი საშუალება იყო. ახლა ეს ტერიტორია "დინამოს" პრეზიდენტს რომან ფიფიას გადასცეს და თურმე ახლა უკვე ნებადართულია სტადიონის ტერიტორიაზე მაღაზიების ფუნქციონირება...ჩვენი უფლებების დასაცავად სასამართლოში ვაპირებთ ჩივილს. ამ სტადიონზე ბევრი ოფლი გვაქვს დაღვრილი, მაშინდელ "დინამოს" ბილეთების რეალიზაციით მილიონები მოჰქონდა სახელმწიფოსთვის და თურმე სხვისთვის შეიძლება იქ მაღაზიების გახსნა, ჩვენთვის კი - არა.

**- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ან რომელიმე აქაურ საფეხბურთო კლუბს არ შეუთავაზებია თქვენთვის სამსახური?**

- არა, ასეთი შემოთავაზება არასდროს ყოფილა, არადა ყოველთვის მქონდა იმის სურვილი, რომ ქართულ ფეხბურთში მეკეთებინა საქმე. როცა პარლამენტის დეპუტატი ვიყავი, მაშინაც მსურდა საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელობა, მაგრამ ისეთ მაფიას წავაწყდი, რომელსაც ვერ მოვერიე... 35-ე სკოლის ძველ ტერიტორიაზე ვაპირებდი ამ სკოლის აღორძინებას, მაგრამ სპორტკომიტეტმა ეს ტერიტორია ვინმე ლეჟავას მისცა, ნოდარ ახალკაცის სახელობის საფეხბურთო სკოლა, "21-ე საუკუნე" უნდა ჩამოაყალიბოსო. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ ახლა იქ ბაზარია.

**- მანუჩარ მაჩაიძეს ახალი თაობის ქართველი ფეხბურთელები არ მოსწონს - რას ეტყოდით მათ, ვინც ამას ამბობს?**

- ფეხბურთი სპორტია და აქ ყველაფერს შედეგი განაპირობებს და არა ვიზუალური მხარე. თუ მართლა ნიჭიერი ხარ, შედეგიც უნდა გქონდეს. ვეტერანებს აბრალებენ იმას, რომ მხოლოდ საკუთარი თავი მოსწონთ ფეხბურთში და მომდევნო თაობებს არ აფასებენო. ჩვენს ნაკრებსა და კლუბებს რა შედეგებიც აქვთ, მოგწონთ ამის ყურება?! ამასწინათ ვუყურე ორი მოწინავე ქართული გუნდის მატჩს, ისეთი ნიუანსები დავინახე, რასაც ყველა ვერ დააფიქსირებს. სად ჩვენ, უბრალო ხალხი რომ მოვუსმენთ მუსიკას და სად - კომპოზიტორი, რომელიც სულ სხვანაირად აღიქვამს მუსიკას. მიმაჩნია, რომ ჩვენი ფეხბურთელები მოუმზადებლები არიან როცა წლობით თამაშობ ფეხბურთს და მაინც არაბუნებრივ მოძრაობას აკეთებ, ბურთს ვერ იმორჩილებ, არ იცი, რა მანძილზე გაიგდო ბურთი, სხვა რა უნდა ვთქვა?! როცა დრიბლინგს აპირებ, ყველაფერი სანტიმეტრებში და მეათედ წამებში უნდა გქონდეს გათვლილი, დროს და დისტანციას უნდა გრძნობდე, - თუ ეს არ გაქვს, ისე როგორ ითამაშებ ფეხბურთს?! ყველაფერ ამაზე მუშაობა ბავშვობიდან უნდა იწყებოდეს. საფეხბურთო სკოლაში გაკვეთილების ჩატარება მინდოდა და ამის საშუალებაც კი არ მომცეს. როცა ამა თუ იმ პიროვნებაზეა დამოკიდებული საქმე, ამიტომაც ვართ ასეთ დღეში. ავთანდილ ღოღობერიძე "ლოკომოტივიდან" ნოდარ ახალკაცმა გაუშვა, ფეხბურთი არ იცისო. ბასა ამ ამბავს გადაჰყვა. ფეხბურთი ჩვენთან ყოველთვის პოლიტიკას უკავშირდებოდა. კომუნისტები, მოქალაქეთა კავშირი, ნაციონალური მოძრაობა - რამეს იტყოდი და სულ დევნაში იყავი. ვინც მუშაობდა ქართულ ფეხბურთში, მათ უნდა აგონ პასუხი ყველაფერზე. ბატე მიუნხენის "ბაიერნს" ამარცხებს, ქართული კლუბები კი ამ დროს რა დონეზე არიან?!

> **...სხვა რა გითხრათ, სულ ოპოზიციაში ვიყავი. ქსენოფობიური პარტიების დრო იყო...**

**- ბატეს სულ სხვა პირობები აქვს, უკვე წლობით თამაშობს ჩემპიონთა ლიგაში...**



- 18 წლის ვიყავი, საერთაშორისო სარბიელზე რომ გავედი, უკრაინელი და რუსი მეტოქეები დავჯაბნეთ. რა ანაზღაურება გვქონდა მაშინ ქართველ ფეხბურთელებს, ალბათ ყველამ იცის, მაგრამ 18 წლის ასაკში უკვე ყველანაირად მომზადებული ვიყავი. ტექნიკა, ფიზიკური მომზადება, ტაქტიკა -ამ კომპონენტებზე სულ ვვარჯიშობდი. ახლა კი არ იციან ფეხბურთელების აღზრდა, ვინც იცოდა, ყველა დაილუპა, ამ საქმეში ახალკაცის მოსწავლეებმა კი ჩვენი ფეხბურთი, თაობები დალუპეს.

**- არაერთი გამორჩეული შეხვედრა გითამაშიათ მაღალ დონზე: "ინტერი", "ჰამბურგი", საფრანგეთის ნაკრებთან პარიზში...**

- "ინტერი" დიდებული გუნდი იყო, ევროპის 1968 წლის ჩემპიონები და მსოფლიოს მომავალი, 1982 წლის ჩემპიონები - ასეთი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. ჩემს წინააღმდეგ მარინი დააყენეს, თბილისში კი ის ორიალიმ შეცვალა. "ინტერში" იყო ლეგენდარული ფაკეტი...ძალიან ბევრი უმაღლესი კლასის ფეხბურთელის წინააღმდეგ ვითამაშე, თუნდაც მაშინდელი "ჰამბურგის" ფეხბურთელებს გადავხედოთ: კიგანი, კალტცი, მაგათი, ჰრუბეში..."პარკ დე პრენსზე" საფრანგეთის ნაკრებს გოლი დაახლოებით 45 მეტრიდან გავუტანე...

**- დნეპროპეტროვსკის "დნეპრთან" გატანილი გოლიც გავიხსენოთ...**

- მეტოქის მოტყუება ყოველთვის მიყვარდა, წლები რომ ემატება ფეხბურთელს, სტილიც ცოტათი იცვლება. ხშირად მომხდარა, რომ საჯარიმო მოედანში რამდენიმე მცველი მომიტყუებია. "დნეპრთან" ორ მეტოქეს გადავუგდე ბურთი თავზე, მესამე კი მეკარე იყო.

**- მაინც რა არის ფეხბურთის ქართული სტილი?**

- "დინამოში" რომ მივედი, შემტევი სტილი იყო გაბატონებული, ქართველები ვართ და უნდა შევუტიოთო. გუნდში ფეხი კარგად რომ მოვიკიდე, მერე ვუთხარი მწვრთნელებს, იქნებ ღირდეს და სტუმრად თამაშის დროს სტილი შევცვალოთ - მეთქი. იაკუშინმაც შეცვალა ჩვენი სტილი გასვლით მატჩებში და შედეგიც უკეთესი გვქონდა. თემურ ქეცბაიას გაწვრთნილ ნაკრებს რაც შეეხება, ეს სტილი კი არ არის, უბრალოდ, არ იციან შეტევა. შედეგის მისაღწევად დიდი ოსტატობაა საჭირო. აგერ "სელტიკმა" მოახერხა "ბარსელონას" დამარცხება მიუხედავად იმისა, რომ ბურთის ფლობის ხანგრძლივობაში დიდად ჩამორჩებოდა მეტოქეს. შეტევის განხორციელების უნარი თუ არ გაქვს, დაცვაში ჩაჯდომა შედეგს ვერ მოიტანს. მოედნის ცენტრში ტვინიანი ფეხბურთელი რომ იყოს, ვინც ბურთს დაიჭერს და კონტრშეტევას გააკეთებინებს გუნდს, ნებისმიერ მეტოქესთან შესაძლებელი იქნება წარმატების მიღწევა. საქართველოს ამ ნაკრებში კი ოთხი გადაბმული პასი არ მინახავს. ზოგს ჰგონია, რომ ფეხბურთელმა პასი ყოველთვის წინ უნდა გააკეთოს, მაგრამ ასე არც არის, ფეხბურთი ასინქრონული თამაშია, ამაზე ჩემს მწვრთნელებთანაც მიკამათია. როცა ბურთს გზავნი ცარიელ სივრცეში, სადაც შენი ფერის მაისურა არავის აცვია, რა აზრი აქვს ასეთ წინ პასს? ფეხბურთელი სივრცეს კარგად უნდა აღიქვამდეს, მაგრამ როცა ბავშვები გამუდმებით პატარა მოედანზე ვარჯიშობენ, ამის გამომუშავება უკვე შეუძლებელი ხდება.

> **ვეტერანებს აბრალებენ იმას, რომ მხოლოდ საკუთარი თავი მოსწონთ ფეხბურთში და მომდევნო თაობებს არ აფასებენო.**

**- რა ფაქტორმა შეასრულა მნიშვნელოვანი როლი თქვენი საფეხბურთო სტილის ჩამოყალიბებაში?**

- ნახალოვკაში, ქუჩაში რომ ვთამაშობდი ფეხბურთს, ბურთს ვერ მართმევდნენ, თანდაყოლილი მქონდა ცრუ მოძრაობა, მეუბნებოდნენ, ბურთი თასმებით გაქვს ფეხზე მიბმულიო. შუდრასთან რომ მივედი ფეხბურთზე, მითხრა, ბურთი სულ თან ატარეო, მეც ასე ვიქცეოდი, ქუჩაში, აღმართ-დაღმართ, ბუჩქებში - ყველგან ბურთს დავატარებდი ფეხით. ფეხბურთელად რომ ჩამოვყალიბდი, გუნდთან ერთად ვარჯიშის გარდა ყოველდღე დამატებით ვვარჯიშობდი ინდივიდუალურად კედელთან. ზოგი სპეციალისტი ბურთით ჟონგლირებას აგდებულად უყურებს, მე კი ამას არ ვეთანხმები. ერთი საათის განმავლობაში 6000-ჯერ შემეძლო ბურთის აკენწვლა. მაშინ, როცა "ზარია" იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ჩავედით მაშინდელ ვოროშილოვგრადში, მეტოქე გუნდის ფეხბურთელები ძალიან ბევრს და სწრაფად დარბოდნენ, კაჩალინმაც დამიძახა, როგორმე ბურთი დაიჭირეო. ამით იმის თქმა მსურს, როცა იცი, რომ მეტოქეს სირბილში ვერ აჯობებ, სხვანაირად უნდა ითამაშო. თუ გაქვს ორი-სამი მოწინააღმდეგის მოტყუების უნარი, ეს იმას ნიშნავს, რომ მოედნის გარკვეულ მონაკვეთზე საკუთარ გუნდს რიცხობრივ უპირატესობას უქმნი, ეს კი უკვე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ახლა ხშირად გაიგონებთ, ფეხბურთი ბევრად უფრო ძალისმიერი გახდა, წინა თაობების დროს ასე არ იყოო. ორი, 16- კილოგრამიანი გირა ცალ-ცალი ხელით 35-ჯერ ავწიე, გავრილოვი კი ამას ერთხელაც ვერ ახერხებდა. საგანგებოდ არ ვვარჯიშობდი ძალაზე და 110-კილოგრამიან შტანგას ვწევდი. როცა ფეხბურთელის კარიერას თავი დავანებე, სტადიონ "სინათლეზე" მიმიწვიეს, ძალოსანთა შეჯიბრი იყო. მითხრეს, თქვენც ხომ არ ასწევთ გირასო. ჰალსტუხი მეკეთა და შესაბამისი ფეხსაცმელები მეცვა, მიუხედავად არასპორტული ეკიპირებისა, ერთი ფუთი გირა 50-ჯერ ავწიე, ამ შედეგით მესამე ადგილზე გავედი, ფეხსაცმელმა მომიჭირა, თორემ მეტჯერაც ავწევდი გირას....

სხვა რა გითხრათ, სულ ოპოზიციაში ვიყავი. ქსენოფობიური პარტიების დრო იყო, ჯერ მოქალაქეთა კავშირი, მერე ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც ქართველი ხალხისგან ახალი ერის შექმნა უნდოდა...ასეთ დროს ფეხბურთი ისეთი ხალხის ხელში ხვდება, რომ განვითარების შესაძლებლობა აღარ არის.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

აქტუალური ინტერვიუ

# გოჩა ჯამარაული ფედერაციის თავკაცს უპირისპირდება

**საქართველოს ნაკრების ყოფილი მოთამაშე და ორგანიზაცია "ჩვენი ფეხბურთის" ერთ-ერთი დამფუძნებელი გოჩა ჯამარაული ამბობს:**
**- ყველამ ვიცით, როგორც გახდა ზვიად სიჭინავა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მაგრამ არ მეგონა, სკამზე გამოკიდებული ადამიანი თუ იქნებოდა. რაც მან პრესკონფერენციაზე ილაპარაკა, არ შეიძლება უკომენტაროდ დავტოვო. ფედერაციის პრეზიდენტი ასე არ უნდა იქცეოდეს და მეტი ღირსება უნდა გამოავლინოს.**

**- მაგრამ ყიფიანი მინისტრია და გადადგომის შეთავაზება სიჭინავამ ზეწოლად აღიქვა...**

- გააჩნია, ქოთანს ყურს საიდან მიაბამ. ყიფიანმა მას კი არ უბრძანა, არამედ, ურჩია, რომ ფედერაციაში დარჩენის მორალური უფლება არ ჰქონდა. ამას ვინ რას უწოდებს, სულ სხვა საქმეა – სიჭინავა თუ ამბობს, რომ ეს ზეწოლაა, მე ვეუბნები, რომ ქართული ფეხბურთისთვის მართლაც აჯობებს რიგგარეშე არჩევნების ჩატარება.

ყიფიანის მიდგომა მორალზეა დაფუძნებული, სამართლიანობა უნდა აღდგეს და ფედერაცია ბუნებრივ გარემოს დაუბრუნდეს. ლევანი ფედერაციის საქმიანობაში ვერ ჩაერევა, იმიტომ, რომ დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია არის. მაგრამ როგორც ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს, ბოლოს და ბოლოს, დავით ყიფიანის შვილსა და ყოფილ ფეხბურთელს გული შესტკივა. ესეც აკრძალულია?!

**- ამას არავინ უკრძალავს, მაგრამ იურიდიული მხარეც გასათვალისწინებელია.**

- მე კი ის მიკვირს, რომ სიჭინავამ მორალურ შეთავაზებას თუ როგორ უპასუხა. იცით, როგორ გამოუვიდა, იურიდიული კუთხით ვერავინ შემეხებაო. ყიფიანი წესიერი კაცია და ახალი მთავრობაც სამართლიანი პრინციპების დამკვიდრებას ცდილობს. ამიტომ, ძველებივით არ ეტყვიან, წადი, ან დაგიჭერთო.

ამიტომ მიუთითეს მორალურ პასუხისმგებლობაზე, სიჭინავას პასუხი კი იმას ნიშნავდა, რომ მორალური მხარე არ აინტერესებს. ახლა რომ მიანიშნებს პოლიტიკურ ზეწოლაზე, კახა კალაძის გამოსამშვიდობებელი შეხვედრის ჩატარებას ხელი შეუწყო? ამხელა ფეხბურთელი იყო, კარიერა დაასრულა და პოლიტიკაში რომ გადავიდა, ამის გამო, მის კარიერას ხაზი გადაუსვა. ამის შემდეგ პოლიტიკურ ზეწოლაზე ლაპარაკის უფლება არ აქვს.

სიჭინავა ფედერაციის პრეზიდენტი ვერ გახდებოდა – მიიყვანეს და პირდაპირ დანიშნეს. ისე უნიჭოდ გააკეთეს ეს ყველაფერი, კონკურენტიც არ ჰყოლია. მგონი, ამაზე ჭკუათმყოფელი ადამიანი არც იდავებს. ეს ხომ არ ავიწყდება?

ახლა იმ ზღაპრებს ვინ დაიჯერებს, რომ კონკურენტებს არჩევნებში მონაწილეობას ურჩევდა? როდესაც ყველამ იცის, რომ შენ გნიშნავენ და სხვას შანსი არ აქვს, არჩევნებში მონაწილეობით სპექტაკლების მოწყობისა და ხალხის მოტყუების უფლებას თავს ვერ მივცემდით. ეს არ იყო დემოკრატიული არჩევნები. ამიტომ, პირადად მე ყველანაირად ვამხელ და ვიტყვი სიმართლეს, ხალხის გაბითურების საშუალება რომ არ მივცე. ჩვენს საფეხბურთო სამყაროს ისედაც სულში ჩააფურთხეს და ეს ყველაფერი ახლა მაინც უნდა დამთავრდეს.

ფედერაცია იყო არა დამოუკიდებელი ორგანიზაცია, არამედ, სამინისტრო. ამაზე რატომ არაფერს ლაპარაკობდა? ყველაფერს აქეთ გვიტრიალებს, როდესაც ჩვენ გვინდა, რომ ფედერაცია არ იყოს სამინისტრო. პრეზიდენტს ხელისუფლება არ უნდა ნიშნავდეს. ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები და ფედერაციის ხელმძღვანელი ჯანსაღი მსჯელობისა და კონკურენციის პირობებში ავირჩიოთ. რა არის ამაში გაუგებარი?



ჩვენი სირცხვილია ის, რაც 2007 წლის 13 მაისს ფედერაციის არჩევნებში მოხდა. მაშინ მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ ფედერაციას წარმოვადგენდი და ყველაფერი კარგად მახსოვს. ჩვენი არჩევანი ხელისუფლებამ არაფრად ჩათვალა და ფაქტობრივად, გვითხრეს, რომ გააკეთებდნენ იმას, რასაც მოისურვებდნენ. ეს იყო ძალიან დიდი უსამართლობა, რომლის შედეგადაც ფეხბურთში ყველაფერი აირია.

ვაჟა-ფშაველას ნათქვამია - "ის კი არ არის ბიჭობა, რომ გამაგრებდნენ, მაგრობდე, ბიჭს მაშინ დაგიძახებდი, თავისთავად რომ ვარგოდე". ადრე ზემოდან გამაგრებდნენ, ახლა კი გეუბნებით, თუ მაგარი ხარ, გამოდი და სამართლიან არჩევნებში თავისთავად ივარგე!

**- არჩევნები თუ დაინიშნა, ალბათ, თქვენი კანდიდატურა მიხეილ ყაველაშვილი იქნება.**

- რა თქმა უნდა, ჩვენი კანდიდატურა ყაველაშვილია. გამოვიდეს სიჭინავა და აჯობოს პროგრამით, ფეხბურთის ცოდნით, საერთაშორისო კავშირებით, ხალხის სიყვარულითა და მხარდაჭერით. მიშა თავისთავად ვარგა, სამართლიან არჩევნებში კი გამოჩნდება, სიჭინავას ვინ მიემხრობა.

**- სხვათა შორის, სულ გსაყვედურობენ, რომ "ჩვენს ფეხბურთს" პროგრამა არ აქვს.**

- პროგრამა გვაქვს, მაგრამ ვინ დაინტერესდა და ვის ვაჩვენოთ? ლოგიკის ამბავიც არის. დილით რომ დგები, ჯერ პირს იბან და მერე ჭამ. ესენი კი გვეუბნებოდნენ, რომ ჯერ გვეჭამა და პირი მერე დაგვებანა. ფეხბურთში "პირის დაბანა" სამართლიანი არჩევნების ჩატარებაა. დანიშნონ და პროგრამას როგორ არ წარმოვადგენთ.

**- სიჭინავა გადადგომას არ აპირებს და კაბინეტს ხომ არ აუჭედავთ?**

- სანამ მორალურ პასუხისმგებლობას არ იგრძნობს, პირადად მე არ გავჩერდები. ბევრ ბიზნესმენს ქონება წაართვეს, ჩვენ, საფეხბურთო სამყაროს კი – არჩევანის უფლება. ეს ყურიდან ყურში როგორ გავატარო და წართმეულის დასაბრუნებლად არაფერი ვილონო? სიჭინავას ხმა მისცეს დაშინებით ან დავალებით. მე ამას არჩევნებს ვერ ვუწოდებ, ეს იყო ძალადობა.

**- მართალია, რომ რიგგარეშე არჩევნების მომხრეები დიდი შეკრების გამართვას აპირებთ?**

- ვაპირებთ და მგონია, რომ ეს შეკრება თავად ზვიადსაც უნდა აინტერესებდეს. იძახის, არჩეული ვარო. კი მაგრამ, ჯამარაულის, ყაველაშვილის, ძალიან ბევრი ვეტერანისა და გულშემატკივრის აზრი არ გაინტერესებს? ჯერ ვინ აგირჩია, რომ გულშემატკივრის წინაშე პასუხისმგებლობას ვერ გრძნობ?

მართლა მეგონა, ზვიადი იტყოდა, ძმებო, რაც მოხდა, მოხდა, მეც ამ ყველაფრის მსხვერპლი ვიყავი და მოდი, ახალი არჩევნები დავნიშნოთო. ამას გულწრფელად ვამბობ. ამას ლევან ყიფიანის შეგონებაც არ სჭირდებოდა.

გვიმტკიცებენ, რომ ფეხბურთში წინსვლაა, მაგრამ რა დონეზე ვართ, ეს არავისთვის საიდუმლო არ არის და ამაზე არ უნდა ვთქვათ? ნებისმიერ ადგილას, თუნდაც პირდაპირ ეთერში და თუნდაც, არაფორმალურ შეხვედრაზე დავუჯდებით და სიმართლეს ვეტყვით. "ჩვენი ფეხბურთი" და ჩვენი მხარდამჭერები 2007 წლიდან სამართლიანობის აღდგენას ვითხოვთ და მოთხოვნა კვლავ აქტუალურია. ბოლოს და ბოლოს, გულახდილად მაინც ვილაპარაკებთ და გვითხრან, რატომ უნდა დარჩეს სიჭინავა, ჩვენ კი დავუსაბუთებთ, რატომ არ იმსახურებს პრეზიდენტობას და ეს შეხვედრა გადაიცეს ტელევიზიით. ხალხისგან დასამალი რა გვაქვს?

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი. XIV ტურის ანონსი

**11.11. ვაკე, წმინდა. 14:00**
**ჩიხურა–ვიტ ჯორჯია**
ურთიერთშეხვედრები:
3 მატჩი, 1 მოგება, 0 ფრე, 2 წაგება. ბურ. 3-1
დისკვალიფიკაცია: ჩიხურა-გუშარაშვილი;
ვიტ ჯორჯია - ხურცილავა

**11.11. განმუხური. 14:00**
**ზუგდიდი–კოლხეთი**
ურთიერთშეხვედრები:
9 მატჩი, 3 მოგება, 2 ფრე, 4 წაგება. ბურ. 10-10
დისკვალიფიკაცია: ზუგდიდი - ძოგალია, გამეზარდაშვილი; კოლხეთი - მიქაბერიძე, გოგონაია

**11.11. ქარელი. ცენტრალური 14:00**
**მერანი–მეტალურგი**
ურთიერთშეხვედრები:
5 მატჩი, 0 მოგება, 0 ფრე, 5 წაგება. ბურ. 4-10
დისკვალიფიკაცია:
მერანი - არავინ; მეტალურგი - არავინ

**11.11. თბილისი. დინამო არენა. 17:00**
**დინამო (თბ)–დინამო (ბთ)**
ურთიერთშეხვედრები:
44 მატჩი, 32 მოგება, 7 ფრე, 5 წაგება. ბურ. 96-38
დისკვალიფიკაცია:
დინამო (თბ) -არავინ; დინამო (ბთ) - ხუხია, ლობჟანიძე

**11.11. ბოლნისი. თ. სტეფანია. 14:00**
**სიონი–დილა**
ურთიერთშეხვედრები:
33 მატჩი, 21 მოგება, 2 ფრე, 10 წაგება. ბურ. 56-31
დისკვალიფიკაცია:
კოლხეთი - არავინ; სიონი - არავინ

**11.11. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 18:00**
**ზესტაფონი–ტორპედო**
ურთიერთშეხვედრები:
17 მატჩი, 8 მოგება, 4 ფრე, 5 წაგება. ბურ. 17-16
დისკვალიფიკაცია:
ზესტაფონი - აფციაური; ტორპედო - ფირცხალავა
LIVE. რეპორტაჟი 1 არხზე

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები: გატ | ბურთები: გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები: გატ | ბურთები: გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები: გატ | ბურთები: გაშვ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 13 | 9 | 3 | 1 | 36 | 10 | 30 | 6 | 6 | 0 | 0 | 25 | 5 | 18 | 7 | 3 | 3 | 1 | 11 | 5 | 12 |
| 2 | დილა | 13 | 9 | 1 | 3 | 22 | 8 | 28 | 7 | 4 | 0 | 3 | 13 | 8 | 12 | 6 | 5 | 1 | 0 | 9 | 0 | 16 |
| 3 | ტორპედო | 13 | 8 | 2 | 3 | 29 | 12 | 26 | 7 | 5 | 1 | 1 | 16 | 5 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 13 | 7 | 10 |
| 4 | ზუგდიდი | 13 | 6 | 5 | 2 | 18 | 9 | 23 | 6 | 4 | 2 | 0 | 11 | 5 | 14 | 7 | 2 | 3 | 2 | 7 | 4 | 9 |
| 5 | ჩიხურა | 13 | 7 | 2 | 4 | 17 | 14 | 23 | 6 | 4 | 1 | 1 | 8 | 4 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 9 | 10 | 10 |
| 6 | ზესტაფონი | 13 | 6 | 3 | 4 | 16 | 9 | 21 | 6 | 2 | 2 | 2 | 4 | 3 | 8 | 7 | 4 | 1 | 2 | 12 | 6 | 13 |
| 7 | მეტალურგი | 13 | 5 | 1 | 7 | 9 | 18 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 5 | 9 | 10 | 6 | 2 | 0 | 4 | 4 | 9 | 6 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 13 | 4 | 3 | 6 | 10 | 16 | 15 | 7 | 1 | 2 | 4 | 5 | 9 | 5 | 6 | 3 | 1 | 2 | 5 | 7 | 10 |
| 9 | მერანი | 13 | 4 | 1 | 8 | 7 | 23 | 13 | 6 | 3 | 0 | 3 | 4 | 9 | 9 | 7 | 1 | 1 | 5 | 3 | 14 | 4 |
| 10 | სიონი | 13 | 3 | 4 | 6 | 11 | 20 | 13 | 6 | 0 | 4 | 2 | 3 | 7 | 4 | 7 | 3 | 0 | 4 | 8 | 13 | 9 |
| 11 | დინამო (ბთ) | 13 | 2 | 2 | 9 | 10 | 26 | 8 | 7 | 2 | 0 | 5 | 7 | 12 | 6 | 6 | 0 | 2 | 4 | 3 | 14 | 2 |
| 12 | კოლხეთი | 13 | 0 | 3 | 10 | 5 | 25 | 3 | 7 | 0 | 2 | 5 | 2 | 11 | 2 | 6 | 0 | 1 | 5 | 3 | 14 | 1 |

## ლეგიონი




დავით დევდარიანი

# ქართველები დანიაში: მარცხი და გაძევება

დანიის სუპერლიგაში "ჰორსენსმა" "ორჰუსს" უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა. "ორჰუსის" ძირითად შემადგენლობაში ორმა ქართველმა ითამაშა – **დავით დევდარიანმა** და **მათე ვაწაძემ**. მესამე ორჰუსელი, **დავით სხირტლაძე**, როგორც იცით, ტრავმირებულია.

განსაკუთრებით უიღბლო მატჩი დევდარიანისთვის გამოდგა, რომელიც 81-ე წუთზე გააძევეს, მანამდე კი, 58-ე წუთზე, ვაწაძე შეცვალეს. ამ დროისთვის შეხვედრის ორივე გოლი უკვე გასული იყო.

12-გუნდიან სუპერლიგაში "ორჰუსი" 25 ქულით მეოთხე ადგილზეა და შვიდი ქულით ჩამორჩება ერთპიროვნულ ლიდერს "კოპენჰაგენს".

მიმდინარე სეზონში ჯერაც არ უთამაშია "ლე მანის" მეკარე **გიორგი მაკარიძეს**, რომელიც ტრავმის მოშუშების შემდეგ, ჯერჯერობით, სათადარიგოთა სკამზე ჯდომით კმაყოფილდება. ასე იყო "ისტრთან" გასვლით მატჩშიც, სადაც "ლე მანი" 0:1 დამარცხდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგა. XI ტურის წინ

# საინტერესო კვირადღე

**დღეს**

**არსენალი-ფულჰემი 19:00**

ტრავმა: გიბსი, ფაბიანსკი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი, ჟერვინიო, როსიცკი, დიაბი, შცესნი, რემსი – რიჩარდსონი, დევისი

დისკვალიფიკაცია: უილშირი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 46 თამაში: +30=9-7 (99-50)

**ევერტონი-სანდერლენდი 19:00**

ტრავმა: გიბსონი – ბრამბლი, ბრაუნი, მაკფადენი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=4-0 +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 135 თამაში: +63=22-50 (238-215)

**რედინგი-ნორვიჩი 19:00**

ტრავმა: გატრი, კარაჩანი – ტერნერი, კერნი, მარტინი, გარიდო

**ბოლო 6 მატჩი**

+0=4-2 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 16 თამაში: +6=4-6 (21-19)

**საუთჰემპტონი-სუონსი 19:00**

ტრავმა: რიჩარდსონი – ტეილორი, ბარტლი, ვორმი, ფლორესი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 6 თამაში: +2=1-3 (9-11)

**სტოკი-ქუინზ პარკი 19:00**

ტრავმა: უილსონი – დაიერი, პარკი, ჯონსონი, ფაბიო

დისკვალიფიკაცია: მბია -

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +0=2-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 30 თამაში: +8=3-16 (29-44)

**უიგანი-ვესტ ბრომვიჩი 19:00**

ტრავმა: კრუსატი, მაკარტური, მაიჩი, ალკარასი – რიდი, მორისონი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 10 თამაში: +5=2-3 (13-12)

**ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ 21:30**

ტრავმა: გარდნერი, ნზოგბია, ჰერდი, ბეიკერი, პეტროვი, დანი, ბენტი, ბენეტი – ვიდიჩი, უელბეკი, ჯონსი, ფლეტჩერი, კაგავა

დისკვალიფიკაცია: ლიშაი -

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +5=0-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 153 თამაში: +38=37-78 (194-280)

**ხვალ**

**მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი 17:30**

ტრავმა: რიჩარდსი, დ. სილვა, მილნერი, როდუელი – დემბელე, ასუ-ეკოტო, კაბული, პარკერი, სანდრო, ლივერმორი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=2-0 +4=0-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 123 თამაში: +45=30-48 (180-168)

**ნიუკასლი-ვესტ ჰემი 19:00**

ტრავმა: კაბაი, ტეილორი, პერჩი, ელიოტი, ბა, ვუკჩიჩი, გოსლინგი – ტომკინსი, კოლინზი, დიარა, კოლისონი, ტეილორი, ვას ტე, დემელი

დისკვალიფიკაცია: ტიოტე, კოლოჩინი -

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 90 თამაში: +37=23-30 (145-131)

**ჩელსი-ლივერპული 20:00**

ტრავმა: მატა, კოული, ლუისი, ლემპარდი – კელი, ბორინი, რეინა, ლუკასი, ჯონსონი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 38 თამაში: +15=12-11 (57-53)

***შენიშვნა:*** *+ მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა*



ჩელსის თავდასხმის ლიდერი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 10 | 8 | 0 | 2 | 26-14 | 24 |
| 2. ჩელსი | 10 | 7 | 2 | 1 | 22-10 | 23 |
| 3. სიტი | 10 | 6 | 4 | 0 | 18-9 | 22 |
| 4. ევერტონი | 10 | 4 | 5 | 1 | 19-13 | 17 |
| 5. ვესტ ბრომვიჩი | 10 | 5 | 2 | 3 | 15-11 | 17 |
| 6. ტოტენჰემი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-14 | 17 |
| 7. არსენალი | 10 | 4 | 3 | 3 | 15-8 | 15 |
| 8. ფულჰემი | 10 | 4 | 3 | 3 | 21-16 | 15 |
| 9. ვესტ ჰემი | 10 | 4 | 3 | 3 | 13-11 | 15 |
| 10. ნიუკასლი | 10 | 3 | 5 | 2 | 12-14 | 14 |
| 11. სუონსი | 10 | 3 | 3 | 4 | 15-14 | 12 |
| 12. ლივერპული | 10 | 2 | 5 | 3 | 13-15 | 11 |
| 13. უიგანი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-16 | 11 |
| 14. ნორვიჩი | 10 | 2 | 4 | 4 | 8-18 | 10 |
| 15. სტოკი | 10 | 1 | 6 | 3 | 8-10 | 9 |
| 16. სანდერლენდი | 9 | 1 | 6 | 2 | 6-9 | 9 |
| 17. ასტონ ვილა | 10 | 2 | 3 | 5 | 8-14 | 9 |
| 18. რედინგი | 9 | 0 | 5 | 4 | 12-18 | 5 |
| 19. ქუინზ პარკი | 10 | 0 | 4 | 6 | 8-19 | 4 |
| 20. საუთჰემპტონი | 10 | 1 | 1 | 8 | 14-28 | 4 |

ბომბარდირები: 8 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი); 7 - დემბა ბა (ნიუკასლი), ლუის სუარესი (ლივერპული);

**პრემიერლიგის XI ტური იმითაა გამორჩეული, რომ ცენტრალური დაპირისპირებები კვირა დღისთვისაა დანიშნული. ევროპაში მორიგი დამღლელი მოგზაურობების შემდეგ ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო გუნდები ხელახლა უნდა გადაერთონ შიდა ასპარეზზე. ზოგმა მიღწეულის შენარჩუნება უნდა სცადოს, ზოგმა – სიტუაციის გამოსწორება.**

## არსენალის ამერიკული მთები

XI ტურს ე.წ. მცირე ლონდონური დერბი გახსნის. "არსენალს" "ფულჰემი" სტუმრობს. მართალია, ზემოთ **ვოიცეხ შჩესნი** ტრავმირებულთა სიაში გვინერია, მაგრამ ჩვენი ინგლისელი კოლეგები გუშინ უკვე წერდნენ, რომ 22 წლის პოლონელს აქვს მინდორზე გასვლის შანსი. შჩესნის მე-4 ტურში "საუთჰემპტონთან" შეხვედრის (6:1) შემდეგ არ უთამაშია. **არსენ ვენგერის** ფეხბურთელების წლევანდელი სათამაშო რიტმი შეიძლება "დისნეი ლენდის" "ამერიკულ მთებს" შევადაროთ. "მეთოფეებს" შეუძლიათ ისე იფრინონ, რომ სერიოზულ მეტოქეს შანსი არ დაუტოვონ, მაგრამ რამდენიმე დღეში აუტსაიდერთან ყველაზე უფრო დიდ აუტსაიდერზე სუსტად ითამაშონ. რატომ ხდება ასე, ამ შეკითხვაზე პასუხი ჩვენ არ გვაქვს. ვენგერს კი უნდა ჰქონდეს და იმედია, ეს აისახება კიდეც მისი გუნდის ასპარეზობაზე. "ოლდ ტრეფორდზე" საყვარელი ფეხბურთელების შემხედვარე ტყუილად კი არ აყვირდნენ ფანები, დაგვიბრუნეთ ძველი "არსენალიო". *"ფანტასტიკური ფეხბურთელები მყავს, მაგრამ მათ დაავიწყდათ, რომ ასეთები არიან,"* – განაცხადა "მეთოფეთა" ფრანგმა მწვრთნელმა.

თუკი ჩემპიონთა ლიგაში რომელიმე "არატრადიციულ" ინგლისურ კლუბს ელიან, პირველ რიგში ეს "ევერტონია". არც ჩვენ ვკამათობთ, რომ "ლურჯებს" შეუძლიათ ამის გაკეთება, მაგრამ ამისთვის მარტო **მარუან ფელაინი** საკმარისი არ იქნება. მას სხვებიც უნდა ამოუდგნენ მხარში. მერსისაიდელებმა ბოლოს და ბოლოს უნდა მოიგონ, რასაც ისინი მიჯრით ოთხი ტურია, ველარ ახერხებენ. "სანდერლენდს" რაც შეეხება, სტაბილურად საშუალო დონეზე მოთამაშე "შავი კატები" წინა ტურში ზურგზე დაეცნენ და ალბათ ახლა შეეცდებიან შელახული თავმოყვარეობის აღდგენას. ჩვენი აზრით, "გუდისონ პარკზე" საინტერესო შეხვედრა გაიმართება და ფრედ დამთავრდება.

სეზონის დასაწყისში ვინ წარმოიდგენდა, რომ "ნორვიჩი" 4-მატჩიან წაუგებელ სერიას ითამაშებდა? **კრის ჰიუტონმა** პირველ რიგში დაცვა დაალაგა და შედეგებიც ნელ-ნელა მოდის. ვნახოთ, რას მოიფიქრებს მისი ვიზავი **ბრაიან მაკდერმოტი**. "არისტოკრატებმა" ბოლო 3 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანეს და ვერც ერთი ვერ მოიგეს, რაც იმის ნიშანია, რომ უკანა ხაზი ამ გუნდს მხოლოდ ფორმალურად თუ ჰყავს. ნამდვილად არ ველოდებით, რომ მასპინძლები პრემიერლიგაში ამჯერად მაინც შეძლებენ პირველი მატჩის მოგებას.

## გამონათება, კრიზისი, გამონათება?

პირველ ტურებში "სუონსის" ბრწყინვალე თამაშზე ბევრი ვწერეთ. მას მერე უელსური გუნდი კრიზისმა მოიცვა, მაგრამ აშკარაა, რომ "გედები" ნელ-ნელა, მაგრამ ორმოდან მაინც ამოდიან. ამის ნათელი დასტური იყო წინა უქმეებზე "მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრა, როცა პრემიერლიგის ჩემპიონი უბრალოდ დაბნეული უყურებდა მეტოქეს და არ იცოდა, რა მოეხერხებინა მისი შეტევებისთვის. მასპინძელ "წმინდანებს" ნამდვილად აქვთ წარმატების შანსი. ეს ისეთი წყვილია, სადაც არც ერთი შედეგის გამორიცხვა არ შეიძლება.

"სტოკ სიტისგან" მიმდინარე სეზონში ფეიერვერკებსა და გოლების წვიმას არც არავინ ელოდა, რადგან ეს არ ზის **ტონი პულისის** გუნდის ხასიათში, მაგრამ X ტურის შემდეგ ერთადერთი მოგება უკვე მეტისმეტია. ვინ უნდა დაამარცხონ "მეთიხეებმა", თუ არა ყოვლად გაჭირვებული "ქუინზ პარკი"? დიახ, გვგონია, რომ მასპინძლები აუცილებლად აიღებენ 3 ქულას და ისიც გვგონია, რომ ეს **მარკ ჰიუზისთვის** უკანასკნელი თამაში იქნება "რეინჯერების" სარდლის რანგში.

როგორც ზღაპრებში წერენ ხოლმე, "უიგანმა" საკუთარი თამაშის საძებნელად ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარა და როგორც იქნა მიაგნო. **რობერტო მარტინესის** გუნდმა ჯერ "ვესტ ჰემს" სძლია 2:1, წინა ტურში კი გასვლაზე "ტოტენჰემი" 1:0 დაამარცხა. ახლა გუნდს კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა ელის. მიმდინარე სეზონში "ვესტ ბრომვიჩი" იშვიათად თამაშობს საკუთარ პოტენციალზე სუსტად. ესოდენ სტაბილური ასპარეზობა ყველაზე მეტად **სტივ კლარკის** დამსახურება.

## ვილა პარკზე

დღევანდელ საფეხბურთო საღამოს "ვილა პარკზე" "მანჩესტერ იუნაიტედი" დახურავს. "ეშმაკებისთვის" ბირმინგემელები ბოლო წლებში მაინც იოლი გადასაყლაპი ლუკმები იყვნენ. არ გვგონია, დიდად ახლა შეიცვალოს რამე. "იუნაიტედი" აშკარა ფავორიტი გვგონია.

"მანჩესტერ სიტი" პრემიერლიგის უკანასკნელი გუნდია, ვისაც ერთი წაგებაც კი არ აქვს. რამდენად ჰგავს ბოლო პერიოდში არეულ-დარეული "ტოტენჰემი" იმას, ვინც "ქალაქელთა" სერიას წერტილს დაუსვამს? ჩვენი აზრით, ჩრდილოლონდონელებს გაუჭირდებათ ამის გაკეთება მით უფრო, რომ "დეზებს" ამ მატჩისთვის მოსამზადებლად დრო 48 საათით უფრო ნაკლები ჰქონდათ.

"ნიუკასლი" "ვესტ ჰემს" მიიღებს. გულწრფელად გეტყვით, რომ სტუმრების მოგება ვერ წარმოგვიდგენია. "ჩაქუჩები" საუკეთესო შემთხვევაში ქულას თუ შესწვდებიან. მიზეზი მარტივია, "კაჭაკჭებს" არ უყვართ და არ ეხერხებათ სახლში წაგება. მით უფრო, თავიანთი კალიბრის გუნდთან.

"სტემფორდ ბრიჯზე" "ჩელსის" ევროპის ლიგაზე ნათამაშები "ლივერპული" სტუმრობს. ევროპაში მასპინძელმაც იასპარეზა, მაგრამ 24 საათით ადრე და "შახტარის" ბედოვლათობა რომ არა, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს შესაძლო იყო, მეორე მატჩი წაეგო უკრაინის ჩემპიონთან. თუკი "წითლებს" "ჩელსისთან" რაიმეს იმედი შეიძლება ჰქონდეთ, მაქსიმუმ ერთი ქულაა.

**ამბები**

## ახალი კონტრაქტები ფულჰემში

გუშინ "არსენალთან" მატჩის წინა პრესკონფერენციაზე "ფულჰემის" მთავარმა მწვრთნელმა, 56 წლის **მარტინ იოლმა** დაადასტურა, რომ კლუბმა მას უკვე შესთავაზა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება და ის მოხარული იქნება, თუკი გარიგება რაც შეიძლება სწრაფად დაიდება. ჰოლანდიელს ლონდონელებთან მოქმედი კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. კლუბის ხელმძღვანელობა კმაყოფილია, რომ ლიდერებთან გამოთხოვების მიუხედავად "ფულჰემის" თამაშის ხარისხზე ეს უარყოფითად არ ასახულა.

იოლის გარდა კლუბი ახალ 2-წლიან კონტრაქტს სთავაზობს ვეტერან ცენტრალურ მცველ **ბრედ ჰანგელანდს**. იოლისა არ იყოს, 31 წლის ნორვეგიელს კონტრაქტი 2013 წლის ივნისში უმთავრდება. მისით ყველაზე მეტად "არსენალია" დაინტერესებული.

## კლატენბერგის ამბები მალე გაირკვევა

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის გამოძიება "ჩელსი"-"მანჩესტერ იუნაიტედის" (28 ოქტომბერი 2:3), მატჩის არბიტრის, 37 წლის **მარკ კლატენბურგის** წინააღმდეგ დასასრულს მიუახლოვდა. როგორც უწყით, ჩრდილოინგლისელი არბიტრი ცალკე "ჩელსის" ესპანელი ლეგიონერებისა და ცალკე **ჯონ ობი მიკელის** რასისტული ხასიათის შეურაცხყოფაში იყო ბრალდებული. "დეილი მეილის" ინფორმაციით, არბიტრისა და მისი ასისტენტების **მიკ მაკდონაჰის, საიმონ ლონგისა** და **მაიკლ ჯონსის** (მეოთხე მსაჯი) დაკითხვის შემდეგ ყველა მტკიცებულება შესწავლილია. გადაწყვეტილება ყველაზე გვიან ორშაბათისთვის გახდება ცნობილი.

## უოლკოტის ბედი დეკემბერში გადაწყდება

**არსენ ვენგერის** განცხადებით, მას ყველაზე გვიან დეკემბერში ეცოდინება, დარჩება თუ არა თეო უოლკოტი "არსენალში" კიდევ რამდენიმე წლით თუ უკვე იანვარში მოუწევს მისი გაყიდვა. "ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ უოლკოტი შევინარჩუნოთ, მაგრამ სიტუაცია ჯერ კიდევ ბუნდოვანია. პირობას გაძლევთ, პასუხი ყველა შეკითხვაზე შობამდე აუცილებლად გეცოდინებათ," – აცხადებს 62 წლის ფრანგი სპეციალისტი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XI ტურის წინ

# რა შეუძლია აინტრახტს სინამდვილეში?

## ბაიერნი ფრანკფურტელთა რეალურ სახეს დაგვანახებს

| გუშინ | |
|---|---|
| მაინცი-ნიურნბერგი | 2:1 |

**დღეს**

**ბაიერნი-აინტრახტი 18:30**

**ტრავმა:** ბადშტუბერი, ჩანი, გომესი - ამედიკი, სამბრანო

**ბოლო 6 მატჩი**

+5=0-1 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 82 თამაში: +41=20-21, (156:110)

**შალკე-ვერდერი 18:30**

**ტრავმა:** მეტცელდერი, უჩიდა, ჰიოგერი - ფრიტცი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 86 თამაში: +30=18-38, (99:126)

**ფრაიბურგი-ჰამბურგი 18:30**

**ტრავმა:** გინტერი, ჰიონი, ფლუმი - მანსიენი, რაიკოვიჩი, ილიჩევიჩი, ირაჩეკი, ნიორგაარდი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 26 თამაში: +6=8-12, (23:45)

**აუგსბურგი-ბორუსია (დ) 18:30**

**ტრავმა:** ფიპლი, რაინჰარდტი, ვერჰეგი, სიო - ოვომოიელა, ბლაშჩიკოვსკი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 2 თამაში: +0=1-1, (0:4)

**ფორტუნა-ჰოფენჰაიმი 18:30**

**ტრავმა:** ბრუნო სუარესი, მალეზასკი, შაჰინი - კრისი, დელპიერი, თესკერი, ვესტერგაარდი, ვუკჩევიჩი

**ბოლო მატჩი**

+1=1-4 +2=2-2

ბუნდესლიგაში არ უთამაშიათ

**ხვალ**

**ვოლფსბურგი-ლევერკუზენი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** როლფესი (ლევერკუზენი)

**ტრავმა:** პილარი, ჰელმესი - ლენო, კადლეცი, შვააბი, ბელარაბი, რენატო

**ბოლო 6 მატჩი**

+1=0-5 +4=2-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 30 თამაში: +10=4-16, (41:56)

**შტუტგარტი-ჰანოვერი 20:30**

**ტრავმა:** აუდელი, დიდავი, კაკაუ, თორუნი - ფელიპე, ანდრეასენი, და სილვა პინტუ

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 46 თამაში: +22=7-17, (80:68)

**ფიურტი-ბორუსია (მ) 20:30**

**ტრავმა:** ნდოიე, პეცოსი, ტირალა, ფალი - ბლასვიხი, იუნესი, ლ. დე იონგი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=3-3 +2=2-2

ბუნდესლიგაში არ უთამაშიათ

*შენიშვნა: + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 10 | 9 | 0 | 1 | 30-4 | 27 |
| 2. შალკე | 10 | 6 | 2 | 2 | 20-11 | 20 |
| 3. აინტრახტი | 10 | 6 | 2 | 2 | 21-14 | 20 |
| 4. ლევერკუზენი | 10 | 5 | 3 | 2 | 18-14 | 18 |
| 5. მაინცი | 11 | 5 | 2 | 4 | 15-13 | 17 |
| 6. ბორუსია (დ) | 10 | 4 | 4 | 2 | 20-11 | 16 |
| 7. ჰანოვერი | 10 | 4 | 2 | 4 | 20-16 | 14 |
| 8. ვერდერი | 10 | 4 | 2 | 4 | 17-15 | 14 |
| 9. ჰამბურგი | 10 | 4 | 1 | 5 | 11-14 | 13 |
| 10. შტუტგარტი | 10 | 3 | 4 | 3 | 10-15 | 13 |
| 11. ბორუსია (მ) | 10 | 3 | 4 | 3 | 13-19 | 13 |
| 12. ფრაიბურგი | 10 | 3 | 3 | 4 | 14-13 | 12 |
| 13. ჰოფენჰაიმი | 10 | 3 | 2 | 5 | 16-22 | 11 |
| 14. ნიურნბერგი | 11 | 3 | 2 | 6 | 9-17 | 11 |
| 15. ფორტუნა | 10 | 2 | 4 | 4 | 9-15 | 10 |
| 16. ვოლფსბურგი | 10 | 2 | 2 | 6 | 6-17 | 8 |
| 17. ფიურტი | 10 | 1 | 4 | 5 | 7-16 | 7 |
| 18. აუგსბურგი | 10 | 1 | 3 | 6 | 5-15 | 6 |

**ბომბარდირები**- 8 – მანჯუკიჩი (ბაიერნი), სალაი (მაინცი); 7 – ა. მაიერი (აინტრახტი), თ. მიულერი (ბაიერნი)

**„აინტრახტი" ისე კარგად ველარ თამაშობს, როგორც საწყის ტურებში, მაგრამ ფრანკფურტელები ჯერაც საუკეთესო სამეულში არიან, რის გამოც არმინ ფეეს სამწყსოს მიუნხენში სტუმრობა მე-11 ტურის ცენტრალურ დაპირისპირებად უნდა შეირაცხოს. მეორეადგილოსანი „შალკე" „ვერდერს" მასპინძლობს, ლიდერს ჩამორჩენილი, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ჩემპიონობის კანდიდატი „დორტმუნდი" კი მადრიდის მერე (2:2 რეალთან) აუგსბურგში ჩადის. ხვალ „ვოლფსბურგი" „ლევერკუზენს" უმასპინძლებს და მიმდინარე სეზონში პირველი საშინაო გამარჯვების მოპოვებას ეცდება.**

### ბაიერნი: ლილის მერე აინტრახტიც?

ზაფხულში ვინმეს რომ ეთქვა, მე-11 ტურის ტოპ-მატჩი „ბაიერნისა" და „აინტრახტის" ჯახი იქნებაო, ამას, ცხადია, არავინ დაიჯერებდა. ფრანკფურტელებმა სეზონი ბრწყინვალედ დაიწყეს და მართალია, ბოლო შეხვედრებში აშკარად მოისუსტებენ, მაგრამ მესამე ადგილზე იმყოფებიან და ეს ელიტაში ახლახან დაბრუნებული კლუბისთვის ძალიან კარგი შედეგია. „აინტრახტის" თავკაც **არმინ ფეეს** ბოლო სტუმრობა მიუნხენში კრახით დამთავრდა - მაშინ ფეე „ჰამბურგის" დამრიგებელი გახლდათ და მისი გუნდი რეკორდმაისტერთან 0:6 განადგურდა.

არმინს ძირითადი შემადგენლობის შეცვლის საბაბი არ აქვს, თუმცა თავდასხმაში **ჰოფერისა და მატმურის** სახით **ოუშენის** ორი კარგი ალტერნატივა ჰყავს და გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომელ მათგანზე გასცემს ავანსებს ფრანკფურტელთა დამრიგებელი.

„ბაიერნს" „აინტრახტთან" თამაში უყვარს: მიუნხენელებმა ფრანკფურტელებს 41 შეხვედრაში უმასპინძლეს, აქედან 32-ში დაამარცხეს და მხოლოდ სამჯერ დამარცხდნენ. შუა კვირაში „ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგაში „ლილი" 6:1 გაანადგურა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბავარიელთა დამრიგებელი **იუპ ჰაინკესი** ძირითად შემადგენლობას ისევ შეცვლის - როტაცია რეკორდმაისტერისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. **მარიო გომესმა** სამთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ვარჯიში კი განაახლა, მაგრამ ფორმის აღსადგენად დრო სჭირდება და დღეს მარიოს თუნდაც განაცხადში გამოჩენასაც კი არ უნდა ველოდოთ.



ფრანკფურტის აინტრახტის მთავარი მწვრთნელი არმინ ფეე და თავდამსხმელი ოუშენი

### შალკეს არსენალთან 2:2 ძვირად დაუჯდა

„შალკემ" „არსენალთან" რთული მატჩი გადაიტანა - გელზენკირხენელები 0:2-ს აგებდნენ და საბოლოოდ ფრე გადაარჩინეს. ეს ქულა „შალკეს" ძვირად დაუჯდა: ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები **უჩიდა** და **ჰიოგერი** დაშავდნენ. დღეს **ჰუუბ სტევენსის** გუნდს „ვერდერთან" ასევე მძიმე ბრძოლა ელის და ამ შეხვედრაში ვერც ერთი ვერ იასპარეზებს. დაცვის მარჯვენა ფლანგზე ჰიოგერს ალბათ კაპიტანი **ბენედიქტ ჰიოვედესი** შეცვლის, ამ უკანასკნელის ადგილს კი დაცვის ცენტრში **პაპადოპულოსი** დაიკავებს (**მეტცელდერი** ტრავმირებულია).

„ვერდერს" ფინანსური პრობლემები აქვს და ვერც სპორტული თვალსაზრისით ბრწყინავს, თუმცა ეს არის გუნდი, რომელსაც ნებისმიერ დროს ნებისმიერის დამარცხება შეუძლია. ბრემენელთაგან ძალიან კარგ ფორმაშია **აარონ ჰანტი**, რომელმაც, როგორც იქნა, გუნდის ლიდერობა იტვირთა. წინა ტურში „ვერდერმა" „მაინცი" სწორედ მისი დუბლით (2:1) დაამარცხა.

### დორტმუნდი: მადრიდის მერე აუგსბურგი

მადრიდიდან დაბრუნებული დორტმუნდელები დღეს აუგსბურგში ჩადიან. „რეალთან" „სანტიაგო ბერნაბეუზე" ნაჩვენებმა კარგმა ფეხბურთმა და შედეგმა (2:2) „ბორუსიაზე" მთელი ევროპა სერიოზულად დააფიქრა. „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა **სერ ალექს ფერგიუსონმა იურგენ კლოპის** გუნდი სულაც ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მოიხსენია. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ „ბორუსიას" ბუნდესლიგაში აქვს საქმე ცუდად - კლოპის გუნდი 10 ტურის შემდეგ მე-5 ადგილზეა და „ბაიერნს" უკვე 11 ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის მოქმედ ჩემპიონს აუგსბურგში მხოლოდ სამი ქულა დააკმაყოფილებს. თანაც, დორტმუნდელებმა წინა ტურის მატჩიც ვერ მოიგეს (0:0 „შტუტგარტთან").

აუგსბურგელებს კარგ ფორმაში მყოფი **კოოს** და **მიოლდერსის** იმედი აქვთ - პირველი „ჰანოვერთან" (0:2) დაბრუნდა, ახლა კი მიოლდერსიც გამოჯანმრთელდა. თუმცა ამ უკანასკნელს ფეხბურთი ივნისის მერე არ უთამაშია და ფორმაში არაა.

### მოითქვამს სულს ფორტუნა?

„ფორტუნას" მოლოდინისამებრ რთული დროება დაუდგა: დიუსელდორფელებს ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ და ზედიზედ 4 თამაში წააგეს. ამას ისიც დაემატა, რომ უკრაინელი თავდამსხმელი **ანდრეი ვორონინი** უკვე საჯაროდ გამოხატავს უკმაყოფილებას - როგორც ჩანს, მოსკოვის „დინამოში" დაბრუნება უნდა. ფაქტია, რომ „ფორტუნას" მთავარი მწვრთნელი **ნორბერტ მაიერი** ვორონინს არც „ჰოფენჰაიმთან" უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში ათამაშებს. მაიერისთვის კარგი ისაა, რომ **რაიზინგერი** გამოუჯანმრთელდა. „ჰოფენჰაიმმა" წინა ტურში „შალკეს" დამარცხება შეძლო და „სოფლელები" დიუსელდორფში თავაწეულები ჩადიან.

### ფინკი: ბაიერნთან წაგება არ ითვლება!

„ფრაიბურგი" სტაბილურია: ბრაისგაუელები არც გასავარდნ ზონაში არიან და ვერც მაღალ ადგილებს ეპოტინებიან, თუმცა ამ გუნდისთვის ასეთი ვითარებაც საკმარისია იმისათვის, რომ ყველა კმაყოფილი იყოს. უკმაყოფილო მხოლოდ **ფერატია**, რომელიც სათადარიგოთა სკამს ხეხავს და უკვე თქვა, ზამთარში აქედან წავალო. „ფრაიბურგის" თავკაცი **კრისტიან შტრაიხი** სავარაუდოდ **გინტერს** მოისაკლისებს. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა და მოედანზე გასვლა შეუძლია **ფლუმს**, რომელიც ძირითადი შემადგენლობის ნევრია. ფრაიბურგელები დღეს „ჰამბურგს" მასპინძლობენ - გუნდს, რომლის აღმასვლა წინა ტურში „ბაიერნმა" შეაჩერა (0:3). თუმცა ჩრდილოელთა თავკაცმა **ტორსტენ ფინკმა** თქვა, რეკორდმაისტერთან წაგება არ ითვლებაო და იმედი აქვს, რომ მისი შეგირდები დღეს ისევ ისე კარგად ითამაშებენ, როგორც ამას „ბაიერნთან" განადგურებამდე აკეთებდნენ.

### ვოლფსბურგი პირველ საშინაო გამარჯვებას უმიზნებს

„ფორტუნას" და „ფიურტის" დარად, საკუთარ მოედანზე მოგება არც „ვოლფსბურგს" აქვს. დღეს „მგლები" „ლევერკუზენს" მასპინძლობენ და იმედი აქვთ, რომ ამ არასახარბიელო სერიას ბოლო მოეღება. წინა ტურში „ვოლფსბურგმა" ნიურნბერგში 0:1 წააგო და როგორც ირკვევა, კლუბის ხელმძღვანელები დროებითი თავკაცის, **ლორენც-გიუნტერ კიოსტნერის** დიდხანს დატოვებაზე აღარ ფიქრობენ. ფაქტია, რომ „ვოლფსბურგს" „ლევერკუზენის" დამარცხება გაუჭირდება, რადგან „ფარმაცევტებს" 7-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ და მე-4 ადგილამდე აღზევდნენ. ამასთან, „ბაიერმა" ვენის „რაპიდის" ძლევით ევროპალიგის პლეი ოფში ასპარეზობაც გაინაღდა. ლევერკუზენელთაგან ძალიან კარგ ფორმაშია თავდამსხმელი **შტეფან კისლინგი**, რომელსაც გერმანიის ნაკრების თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** ბუნდესგუნდში მაინც არ უხმო. **სიმონ როლფესი** დისკვალიფიცირებულია.

ხვალ საღამოს ორი მატჩია: „შტუტგარტი" „ჰანოვერს" მასპინძლობს, მიონხენგლადბახის „ბორუსია" კი ფიურტში ჩადის. „შტუტგარტს" **ბრუნო ლაბადიას** ყვირილმა უშველა: შვაბებმა შედეგები გამოასწორეს, რაც მეკარე **სვენ ულრაიხის** დამსახურებაცაა, რომელმაც მე-6 ტურის შემდეგ მხოლოდ სამი გოლი გაუშვა. წინა ტურში „შტუტგარტმა" დორტმუნდში საპატიო ფრეს (0:0) მიაღწია და ფანებს გაუჩნდათ იმის იმედი, რომ გუნდი აღმასვლას განაგრძობს. თუმცა კარგ ფორმაშია „ჰანოვერიც", რომელმაც ევროპალიგაში „ჰელსინგბორგი" 3:2 დაამარცხა. საღამოს მეორე შეხვედრაში კი „ფიურტიც" პირველი საშინაო გამარჯვების მოპოვებას შეეცდება, თუმცა **მაიკ ბიუსკენსის** გუნდს „გლადბახის" სახით რთული მეტოქე ჰყავს. მიონხენგლადბახელებს **ლუუკ დე იონგი** ჰყავთ დაშავებული. სამაგიეროდ, **ლუსიენ ფავრს იანჩკე** და კაპიტანი **დემსი** გამოუჯანმრთელდნენ. ევროპალიგაში „გლადბახმა" მარსელში 2:2-ს მიაღწია და პლეი ოფში გასვლის შანსი შეინარჩუნა.

გერმანიის ნაკრები



რენე ადლერს გერმანიის ნაკრებში ორი წელია არ უთამაშია

# ლიოვმა ადლერი დააბრუნა!

გუშინ გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ის შემადგენლობა დაასახელა, რომლითაც ბუნდესგუნდი ოთხშაბათს ამსტერდამში ჰოლანდიის ნაკრებს უაღრესად მნიშვნელოვან ამხანაგურ მატჩში დაუპირისპირდება. იოგიმ საფეხბურთო გერმანიას ორი სიურპრიზი შესთავაზა: ორწლიანი პაუზის შემდეგ გერმანიის ნაკრებში **რენე ადლერი** ბრუნდება, „შალკეს" საყრდენი ნახევარმცველი **რომან ნოიშტედტერი** კი დებიუტანტია.

*„ადლერი ბოლო დროს ძალიან კარგად თამაშობს და ნაკრებში გამოძახება დაიმსახურა. იმედია ასე გააგრძელებს, რადგან კარგ ფორმაში მყოფი რენე ბუნდესგუნდს ძალიან სჭირდება. რაც შეეხება ნოიშტედტერს: ეს ბიჭი წინა სეზონშიც ძალიან მომწონდა, „გლადბახიდან" „შალკეში" გადასვლის შემდეგ კი უფრო უკეთესად ათამაშდა,"* - განაცხადა ლიოვმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ნაკრების 22-კაციან განაცხადში ისევ ერთადერთი ცენტრფორვარდია - **მიროსლავ კლოზე**. მიუხედავად გერმანელი ექსპერტების ხშირი მოწოდებებისა, იოგიმ კვლავ არ უხმო „ლევერკუზენის" თავდამსხმელ **შტეფან კისლინგს**, რომელიც 2012 კალენდარულ წელს ყველაზე შედეგიანი გერმანელი თავდამსხმელია (19 გოლი 27 მატჩში). აქვე შეგახსენებთ, რომ **სამი ხედირა** (რეალი) და **ჰოლგერ ბადშტუბერი** (ბაიერნი) ტრავმირებულები არიან.

**მეკარეები:** *მანუელ ნოიერი (ბაიერნი), რენე ადლერი (ჰამბურგი)*

**მცველები:** *ჟერომ ბოატენგი, ფილიპ ლამი (ორივე ბაიერნი), მატს ჰუმელსი, მარსელ შმელცერი (ორივე ბორუსია /დ/), ბენედიქტ ჰიოვედესი (შალკე), პერ მერტეზაკერი (არსენალი), ჰაიკო ვესტერმანი (ჰამბურგი).*

**ნახევარმცველები:** *ლარს ბენდერი (ლევერკუზენი), მარიო გიოტცე, ილქაი გიუნდოგანი, მარკო როისი (ყველა ბორუსია /დ/), იულიან დრაქსლერი, რომან ნოიშტედტერი (ორივე შალკე), მესუთ იოზილი (რეალი), ტონი კროოსი, თომას მიულერი, ბასტიან შვაინშტაიგერი (ყველა ბაიერნი), ლუკას პოდოლსკი (არსენალი), ანდრე შიურლე (ლევერკუზენი).*

**თავდამსხმელი:** *მიროსლავ კლოზე (ლაციო)*

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XI ტურის წინ

# შავი კატა მესის და ვილიას შორის

## რონალდო, მუსიკოსი და ცენტრფორვარდი



ლიონელ მესის და დავიდ ვილიას შორის ყოველთვის ასეთი ურთიერთგაგება არ არის

წინა ტური „ბეტისმა" დაასრულა და ახალიც „ბეტისმა" დაიწყო, სევილიურმა კლუბმა, რომელსაც კარგი სტარტი გამოუვიდა ამ სეზონში, წუხელ მიიღო „გრანადა" ანდალუსიურ დერბიში, დანარჩენი მატჩები დღეს-ხვალ გაიმართება: გრანდები ხვალ თამაშობენ - „ბარსელონა" ბალეარის კუნძულებზე ჩადის, ხოლო „რეალი" - ვალენსიაში, ქალაქის მეორე გუნდთან სათამაშოდ.

**გუშინ**

ბეტისი-გრანადა 1:2

**დღეს**

**ვალეკანო-სელტა 19:00**

**ტრავმა:** როდრი - ლიორკა, ინსა

**ბოლო 6 მატჩი**

+2=0-4 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 20 თამაში: +8=7-5, (22-17)

**ესპანიოლი-ოსასუნა 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** ვაკასო - გონსალესი

**ტრავმა:** ლოპესი - ლამა, ბერტრანი, ნინო, მასუდი, პუნიალი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 24 თამაში: +8=5-11, (25-30)

**სარაგოსა-დეპორტივო 23:00**

**ტრავმა:** ობრადოვიჩი, ლანძარო - აგილარი, ვასკესი, სალომაო, ოლივეირა, მარჩენა, აიოსე

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 32 თამაში: +9=10-13, (39-45)

**მალაგა-სოსიედადი 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** კამაჩო, დემიკელისი (მალ)

**ტრავმა:** მონრეალი, ბაპტიშტა - ელუსტონდო, ბრავო, იფრანი (?), ზურუტუზა, ბერგარა, კადამურო, გრიზმანი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 22 თამაში: +6=5-11, (29-38)

**ხვალ**

**ვალიადოლიდი-ვალენსია 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** კოშტა (ვალ)

**ტრავმა:** ებერტი, სერენო, ვალიენტე (?) - კანალესი, მატიო

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 28 თამაში: +9=7-12, (30-41)

**ბილბაო-სევილია 19:00**

**ტრავმა:** გალარეტა, პერესი, ეკიზა - დელ მორალი, პეროტი, ბოტია, ტროხოვსკი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 34 თამაში: +8=10-16, (37-55)

**მალიორკა-ბარსელონა 20:50**

**ტრავმა:** ნუნიეში, სანტოსი, ჟ. ვიქტორი, მარკესი, ლოპესი, ნავარო, ხიმენესი - ალკანტარა, მუნიესა, პუიოლი, ადრიანო, კვენკა, აბიდალი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=0-5 +5=1-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 32 თამაში: +7=5-20, (28-62)

**ატლეტიკო-ხეტაფე 22:45**

**ტრავმა:** კოშტა - გავილანი (?), აბრაამი

**ბოლო 6 მატჩი**

+5=0-1 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 18 თამაში: +9=5-4, (27-17)

**ლევანტე-რეალი 00:30**

**ტრავმა:** გეკასი, დუდკა - ბენზემა, იგუაინი, ხედირა, მარსელო, ფ. კოენტრაო (?)

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +5=1-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 12 თამაში: +3=1-8, (9-32)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 10 | 9 | 1 | 0 | 32-12 | 28 |
| 2. ატლეტიკო | 10 | 8 | 1 | 1 | 22-11 | 25 |
| 3. რეალი | 10 | 6 | 2 | 2 | 25-7 | 20 |
| 4. ბეტისი | 11 | 6 | 1 | 4 | 18-17 | 19 |
| 5. მალაგა | 10 | 5 | 3 | 2 | 14-7 | 18 |
| 6. ლევანტე | 10 | 5 | 2 | 3 | 12-14 | 17 |
| 7. სევილია | 10 | 4 | 3 | 3 | 12-11 | 15 |
| 8. ვალიადოლიდი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-11 | 14 |
| 9. ვალენსია | 10 | 4 | 2 | 4 | 13-12 | 14 |
| 10. ხეტაფე | 10 | 4 | 1 | 5 | 12-16 | 13 |
| 11. ვალეკანო | 10 | 4 | 1 | 5 | 13-23 | 13 |
| 12. სარაგოსა | 10 | 4 | 0 | 6 | 9-15 | 12 |
| 13. მალიორკა | 10 | 3 | 2 | 5 | 10-15 | 11 |
| 14. ბილბაო | 10 | 3 | 2 | 5 | 14-20 | 11 |
| 15. გრანადა | 11 | 3 | 2 | 6 | 11-18 | 11 |
| 16. სელტა | 10 | 3 | 1 | 6 | 11-14 | 10 |
| 17. დეპორტივო | 10 | 2 | 4 | 4 | 15-20 | 10 |
| 18. სოსიედადი | 10 | 3 | 1 | 6 | 10-15 | 10 |
| 19. ესპანიოლი | 10 | 2 | 3 | 5 | 12-15 | 9 |
| 20. ოსასუნა | 10 | 1 | 2 | 7 | 8-15 | 5 |

**ბომბარდირები:** 13 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 11 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 10 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 8 - არიც ადურისი (ბილბაო).

### კაცი, რომელიც ცენტრფორვარდებს ჭამს

„ბარსელონას" რიგებში სიახლე უხვადაა, მაგრამ სანამ ამ ცვლილებებზე ვიტყვით **ტიტო ვილანოვას** ერთ თავის ტკივილზე უნდა მოგახსენოთ, რომელიც თითქოს არსაიდან გაჩნდა - **ლიონელ მესი** და **დავიდ ვილია** ერთმანეთს ველარ უგებენ, როგორც მინდორზე, ასევე, სავარაუდოდ, მის გარეთაც. ერთხელ, მეორედ და უკვე მესამედ გლაზგოს „პარკჰედზე", ეს უკვე აღარ არის შემთხვევითობა - მესიმ და ვილიამ მოედანზე უკვე მესამედ წაიჩხუბეს. როგორც წესი, კონფლიქტის ინიციატორი არგენტინელია, რომელიც გამუდმებით პასის დაგვიანებისთვის ეჩხუბება ასტურიელ ფორვარდს. „სელტიკთან" მატჩში ვილიამ იმის ნაცვლად, რომ ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი მესისთვის პასი მიეცა, კარისკენ დაარტყა. რასაც ლეოს უკმაყოფილო შეძახილები მოჰყვა, ვალში კი, ტრადიციულად, არც „ელ გუახე" დარჩა.

იმას არ ვამტკიცებთ, რომ მესი და ვილია ერთმანეთს სამკვდროდ გადაეკიდნენ, თუმცა მეგობრებიც რომ არ არიან, ცხადია - მესის სამეგობრო „ბარსაში" **პინტო, მასკერანო, დანი ალვეშით** შემოიფარგლება, მაგრამ ეს დაძაბული ურთიერთობა ყველაზე მეტად ვილანოვას აზარალებს, რომელსაც შეუთანხმებლად მოქმედი ფორვარდები ჰყავს.

მესი გუნდის ლიდერია, მას შეუძლია (და ამას ხშირადაც აკეთებს) მატჩის ბედი „ბარსას" სასარგებლოდ გადაწყვიტოს. ეს კარგად ესმით **ჩავის, ინიესტას, სესკს, ალვეშს** და **ალბას** და მესი მათგან პირველი მოთხოვნისთანავე (ან ამის გარეშეც) იღებს პასებს. ანალოგიურად იქცევიან **ტელიო** და **ალექსის სანჩესი,** თუმცა ამის მისაღწევად ლეოს ერთიორი დაბღვერა დასჭირდა. აი, ვილია კი სხვა საქმეა - ის თავისი ქმედებით არ სცნობს მესის ლიდერობას, მაგრამ ვილია ცენტრფორვარდია და ბუნებრივია, მატჩის ბედის გადაწყვეტა მისი საქმეცაა. ასე იყო ყველა გუნდში, სადაც „ელ გუახეს" უთამაშია და ახლა სხვანაირ ყოფას ის ვერ ეგუება. გამოდის, რომ... მიუხედავად მესის უფრო უკმეხად ქცევისა და ვილია მხოლოდ პასუხობს ხოლმე, გუნდის ინტერესებისთვის პრობლემა ვილიაშია. ზოგადად, მესის გვერდით ცენტრფორვარდები ვერ ხარობენ - **ეტოო, იბრაჰიმოვიჩი, კრკიჩი...** „ბარსაში" აღარც ერთია.

### ჩავის გარდა

„ბარსამ" შოტლანდიურ გუნდს ბურთის ფლობის რეკორდული მაჩვენებლით აჯობა - 80 20-ის წინააღმდეგ; სტუმრებმა 902:122 აჯობეს მასპინძლებს პასებში; „სელტიკმა" 18-ჯერ ჩააწოდა მეტოქის საჯარიმოში - მხოლოდ დანი ალვეშმა კი 19-ჯერ; კუთხურებიც „ბარსასი" იყო - 7:2. და, მიუხედავად ამისა - კატალონიელებმა წააგეს!

ამასობაში **კარლეს პუიოლი** უკვე ჯგუფთან ერთად ვარჯიშობს. ვიცით რა კაპიტნის ხასიათი, არ გამოვრიცხავთ, რომ „მალიორკასთანაც" ითამაშოს. ბალეარული კლუბი ახლა ყველაზე ცუდ ფორმაშია ლა ლიგაში - ბოლო 6 მატჩიდან 5 წააგო და მე-13 ადგილზე დაეშვა. ლიონელ მესიმ „პარკჰედზე" გოლი **ტიაგოს** უძღვნა, ახლახან შეძენილ ვაჟს. მომდევნო გოლი კი არგენტინელისთვის 2012-ში 75-ე იქნება და ის **პელეს** მიღწევას გაიმეორებს.

ტიტოს გუნდი პალმას გარკვეული პრობლემებით ეწვევა: საკადრო პრობლემებია დაცვაში, რის გამოც, ერთ დროს სანაქებო დაცვა ძალიან ბევრს უშვებს, მესი და ვილია ერთად ვერ თამაშობენ, ალექსის სანჩესი ყოველ ტურში ამტკიცებს, რომ „ბარსას" დონის ფეხბურთელი ვერ არის. ერთადერთი კაცი, რომლის მიმართაც პრეტენზია არავის უნდა ჰქონდეს **ჩავია** - 32 წლის ფეხბურთელმა შოტლანდიაში ფენომენალური ფეხბურთი ითამაშა: მისი, 170-დან 165 პასი ზუსტი იყო (97^%), კატალონიელთა აბსოლუტურად ყველა შეტევამ ჩავიზე გაიარა!

### მადრიდელი მუსიკოსები

ტურს „რეალი" „სიუტატ დე ვალენსიაზე" დაასრულებს, სადაც ყოჩაღ „ლევანტეს" ესტუმრება. ჩემპიონატში **ჟოზე მოურინიოსთვის** არ არსებობს შელავათი - დასაკარგავი ქულების ლიმიტი ამოწურულია. არადა, „ლევანტეს" ხელეწიფება გრანდების გამწარება. მით უმეტეს, რომ ახლა ვალენსიური კლუბი შესანიშნავ ფორმაშია - 6-დან 4 შეხვედრა მოიგო ბოლოს. ჟოზეს **გონსალო იგუაინი** არ ეყოლება, რომელიც დაახლოებით სამ კვირას იუქმებს. საეჭვოა **ქარიმ ბენზემას** თამაშიც. ყველაზე სავარაუდოა, რომ პორტუგალიელი ცენტრფორვარდად თანამემამულე **კრიშტიანო რონალდოს** დააყენებს, რომელსაც ბოლო მატჩებში ველარ გააქვს, თუმცა **პეპესთან** ერთად მუსიკალური ალბომის ჩაწერით ერთობა. ვარჯიში განაახლა **ფაბიო კოენტრაომ,** თუმცა **მარსელო** და **ხედირა** კვლავ ლაზარეთში არიან.

### ბიელსას ბოლო შანსი?

სხვა მატჩებიდან გამოვყოფთ მცირე მადრიდულ დერბის, მეორეადგილოსან „ატლეტიკოსა" და „ხეტაფეს" შორის. შეგახსენებთ, რომ 23-მატჩიანი წაუგებელი სვლის მერე **დიეგო სიმეონეს** გუნდმა ჯერ „ვალენსიასთან" წააგო, შემდეგ კი ევროთასებზე 16-მატჩიანი მოგების სერიაც შეწყვიტა კოიმბრაში „აკადემიკასთან" მარცხით. საინტერესო იქნება „ბილბაოსა" და „სევილიას" დაპირისპირება. შეიძლება ეს **მარსელო ბიელსას** ბოლო შანსიც კი იყოს.

ესპანეთის ნაკრები

## მატა დაბრუნდა, პელით სუსაეტას დებიუტს

გუშინ ესპანეთის ნაკრების თავკაცმა **ვისენტე დელ ბოსკემ** ნაკრების შემადგენლობა დაასახელა პანამის გუნდთან ამხანაგური მატჩისთვის. მარკიზმა სიტყვა შეასრულა, **ხუან მატა** ნაკრებში დააბრუნა, როგორც რამდენიმე დღის წინ შეჰპირდა მედიას. 19-კაციან სიაში ერთი პოტენციური დებიუტანტია - ბილბაოს „ატლეტიკის" გარემარბი **მარკელ სუსაეტა.** 24 წლის ნახევარმცველს აქამდე მხოლოდ ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია. მარკელ სუსაეტა ლასკურაინი ჰიპუსკოას პროვინციის ქალაქ ეიბარში დაიბადა. ის 10 წლის ასაკიდან „ატლეტიკშია", დებიუტი პირველ გუნდში კი 19 წლის ასაკში ჰქონდა.

მატჩი პანამაში 14 ნოემბერს გაიმართება.



მარკელ სუსაეტა ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშისას

**ესპანეთის ნაკრები**

**მეკარეები:** *ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა), იკერ კასილიასი (რეალი).*

მცველები: *მარტინ მონტოია, ხორდი ალბა (ბარსელონა), სერხიო რამოსი, რაულ ალბიოლი (რეალი), ხუანფრანი (ატლეტიკო).*

**ნახევარმცველები:** *ანდრეს ინიესტა, სესკ ფაბრეგასი, სერხიო ბუსკეტსი (ბარსელონა), ხავი მარტინესი (ბაიერნი), ბენიატ ეჩებარია (ბეტისი), სანტი კასორლა (არსენალი), მარკელ სუსაეტა (ბილბაო).*

**თავდამსხმელები:** *დავიდ ვილია, პედრო როდრიგესი (ბარსელონა), ხესუს ნავასი (სევილია), რობერტო სოლდადო (ვალენსია), ხუან მატა (ჩელსი).*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ A XII ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

# ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲖᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲙᲝᲖᲔ ᲛᲘᲓᲘᲡ

## ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲔᲠᲑᲘ

**ᲓᲦᲔᲡ**

**ᲙᲐᲚᲘᲐᲠᲘ-ᲙᲐᲢᲐᲜᲘᲐ 21.00**

**ტრავმა:** არიაუდო - კეკო, ტერაჩანო, აუგუსტინი, შაკა.

ᲑᲝᲚᲝ 6 ᲛᲐᲢᲩᲘ

+4=0-2 +2=1-3

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

სულ 16 თამაში: +7=2-7, (17-22)

**ᲞᲔᲡᲙᲐᲠᲐ-ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ 23.45**

**ტრავმა:** კრეშენცი, საველონი, ტერლიცი, ბრუგმანი, კოლუჩი, ბლაზი - პეპე.

ᲑᲝᲚᲝ 6 ᲛᲐᲢᲩᲘ

+2=1-3 +5=0-1

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

სულ 2 თამაში: +0=0-2, (0-3)

**ᲮᲕᲐᲚ**

**ᲞᲐᲚᲔᲠᲛᲝ-ᲡᲐᲛᲞᲓᲝᲠᲘᲐ 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** და კოშტა (სამპდორია).

**ტრავმა:** ერნანდესი, დონატი, ჩეტო, მიკოლი, მანტოვანი - ბერარდი, პოცი, კრსტიჩიჩი, მაქსი ლოპესი.

ᲑᲝᲚᲝ 6 ᲛᲐᲢᲩᲘ

+1=4-1 +0=0-6

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

სულ 20 თამაში: +8=5-7, (24-20)

**ᲛᲘᲚᲐᲜᲘ-ᲤᲘᲝᲠᲔᲜᲢᲘᲜᲐ 18.00**

**ტრავმა:** მესბა, შტრასერი, დიდაკ ვილა, მუნტარი, ანტონინი, აბატე - კამპორეზე, იოვეტიჩი.

ᲑᲝᲚᲝ 6 ᲛᲐᲢᲩᲘ

+2=2-2 +4=1-1

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

სულ 33 თამაში: +15=8-10, (48-38)

**ᲙᲘᲔᲕᲝ-ᲣᲓᲘᲜᲔᲖᲔ 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** დომიცი (უდინეზე).

**ტრავმა:** სკუიცი, პალოსკი, ცეზარი, დრამე - ბენეტია, პინცი, ბადუ, გაბრიელ სილვა, მურიელი.

ᲑᲝᲚᲝ 6 ᲛᲐᲢᲩᲘ

+2=1-3 +2=3-1

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

სულ 22 თამაში: +6=8-8, (22-24)

**ᲯᲔᲜᲝᲐ-ᲜᲐᲞᲝᲚᲘ 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბოვო (ჯენოა).

**ტრავმა:** ფერონეტი, ვარგასი, ბორიელო, ხორკერა - ცუნიგა.

ᲑᲝᲚᲝ 6 ᲛᲐᲢᲩᲘ

+0=2-4 +3=1-2

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

სულ 26 თამაში: +8=10-8, (34-34)

**ᲚᲐᲪᲘᲝ-ᲠᲝᲛᲐ 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** სკული - გუბერტი.

**ტრავმა:** ედერსონი - ლობონტი, სტეკელენბურგი

ᲑᲝᲚᲝ 6 ᲛᲐᲢᲩᲘ

+3=1-2 +3=0-3

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

სულ 39 თამაში: +12=12-15, (47-56)

**ᲞᲐᲠᲛᲐ-ᲡᲘᲔᲜᲐ 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ლარონდო, ვიტიელო, ტერცი, ბელმონტე (სიენა).

**ტრავმა:** სანტაკროჩე, გალოპა - მარტინესი, როდრიგესი, როზინა, ზე ედუარდო.

ᲑᲝᲚᲝ 6 ᲛᲐᲢᲩᲘ

+3=1-2 +1=1-4

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

სულ 14 თამაში: +6=7-1, (19-13)

**ᲢᲝᲠᲘᲜᲝ-ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲐ 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პორტანოვა (ბოლონია).

**ტრავმა:** სუჩუ, გაცი - პერესი, მორლეო, კარვალიო, აკვაფრესკა, ხიმენესი, ნატალი.

ᲑᲝᲚᲝ 6 ᲛᲐᲢᲩᲘ

+1=3-2 +1=1-4

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

სულ 10 თამაში: +2=6-2, (11-13)

**ᲐᲢᲐᲚᲐᲜᲢᲐ-ᲘᲜᲢᲔᲠᲘ 23.45**

**ტრავმა:** რადოვანოვიჩი, პერეირა პინტუ, კაპელი, ბელინი, სკოცარელა - კოუტინიო, მარიგა, სნეიდერი, კივუ, სტანკოვიჩი, ჯონათანი, რანოკია, სამუელი.

ᲑᲝᲚᲝ 6 ᲛᲐᲢᲩᲘ

+3=1-2 +6=0-0

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

სულ 28 თამაში: +4=7-17, (26-49)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

| | Თ | Მ | Ფ | Წ | Ბ | Ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ | 11 | 9 | 1 | 1 | 23-8 | 28 |
| 2. ᲘᲜᲢᲔᲠᲘ | 11 | 9 | 0 | 2 | 22-10 | 27 |
| 3. ᲜᲐᲞᲝᲚᲘ | 11 | 7 | 2 | 2 | 16-7 | 23 |
| 4. ᲤᲘᲝᲠᲔᲜᲢᲘᲜᲐ | 11 | 6 | 3 | 2 | 16-8 | 21 |
| 5. ᲚᲐᲪᲘᲝ | 11 | 6 | 1 | 4 | 16-15 | 19 |
| 6. ᲠᲝᲛᲐ | 11 | 5 | 2 | 4 | 26-20 | 17 |
| 7. ᲙᲐᲢᲐᲜᲘᲐ | 11 | 4 | 3 | 4 | 15-16 | 15 |
| 8. ᲐᲢᲐᲚᲐᲜᲢᲐ | 11 | 5 | 2 | 4 | 10-13 | 15 |
| 9. ᲞᲐᲠᲛᲐ | 11 | 4 | 3 | 4 | 14-16 | 15 |
| 10. ᲛᲘᲚᲐᲜᲘ | 11 | 4 | 2 | 5 | 17-13 | 14 |
| 11. ᲣᲓᲘᲜᲔᲖᲔ | 11 | 3 | 5 | 3 | 14-16 | 14 |
| 12. ᲙᲐᲚᲘᲐᲠᲘ | 11 | 4 | 2 | 5 | 11-17 | 14 |
| 13. ᲢᲝᲠᲘᲜᲝ | 11 | 2 | 6 | 3 | 12-10 | 11 |
| 14. ᲞᲔᲡᲙᲐᲠᲐ | 11 | 3 | 2 | 6 | 8-17 | 11 |
| 15. ᲡᲐᲛᲞᲓᲝᲠᲘᲐ | 11 | 3 | 2 | 6 | 13-16 | 10 |
| 16. ᲙᲘᲔᲕᲝ | 11 | 3 | 1 | 7 | 10-21 | 10 |
| 17. ᲯᲔᲜᲝᲐ | 11 | 2 | 3 | 6 | 10-15 | 9 |
| 18. ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲐ | 11 | 2 | 2 | 7 | 12-17 | 8 |
| 19. ᲞᲐᲚᲔᲠᲛᲝ | 11 | 1 | 5 | 5 | 9-17 | 8 |
| 20. ᲡᲘᲔᲜᲐ | 11 | 3 | 3 | 5 | 12-14 | 6 |

*ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ:**

8 – ელ შაარავი (მილანი); 7 – კავანი (ნაპოლი), დი ნატალე (უდინეზე), მილიტო (ინტერი), ლამელა (რომა).

**ᲠᲝᲛᲐᲣᲚᲘ** დერბი არა მარტო იტალიური, ევროპული მასშტაბითაც ერთ-ერთი ყველაზეც ცხელი დაპირისპირებაა, რომლის პროგნოზირებაც ურთულესი საქმეა. საერთოდ, ცენტრალური შეხვედრები სერია A-ში გვიან საღამოს იმართება, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როდესაც "ლეგა კალჩო" სხვაგვარ გადაწყვეტილებას იღებს. "ლაციო" და "რომა" ერთმანეთს დღისით, მზისით შეხვდებიან, რათა არეულობის და გულშემატკივართა შორის დაპირისპირების ალბათობა რაც შეიძლება მცირე იყოს. მოკლედ, იტალიელები თავს იზღვევენ, რადგან კვირას, ერთმანეთს ორი რომაული გუნდი შეასკდება...

**ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲔᲑᲘ**

**ლაციო (4-5-1):** მარკეტი - კონკო, ბიავა, დიასი, ლულიჩი - კანდრევა, ერნანესი, ლედესმა, გონსალესი, მაური - კლოზე.

**რომა (4-3-3):** გოიკოეჩეა - პირისი, მარკინიოსი, კასტანი, ბალცარეტი - დე როსი, ტაჩტიდისი, ფლორენცი - ლამელა, ოსვალდო, ტოტი.



■ ■ ■

"გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, მწვრთნელები საყვარელ ტაქტიკებს არ უღალატებენ - "ლაციო" 4-5-1-ით გაირჯება, "რომა" კი 4-3-3-ს დაუპირისპირებს მეტოქეს. როგორც ხედავთ, გუნდები ოპტიმალური შემადგენლობით ხვდებიან მოახლოებულ პაექრობას და ამ მხრივ, საწუწუნო ბევრი არაფერი აქვთ. მართალია, "რომა" ძირითად კიპერს, **მარტინ სტეკელენბურგს** მოისაკლისებს, მაგრამ თუ უკანასკნელ ტენდენციებს გავითვალისწინებთ, არც ესაა განსაკუთრებული პრობლემა. **ზდენეკ ზემანს** ჰოლანდიელი ისედაც მოსდის თვალში და თანაც, მისმა დუბლიორმა **მაურო გოიკოეჩეამ** "პალერმოსთან" შეხვედრაში ბრწყინვალედ იასპარეზა. დიახ, ურუგვაელი ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა და დღეს უკვე საკითხავია, ვის მიიჩნევს ზემანი ძირითად მეკარედ.

"ლაციოს" **მიროსლავ კლოზე** დაუბრუნდა, რომელიც "რომას" ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდის სტატუსით დაუპირისპირდება. მის უკან ტრადიციული ხუთეული გაირჯება **კანდრევას, ერნანესის, გონსალესის, ლედესმას** და **მაურის** შემადგენლობით. "რომა" ტრიოთი შეუტევს, ფლანგებზე **ერიკ ლამელა** და **პაბლო ოსვალდო** იმოქმედებენ, ცენტრფორვარდის პოზიციაზე კი **ფრანჩესკო ტოტი** გაირჯება.

**ფრანჩესკო ტოტი (რომა):** *"ჩემი თამაში ეჭქვეშ იყო, თუმცა კუნთი აღარ მაწუხებს და დერბისთვის სრულ მზადყოფნაში ვარ. მიმდინარე სეზონში არასტაბილურად ვასპარეზობთ და ამას წერტილი უნდა დავუსვათ. თანაქალაქელის დამარცხება დიდი სტიმული იქნება საიმისოდ, რომ არსებული პრობლემები დავძლიოთ. ეჭვი არ მეპარება, რომ ზემანი ტაქტიკას არ შეცვლის - ჩვენ ისევ სამი ფორვარდით შევუტევთ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს".*

**მიროსლავ კლოზე (ლაციო):** *"რომაული დერბი უდავოდ ყველაზე მხურვალე დაპირისპირებაა, რომელშიც ოდესმე მითამაშია. ერთი სული მაქვს როდის დაიწყება მატჩი, რადგან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. "რომა" ძალიან ძლიერი გუნდია, რომელსაც ერთი კონკრეტული შეხვედრის ჩატარება უმაღლეს დონეზე შეუძლია. თუმცა, ჩვენ გვჯერა საკუთარი ძალის და მიზნის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ".*

### ᲙᲝᲜᲢᲔᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ

ბევრმა იფიქრა, რომ "ინტერთან" წაგების შემდეგ "იუვენტუსს" ჩავარდნა დაეწყებოდა, მაგრამ ამ ეტაპზე, ასეთ ვარაუდს არავითარი საფუძველი არ აქვს. ტურინელებმა მარცხი მშვიდად მიიღეს და ჩემპიონთა ლიგაზე "ნორდსიელანდს" გადაუარეს. დღეს, "ვეკია სენიორა" "პესკარას" დაუპირისპირდება და ბუნებრივია, რომ სამი ქულის მოპოვებას შეეცდება. "გაძეტა დელო სპორტის' ინფორმაციით, **ანტონიო კონტე** ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელს დაასვენებს და საერთოდაც, "დელფინებს" ექსპერიმენტალურ შემადგებნლობას დაუპირისპირებს. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, ძირითადი შემადგენლობის მიღმა დარჩებიან: **ანდრეა ბარცალი, ლეონარდო ბონუჩი, ანდრეა პირლო, კვადვო ასამოა** და **სებასტიან ჯოვინკო.** შეტევის წინა ხაზზე სავარაუდოდ **მირკო ვუჩინიჩი** და **ფაბიო კვალიარელა** გაირჯებიან.

საინტერესო მატჩი შედგება "სან სიროზე", სადაც "მილანი" "ფიორენტინას" უმასპინძლებს. ლომბარდიელებმა წინა ტურში "კიევო" გაანადგურეს და აღმავლობის დასაწყისზე ალაპარაკდნენ... თუმცა, თუ ვინმეს აქვს ამ ეტაპზე პროგრესზე სასაუბრო, ეს უფრო "ფიორენტინაა", გუნდი, რომელმაც მიჯრით მოიგო შეხვედრები და ჩემპიონთა ლიგის საგზურს დაუმიზნა. ფლორენციაში უკვე ღიად ითხოვენ სამეულში მოხვედრას, ამ გზაზე კი არც "მილანთან" მარცხი იქნება საპატიო. "ვიოლას" მხოლოდ ორი ფეხბურთელი ჰყავს ტრავმირებული, მაგრამ იქედან ერთი ისეთია, ათს რომ უდრის. "მილანის" წინააღმდეგ **სტევან იოვეტიჩი** ვერ ითამაშებს, რომელმაც ვერ მოასწრო ტრავმის მოშუშება.



### ᲛᲘᲚᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲕᲜᲔᲑᲐᲜᲘ

"მილანის" ლაზარეთში ყოველთვის მოიძებნება რამდენიმე ფეხბურთელი და ასეა ამჯერადაც. ტრავმირებულთა რიცხვს **ინაციო აბატეც** შეემატა, რომელსაც "მალაგასთან" თამაში მინიმუმ 2-კვირიან უქმობად დაუჯდება. იოვეტიჩის არყოფნაში, "ფიორენტინა" **ლიაიჩი-ე;ჰამდაუის** ტანდემით შეუტევს, "მილანს" კი სავარაუდოდ **ელ შაარავი-პატო-ბოიანის** ტრიო ეყოლება.

ტური ბერგამოული შეხვედრით დასრულდება, სადაც ერთმანეთის პირისპირ ორი "ნერაძური" წარსდგება. "ინტერმა" გამარჯვებები ევროპალიგაზეც გააგრძელა და შეეცდება, რომ სერია არც "ატალანტასთან" შეწყვიტოს. **ანდრეა სტრამაჩონი** შეტევის წინა ხაზზე ნაცად ტრიოს დაეყრდნობა **როდრიგო პალასიოს, ანტონიო კასანოსა** და **დიეგო მილიტოს** შემადგენლობით. სტრამაჩონი დიდ გულზეა და მეტოქეს ემუქრება:

*"ბერგამოში თამაში ყოველთვის რთულია, თუმცა ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. უმძიმესი გრაფიკი გვაქვს, სამ დღეში ერთხელ ვთამაშობთ, მაგრამ ფეხბურთელები ფიზიკურ დატვირთვებს თავისუფლად უძლებენ. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმის, რომ ზაფხულის საწვრთნელი პროცესი კარგად წარვმართეთ. თუ ასე გავაგრძელეთ, ფორმის პიკზე ყველაზე საჭირო მომენტში გავალთ. როდის იქნება ეს მომენტი? - ამაზე ლაპარაკი ადრეა, ჯერ უახლოეს პაექრობას უნდა მივხედოთ. "ატალანტა" უნდა დავამარცხოთ, სხვა შედეგი ჩვენთვის მიუღებელია".*

**ლაშა ნიკლაური**

**ᲓᲔᲠᲑᲘ ᲓᲔᲚᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲔ**

**ᲓᲝᲡᲘᲔ**

**ᲡᲣᲚ 170 ᲛᲐᲢᲩᲘ**

*რომა - 63, ფრე - 60, ლაციო - 47, ბურთები: 209-167*

**ᲡᲔᲠᲘᲐ A-ᲨᲘ 138 ᲛᲐᲢᲩᲘ**

*რომა - 48, ფრე - 54, ლაციო - 36, ბურთები: 168-132*

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲘ: **დინო და კოსტა (რომა) - 11 გოლი**

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔᲛᲔᲢᲘ ᲓᲔᲠᲑᲘ: **ფრანჩესკო ტოტი (რომა) - 28 მატჩი**

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ᲚᲘᲒᲐ 1. XII ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

# ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

**ᲒᲣᲨᲘᲜ**

| | |
|---|---|
| ᲜᲐᲜᲡᲘ-ᲠᲔᲜᲘ | 1:3 |

**ᲓᲦᲔᲡ**

| | |
|---|---|
| ᲚᲘᲚᲘ-ᲑᲠᲔᲡᲢᲘ | 20:00 |
| ᲡᲢ. ᲔᲢᲘᲐᲜᲘ-ᲢᲠᲣᲐ | 23:00 |
| ᲑᲐᲡᲢᲘᲐ-ᲕᲐᲚᲐᲜᲡᲘᲔᲜᲘ | 23:00 |
| ᲠᲔᲘᲛᲡᲘ-ᲔᲕᲘᲐᲜᲘ | 23:00 |
| ᲢᲣᲚᲣᲖᲘ-ᲐᲘᲐᲩᲝ | 23:00 |

**ᲮᲕᲐᲚ**

| | |
|---|---|
| ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲘ-ᲜᲘᲪᲐ | 17:00 |
| ᲚᲝᲠᲘᲐᲜᲘ-ᲑᲝᲠᲓᲝ | 20:00 |
| ᲡᲝᲨᲝ-ᲚᲘᲝᲜᲘ | 20:00 |
| ᲛᲝᲜᲞᲔᲚᲘᲔ-ᲞᲡᲟ | 00:00 |

| | Თ | Მ | Ფ | Წ | Ბ | Ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ᲞᲡᲟ | 11 | 6 | 4 | 1 | 17-7 | 22 |
| 2. ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲘ | 10 | 7 | 1 | 2 | 14-8 | 22 |
| 3. ᲚᲘᲝᲜᲘ | 10 | 6 | 3 | 1 | 18-10 | 21 |
| 4. ᲢᲣᲚᲣᲖᲘ | 10 | 5 | 4 | 1 | 18-10 | 19 |
| 5. ᲠᲔᲜᲘ | 12 | 6 | 1 | 5 | 14-17 | 19 |
| 6. ᲕᲐᲚᲐᲜᲡᲘᲔᲜᲘ | 11 | 5 | 3 | 3 | 23-12 | 18 |
| 7. ᲡᲔᲜᲢ ᲔᲢᲘᲔᲜᲘ | 11 | 5 | 3 | 3 | 19-8 | 18 |
| 8. ᲚᲘᲚᲘ | 11 | 4 | 5 | 2 | 15-12 | 17 |
| 9. ᲠᲔᲘᲛᲡᲘ | 11 | 4 | 3 | 4 | 12-9 | 15 |
| 10. ᲑᲝᲠᲓᲝ | 10 | 3 | 6 | 1 | 12-10 | 15 |
| 11. ᲚᲝᲠᲘᲐᲜᲘ | 11 | 3 | 6 | 2 | 19-21 | 15 |
| 12. ᲑᲐᲡᲢᲘᲐ | 11 | 4 | 2 | 5 | 17-25 | 14 |
| 13. ᲑᲠᲔᲡᲢᲘ | 11 | 4 | 1 | 6 | 11-17 | 13 |
| 14. ᲛᲝᲜᲞᲔᲚᲘᲔ | 11 | 3 | 3 | 5 | 16-16 | 12 |
| 15. ᲜᲘᲪᲐ | 11 | 2 | 6 | 3 | 15-17 | 12 |
| 16. ᲐᲘᲐᲩᲝ | 11 | 3 | 4 | 4 | 10-15 | 11 |
| 17. ᲔᲕᲘᲐᲜᲘ | 10 | 2 | 2 | 6 | 10-17 | 8 |
| 18. ᲡᲝᲨᲝ | 10 | 2 | 1 | 7 | 9-17 | 7 |
| 19. ᲢᲠᲣᲐ | 11 | 1 | 4 | 6 | 11-20 | 7 |
| 20. ᲜᲐᲜᲡᲘ | 12 | 1 | 2 | 9 | 5-21 | 5 |

*ᲐᲘᲐᲩᲝᲡ – 2 ᲥᲣᲚᲐ

**ბომბარდირები:** 10 – იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 7 – ობამეიანი (სენტ ეტიენი), ბენ იედერი (ტულუზი).

**ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ** ჩემპიონატის მე-12 ტურის ცენტრალური მატჩი კვირას, გვიან ღამით, მონპელიეში გაიმართება, სადაც ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი, "მონპელიე" ვიცე-ჩემპიონი "პარი სენ ჟერმენს" ხვდება. **ჩემპიონთა ლიგაში გუნდებმა განსხვავებულად ითამაშეს – რენე ჟირარის შეგირდებმა საბერძნეთში წააგეს და ჯგუფიდან გასვლის ყველანაირი შანსი დაკარგეს, პარიზელებმა კი საკუთარ მოედანზე ზაგრების "დინამო" გაანადგურეს და მერვედფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს.**

ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებლად გამოსვლის შემდეგ, რენე ჟირარს მთლიანად ეროვნულ პირველობაზე გადმორთვა შეუძლია, სადაც გუნდს საქმეები არცთუ ისე კარგად მისდის – "მონპელიე" 12 ქულით მე-14 პოზიციას იკავებს და 10 ქულით ჩამორჩება პსჟ-ს, რომელსაც შინ აგერ უკვე 9 წელია ვერ უგებს. ბოლოს "მონპელიემ" პარიზელი სტუმარი 2003 წელს დაამარცხა და იმის შემდეგ ჩატარებულ 3 შეხვედრაში 2-ჯერ ქულას გამორჩა, ერთხელ კი, შარშანდელ სეზონში, დამარცხდა. მთელი წინა სეზონის განმავლობაში ჩემპიონმა შინ სულ ერთი მატჩი წააგო, ისიც კონკურენტ "პარი სენ ჟერმენთან", თანაც დიდი ანგარიშით - 0:3. გოლები პარიზელების მხრიდან **კევინ გამეირომ** და **ხავიერ პასტორემ** გაიტანეს, ამ უკანასკნელმა დუბლი შეასრულა.



პსჟ-ს იბრაჰიმოვიჩი არ ეყოლება

ორივე გუნდს საკმაოდ სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. მასპინძლებს, დიდი ხნით ტრავმირებული **ქარიმ აიტფანას** გარდა, დისკვალიფიცირებული **მაპუ იანგა-მბივა** და ტრავმირებული **ვიტორინო ილტონი** არ ეყოლებათ. სტუმრებს კი ტრავმის გამო **კევინ გამეირო** დააკლდებათ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ვერ ითამაშებს **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, ვინც წინა ტურში გააძევეს და დისკვალიფიცირებულია.

საინტერესო უნდა გამოდგეს "სოშოს" და ერთ-ერთი პოტენციური ლიდერის, "ლიონის" დაპირისპირება. შარშან ამ გუნდების მატჩი "სოშომ" მოიგო და ეს მართლაც აღსანიშნავი მოვლენაა, რადგან იქამდე მასპინძლები "ოლიმპიკს" საკუთარ მოედანზე 9 წლის განმავლობაში ვერ ამარცხებდნენ, თანაც ამ 9 წლის განმავლობაში "სოშო" და "ლიონი" "სტად აუგუსტ ბონალზე" ერთმანეთს 8-ჯერ შეხვდნენ და ყველა მატჩი "ლიონმა" მოიგო. საერთოდ ამ გუნდების ბოლო 19 მატჩიდან "ლიონმა" 14 მოიგო, 3 ფრედ დასრულდა და მხოლოდ 2-ჯერ დამარცხდა. ამ სტატისტიკიდანაც ჩანს, რომ ფავორიტი **რემი გარდის** გუნდია, თუმცა მონბელიარელები ბოლო პერიოდში კარგად ათამაშდნენ და სტუმებს იოლად არაფერს დაუთმობენ.

ჩემპიონატის კიდევ ერთი პოტენციური ლიდერი "მარსელი" "ნიცას" მასპინძლობს. "ოლიმპიკის" ფეხბურთელები ცუდ ხასიათზე არიან, რადგან მოინხენგლადბახის "ბორუსიასგან" გოლი ბოლო წამებზე გაუშვეს და უმნიშვნელოვანესი 3 ქულის ნაცვლად, მხოლოდ 1 აიღეს. **ელი ბოპს** ისევ ვერ ექნება **ჯოი ბარტონის** იმედი, რომელმაც "ბორუსიასთან" გოლი პირდაპირ კუთხურიდან გაიტანა – ინგლისელი ლიგა 1-ში დისკვალიფიცირებულია. ასევე არ იქნება **ანდრე-პიერ ჟინიაკიც**, რომელიც დიდი ხანია ტრავმირებულია. მიუხედავად ამ დანაკლისისა, "მარსელი" ვალდებულია მოიგოს, მით უმეტეს, მეტოქეს ტრავმების გამო ერთბაშად 4 წამყვანი ფეხბუთელი აკლია.

მიუნხენში შერცხვენილი "ლილი" კი "ბრესტს" მასპინძლობს და ეცდება, რომ გერმანიაში შელახული რეპუტაცია ოდნავ მაინც აღიდგინოს. **რუდი გარსიას** სრული შემადგენლობა ჰყავს იმისთვის, რომ ზედიზედ მესამე მატჩი მოიგოს და კონკურენტების წარუმატებლობის შემთხვევაში, ხუთეულში შევიდეს.

**ტატო ბაციკაძე**

ᲐᲨᲨ. MLS. ᲞᲚᲔᲘ-ᲝᲤᲘ.

# ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲣᲢᲘᲢᲣᲚᲝᲓ ᲓᲐᲠᲩᲐ



ანრიმ "რედ ბულსს" ვერაფერი უშველა

**ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ-ᲓᲘ ᲡᲘ ᲘᲣᲜᲐᲘᲢᲔᲓᲘ 0:1**

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ 1:1)

**გოლი:** 0:1 დელეონი (89).

**ᲡᲝᲚᲢ ᲚᲔᲘᲙᲘ-ᲡᲘᲔᲢᲚᲘ 0:1**

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ 0:0)

**გოლი:** 0:1 მ. მარტინესი (81).

**ᲐᲨᲨ-ᲨᲘ** ოთხივე ნახევარფინალისტი გაირკვა. "ლოს ანჯელეს გელექსის" და "ჰიუსტონ დინამოს", გუშინ "დი სი იუნაიტედი" და "სიეტლ საუნდერსი" შეუერთდნენ. ორივე გუნდმა სტუმრად მოიგო და წყვილში ფავორიტად მიჩნეული მეტოქე დაამარცხა.

განსაკუთრებით დაძაბული ნიუ იორკში გამართული მატჩი გამოდგა. "რედ ბულსი" ერთადერთი გუნდია აშშ-ში, რომელიც MLS-ში ლიგის დაარსებიდან მონაწილეობს და საჩემპიონო ტიტული არასდროს მოუპოვებია. "დიდი ვაშლის" წარმომადგენლებს იმედი ჰქონდათ, რომ **ტიერი ანრის, რაფაელ მარკესის, ტეემუ ტაინიოს** და **ტიმ კეჰილის** ხელშეწყობით, ამ უილბლო პერიოდს ბოლოს მოუღებდნენ, მაგრამ ნიუიორკელებს კიდევ მინიმუმ ერთი წლით მოუწევთ მოცდა.

ვაშინგტონში გამართული პირველი მატჩი 1:1 დასრულდა, შესაბამისად 0:0 მასპინძლებს აწყობდათ და წარმატებამდე მხოლოდ რამდენიმე წუთი დააკლდათ. საოცარი მატჩი ჩაატარა "ვაშინგტონის" მეკარე **ბილ ჰამიდმა**, რომელმაც პირველ შეხვედრაში საკუთარ კარში გაიტანა. ჰამიდს გმირობა არც ამ შეხვედრაში დასცალდა, რადგან 70-ე წუთზე საჯარიმოში **კენი კუპერი** წააქცია და წითელი ბარათი მიიღო, მისი გუნდის კარში კი პენალტი დაინიშნა, რომელიც თავად დაზარალებულმა გაიტანა, მაგრამ არბიტრმა თავიდან დაარტყმევინა და კუპერმა მეორე ცდით გატანა ველარ შეძლო.

ამ მომენტიდან რამოდენიმე წუთში მეორე ყვითელი ბარათი **რაფაელ მარკესმა** მიიღო და ნიუიორკელებიც ათნი დარჩნენ. შეხვედრის ერთადერთი გოლი 89-ე წუთზე **ნიკ დელეონმა** გაიტანა. გაშვებული ბურთის შემდეგ, მასპინძელთა შვედმა მთავარმა მწვრთნელმა, **ჰანს ბაკემ** მოედანზე **კაკას** ძმა **დიგაო** გამოიყვანა, მაგრამ "რედ ბულსს" ვერც ის დაეხმარა. საბოლოოდ 0:1 და "დი სი იუნაიტედი" აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში "ჰიუსტონ დინამოს" შეხვდება.

საკმაოდ დაძაბული იყო მეორე მატჩიც, რომელიც სოლტ ლეიკ სიტიში გაიმართა და "სიეტლ საუნდერსის" გამარჯვებით დასრულდა. "სიეტლი" დარჩენილ კლუბებს შორის ერთადერთია, რომელიც აშშ-ს ჩემპიონი არასდროს გამხდარა. "საუნდერსი" დასავლეთ კონფერენციის ფინალში "ლოს ანჯელეს გელექსის" შეხვდება. პირველი მატჩები ჰიუსტონსა და ლოს ანჯელესში, თბილისის დროით 12 ნოემბერს გაიმართება.

**ტატო ბაციკაძე**

ᲙᲝᲞᲐ ᲡᲣᲓᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲜᲐ.
1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

COPA SUDAMERICANA

**ᲣᲜᲘᲕ. ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲐ-ᲘᲜᲓᲔᲞᲔᲜ. 2:1**

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ 2:2)

**გოლები:** 1:0 მ. რიოსი (16-პენ), 1:1 ხ. სანტანა (36), 2:1 მ. რიოსი (38).

**ᲢᲘᲒᲠᲔ-ᲡᲔᲠᲝ ᲞᲝᲠᲢᲔᲜᲘᲝ 4:2**

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ 0:1)

**გოლები:** 1:0 მ. ეჩევერია (19), 2:0 ბოტა (45), 3:0 სანტანდერი (51), 3:1 სალსედო (62), 3:2 ფაბრო (71), 4:2 დონატი (75).

**ᲒᲣᲨᲘᲜ** კოპა სუდამერიკანას კიდევ ორი ნახევარფინალისტი გაირკვა. "უნივერსიდად კათოლიკამ" არგენტინულ "ინდეპენდიენტეს" უმასპინძლა და მიუხედავად იმისა, რომ 63-ე წუთზე **ფერნანდო კორდერო** გაუძევეს, 2:1 მოუგო. სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა, **ამერიკო გალიეგომ** უცნაური გადაწყვეტილება მიიღო და გუნდის ლიდერები სათადარიგოთა სკამზე დასვა, არადა, არგენტინის ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრაში, გალიეგომ ლიდერები ასევე არ ათამაშა. საბოლოოდ "ინდეპენდიენტემ" ტორნეო ინისიალშიც წააგო და კოპა სუდამერიკანადაც გავარდა.

ტურნირი არგენტინული გუნდის გარეშე მაინც არ დარჩა – "ტიგრე", რომელსაც ეროვნულ პირველობაზე მოგება არ აქვს, სუდამერიკანაზე წარმატებულ სვლას აგრძელებს. მასპინძლებმა პარაგვაული "სერო პორტენიო" 4:2 დაამარცხეს და 1/2 ფინალში გავიდნენ. ამ შეხვედრაში გამორჩეული იყო **რუბენ ბოტა** – 22 წლის ფეხბურთელმა ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა, საგოლედ უპასა **ფედერიკო სანტანდერს** და ბოლოს, 82-ე წუთზე წითელი ბარათიც მიიღო. კაცნაკლულობის მიუხედავად "ტიგრემ" ორბურთიანი უპირატესობა შეინარჩუნა და მომდევნო ეტაპზე გავიდა.

**ტატო ბაციკაძე**

## ქართული სპორტი

● სამბო. მსოფლიოს პირველობა

# ოქროს დასაწყისი

## ბაინდუროვი მსოფლიოს ჩემპიონია

მინსკში დაწყებული სამბისტთა მსოფლიოს პირველობის სასტარტო დღე წარმატებული აღმოჩნდა საქართველოს ნაკრებისთვის, რადგან სამი სპორტსმენიდან ორმა მედალი მოიპოვა, მათ შორის კი ერთი ოქროა - მსოფლიოს ჩემპიონი 27 წლის **გრიგოლ ბაინდურაშვილი** (90) გახდა, რომელიც ახლა **ბაინდუროვის** გვარით გამოდის. 52 კილოგრამში ბრინჯაოს მედალოსანი ფოთელი **ნუკრი ბერაია** გახდა.

ბაინდუროვი სპორტში თავიდან სწორედ სამბოდან მოვიდა, მაგრამ მერე სამბისტთა უმეტესობის მსგავსად მანაც ძიუდოში გადაინაცვლა, როგორც ოლიმპიურ სახეობაში. ცუდად არც იქ გამოდიოდა და პეკინის ოლიმპიადის



საგზურიც მოიპოვა, თუმცა ნაკრების ხელმძღვანელობამ ჩინეთში მის ნაცვლად სხვა წაიყვანა. ამ გულისტკივილმა ბაინდუროვი საბოლოოდ მიაბრუნა სამბოსკენ და გუშინ ოცნებაც აისრულა.

თუმცა მსოფლიოს ჩემპიონობასაც გააჩნია - ფინალში ჩვენებურმა იმდენად დიდი უპირატესობით, ისე დამაჯერებლად დაჯაბნა რუსი **ედუარდ კურგინიანი**, ბარე ორ ფინალს ეყოფოდა. თავად განსაჯეთ - ბაინდუროვმა 10:1 მოიგო! დაგვეთანხმებით, ასეთი სხვაობა უბრალო უპირატესობას არ ნიშნავს. არადა, მეტოქე მსოფლიოს ორგზის პრიზიორი და ევროპის ჩემპიონია.

კურგინიანმა თავიდანვე შეუტია და უკვე 20 წამში მტკივნეულის გაკეთებას შეეცადა. ბაინდუროვმა შეძლო თავის დაცვა და ამის შემდეგ უფრო ტაქტიკურ ჭიდაობას მიეძალა - ჩავლებებით ცდილობდა მეტოქის შეტევების შეჩერებას, თვითონ კი ძირითადად შიდა სარმებით ცდილობდა ფონს გასვლას. ამ მონაკვეთში რუსთა კრასნოდარელი სომეხი უფრო აქტიური იყო, ჩვენებური კი ძირითადად მისი შეტევების ჩაშლით იყო დაკავებული. ამგვარმა ვითარებამ დაახლოებით 3 წუთი გასტანა, ამასობაში კი რუსმა სწორედ ამ აქტიურობით ერთი ქულაც დაიმსახურა და დაწინაურდა. ეს წითელი ნაჭერი აღმოჩნდა ბაინდუროვისთვის, რომელიც თანდათან გააქტიურდა. მართალია, ეს არ იყო უკანმოუხედავი შეტევა, თითქოს დიდად არც ტემპი გაუზრდია, მაგრამ შეტევას მეტი დრო დაუთმო, რამაც საოცარი შედეგი მოიტანა - ორ წუთზე ნაკლებ დროში სამი ჩინებული გდება და 10 ქულა! ჩვენებურს ქართული ჭიდაობის ილეთებიც დიდად დაეხმარა. ჯერ იყო და, ვარდნაში წამოღებული კისრულით ისეთი გდება შეასრულა, ძიუდოში იპონს უყოყმანოდ რომ მისცემდნენ - 2 ქულა და ის 2:1 დაწინაურდა. რუსი ფიზიკურად საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა და ტემპი არც დაწინაურების შემდეგ დაუგდია, ხოლო ჩამორჩენამ სულ მთლად გაახელა. ერთ მომენტში ბაინდუროვმაც დრო იხელთა და შეტევაში გართული მეტოქე 4-ქულიან „წისქვილზე" დაატრიალა - 6:1. შეხვედრის დამთავრებამდე წამები რჩებოდა, როცა ვა-ბანკზე წასული მეტოქე, როგორც იტყვიან, ილეთზე „მოაჯდა" ქართველს და მანაც შანსი ხელიდან არ გაუშვა, მორიგი უზადო გდებით მონაგარი კიდევ 4 ქულით გაიხვავრიელა და მსოფლიოს ჩემპიონობაც გაიფორმა. ამ დროს სასტვენამდე 10-ოდე წამი რჩებოდა, რომლის გაყვანაც ტექნიკის საქმე იყო, მერე კი დადგა დრო, როცა ახალმა ჩემპიონმა გუნდის ექიმ **ზურაბ კახაბრიშვილის** მიერ მიწოდებული პატრიარქის დალოცვილი იმ ცნობილი დროშით, რომელსაც ყველა ტურნირზე დაატარებენ ჩვენები და გამარჯვების შემდეგ ყველგან ფრიალებს, ლეიბს საპატიო წრე დაარტყა, ბოლოს კი ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელ **ავთანდილ ცინცაძეს** და საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტ **სოსო ლიპარტელიანს** გადაეხვია. ორგანიზატორებმა მისი დაჯილდოებაც ლიპარტელიანს მიანდეს, რომელმაც შეგირდს მრავალი ჩემპიონობა უსურვა.

მასპინძელთა გასახარად, ამ წონაში ბრინჯაოს მედალი ძიუდოში ევროპის ჩემპიონმა **ანდრეი კაზუსიონაკმა** მოიპოვა, მეორე ბრინჯაოს კი ყაზახი **ერკინ დონიუროვი** დაეუფლა.

ვფიქრობთ, ამ ეტაპზე მესამე ადგილი წარმატებაა ბერაიასთვისაც. გუშინ ჩვენგან უმედლოდ **ლევან ნახუცრიშვილი** დარჩა.

დღეს მინსკში ვაჟთაგან 57, 74 და 100 კილოგრამის წარმომადგენლები იჭიდავებენ ანუ ჩვენგან მსოფლიოს ჩემპიონი **უშანგი კუზანაშვილი** (57), **ბესო ბერულავა** (74) და მსოფლიოს პრიზიორი **ლევან ყორყოლიანი** (100) გამოვლენ, ხვალ კი **ლევან ქოჩიევი** (62), **ნიკო კუცია** (82) და **ნოდარ მეტრეველი** (+100) იასპარეზებენ. დღესვე ვიხილავთ საქმეში ჩვენი გუნდის ქალთა დუეტს - **შორენა შარაძესა** (64) და **ირინა ლეონიძეს** (80).

**ირაკლი თავაძე**

● ძიუდო. არჩევნები



# ხახალეიშვილი ფედერაციის პრეზიდენტობას აპირებს

26 ნოემბერს გასამართ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი კიდევ ერთმა კანდიდატმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა **დავით ხახალეიშვილმაც** გამოთქვა. ამ მოსალოდნელი ამბის შესახებ ხმები დიდი ხანია, ვრცელდებოდა, თუმცა ქუთაისელი ფალავანი სურვილს ღიად არ ადასტურებდა, ახლა კი ოფიციალურად აცნობა ფედერაციას.

შეგახსენებთ, რომ აქამდე საპრეზიდენტო არჩევნებში ერთადერთი კანდიდატი **მამუკა ხაბარელი** იყო.

**ირაკლი თავაძე**

● ჩოგბურთი



ოქსანა კალაშნიკოვა

# კალაშნიკოვა ფინალშია

ინდურ პუნეში დასასრულს უახლოვდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი („როიალ ინდიან ოუფენი"), რომლის საპრიზო ფონდია 125.000 დოლარი. როგორც გაუწყეთ, ქართველი ჩოგბურთელები — **სოფიო შაფათავა** და **ოქსანა კალაშნიკოვა** ერთეულთა თანრიგში ადრევე დაემშვიდობნენ ტურნირს, სამაგიეროდ კალაშნიკოვა წყვილებში ყოჩაღობს. რუს ნინა ბრატჩიკოვასთან (ერთეულთა თანრიგში მან შაფათავას მძლეველ პეტკოვიჩთან წააგო) ერთად მან პირველ ტურში ინდოელებს (ბოსალე, ტომბარე) აჯობა — 6:3, 6:3, შემდეგ უკრაინელები — ოლგა სავჩუკი და ელინა სვიტოლინა დაჯაბნა — 7:5, 6:2, ნახევარფინალში კი ჩინელებს — იუ ქსუს და იი-მია ჰოუს დააყრევინა ფარ-ხმალი — 6:3, 7:5. ფინალში გასვლით კალაშნიკოვამ და ბრატჩიკოვამ წყვილებში 117 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავეს. ოქსანა და ნინა გადამწყვეტ პაექრობას პირველ ნომრად განთესილ ევა ბირნეროვას (ჩეხეთი) და ანდრეა კლეპაჩის (სლოვენია) მძლეველ (6:3, 6:4) მე-4 ნომერ იულია გლუშკოს (ისრაელი) და ლერტჩეევაკანის (ტაილანდი) დუეტს შეხვდებიან.

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი

# მარიბორში საათები ჩაირთო

სლოვენიურ მარიბორში დაიწყო 8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც საქართველოს 18 წარმომადგენელი მონაწილეობს. გუშინწინ პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა.

8-წლიან გოგონებში წარმატებით აიღო სტარტი ევროპის თასის მფლობელმა **დიანა ლომაიამ**, რომელმაც შავი ფიგურებით ინდოელი დას ნირანჯანა დაამარცხა. სამწუხაროდ, მას მხარი ვერ აუბა **ნიკოლოზ კაჭარავამ** — საქართველოს ჩემპიონმა ბელარუს ივან რუნეტსთან წააგო.

**10-წლიან** გოგონებში, რატომღაც, წარმომადგენელი არ გვყავს, ბიჭებში კი **ნიკოლოზ პეტრიაშვილი** ვალერი შემიაკინს (უკრაინა) დანებდა, **დავით კამკიამ** მექსიკელ ივან ქუიროგას აჯობა, **ლუკა ობოლაძემ** შოტლანდიელ ვაგიფ რამაზანოვს სძლია.

**12-წლიანებში: ლილე ქორიძე** — ნიკოლა მაირჰუბერი (ავსტრია) 1:0, კარლო ტარპინიანი (ლიბანი) — **აკაკი ახვლედიანი** 0:1.

**14-წლიანები: ნინო ხომერიკი** — გულნარა მირზაევა (რუსეთი) 1:0, **ნინო დახუნდარიძე** — ჰუ იუ (ჩინეთი) 0,5:0,5, ეზგი მენზი (თურქეთი) — **მაია მუმლაძე** 1:0; **გიორგი სიბაშვილი** — ოგუზ ონერი (თურქეთი) 1:0, ანტონი დელგადო (პუერტო რიკო) — **ნოე თუთისანი** 0:1.

**16-წლიანები:** ლარა იანზელჯი (სლოვენია) — **ანა შამათავა** 0:1, **ნატო იმნაძე** — საკ ჩანდრასირი (შრილანკა) 1:0; **ირაკლი ბერაძე** — ალექსანდრე ფლორეა (კანადა) 1:0, **გიგლა ბენიძე** — ამირ კოფსარინია (ირანი) 0:1, იურგენ გიონაჯი (ალბანეთი) — **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** 0:1.

**18-წლიანები:** კაროლინა ტურკოვა (სლოვაკეთი) — **მერი არაბიძე** 0:1. ფაქტობრივად, აქ ჩემპიონობისთვის ბრძოლა ტურნირის რეიტინგფავორიტ არაბიძესა (2391) და რუს ალექსანდრა გორიჩკინას (2378) შორის წარიმართება. ამ ასაკში 80 მონაწილეს შორის მხოლოდ ეს ორი მოჭადრაკეა დიდოსტატი, შვიდი კი საერთაშორისო ოსტატია.

გუშინ მე-2 ტურში ჩვენებურთა პარტიები ასე დამთავრდა.

**8-წლიანები:** დიანა ლომაია — მირუნა-დარია ლეხაჩი (რუმინეთი) 1:0, ნიკოლოზ კაჭარავა—ჰრაგ ლახოიანი (ლიბანი) 1:0.

**10-წლიანები.** ლუკა ობოლაძე — ველიმირ ივიჩი (სერბეთი) 0:1, დავით კამკია— ერდენე ბაასანსურენი (მონგოლეთი) 0,5:0,5, დომენ ლავრიხი (სლოვენია) — ნიკოლოზ პეტრიაშვილი 0:1.

**12-წლიანები.** სელინა მოსესი (გერმანია) — ლილე ქორიძე 0:1, აკაკი ახვლედიანი — ალექსანდრ კრუმპი (აშშ) 0,5:0,5.

**14-წლიანები.** სირანუშ გუკასიანი (სომხეთი) — ნინო ხომერიკი 0:1, დინარა დოჯიევა (რუსეთი) — ნინო დახუნდარიძე 1:0, დორსა დერახშანი (ირანი) — მაია მუმლაძე 1:0; ნოე თუთისანი — პავლო ვორონცოვი (უკრაინა) 1:0, ზახარი ლოჰი (ავსტრალია) — გიორგი სიბაშვილი) 0:1.

**16-წლიანები.** ანა შამათავა — დესპინა სერეფიდუ (საბერძნეთი) 1:0, ნაბილა აზმანი (მალაიზია) — ნატო იმნაძე 0.,5:0,5, ტანრაჯ სოჰალი (კანადა) — ირაკლი ბერაძე 0:1, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი — სიინ ვიბერტი (აშშ) 0:1, ნიკ რესლი (სლოვენია) — გიგლა ბენიძე 0:1.

**18-წლიანები.** მერი არაბიძე — საბინა იბრაჰიმოვა (აზერბაიჯანი) 0,5:0,5.

**ვაჟა დანელია**

● საქართველოს ოლიმპიელთა კლუბი

# ამირანის ცეცხლი სკოლაში

ქართული სპორტის ხელშეწყობა, მოზარდებისა და სტუდენტების ფიზიკურ აქტივობაში ჩართვა, სწორი კვებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია - აი, ამ იდეების განხორციელებას ისახავს მიზნად საქართველოს ოლიმპიელთა კლუბი, რომელიც სხვადასხვა თაობის ოლიმპიელებს, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებს აერთიანებს.

გუშინ კლუბის ინიციატივით თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში წარმატებულმა მოსწავლეებმა სიმბოლური „ამირანის ცეცხლი" შეიტანეს, რომელიც ოლიმპიელთა კლუბის ორგანიზებით 26 ოქტომბერს მყინვარწვერიდან ჩამოიტანეს. ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძე** (იგი დაარსებიდან ოლიმპიელთა კლუბის საპატიო წევრია), სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **კახი კახიაშვილი**, ლონდონის თამაშების გამარჯვებული **ლაშა შავდათუაშვილი**, მსოფლიოს ჩემპიონი **რამაზ ნოზაძე**, მსოფლიო მოგზაური **ჯუმბერ ლეჟავა**, ევროპის ჩემპიონი **ელისო ბედოშვილი**, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი**, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი **გურამ ძაგანია**, სპორტული კომენტატორი **ჯამლეტ ხუხაშვილი**.

**ვაჟა დანელია**

**თამუნა ყულუმბეგაშვილის** ფოტო



## განცხადება

2012 წლის 8 დეკემბერს, 14 საათზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში გაიმართება საქართველოს **მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის** ყრილობა.

**დღის წესრიგი:**

ოლიმპიურ ციკლში გაწეული მუშაობის ანგარიში;

ფედერაციის ახალი შემადგენლობის არჩევა.

პრეზიდენტის კანდიდატურის ფედერაციაში წარდგენის ბოლო ვადაა 2012 წლის 26 ნოემბრის 17 საათი. (ტელ: 577 40 80 01).

ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი და ფსკ „დინამო" ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გასული საუკუნის 60-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

**ომარ თარგამაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

● თავისუფალი ჭიდაობა. ერთა თასი

# მოსკოვში რუსებს ავცდით

მოსკოვში გუშინ დაიწყო „ერთა თასის" გათამაშება ჭიდაობაში. გუშინ ქალებმა იასპარეზეს, დღეს კი ტურნირში „თავისუფალ" და ბერძნულ-რომაულ სტილში მოჭიდავე ვაჟები ჩაებმებიან.

მოგეხსენებათ, მოსკოვში ჩვენგან მხოლოდ „თავისუფლები" გამოდიან ასეთი შემადგენლობით: **ტრისტან ჩირგაძე** (55), **ბექა ლომთაძე** (60), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), **ჯუმბერ ყველაშვილი** (74), **თორნიკე სვანიძე** (84), **გიორგი მეშვილდიშვილი** (96) და **გენო პეტრიაშვილი** (120). ესაა გუნდური შეჯიბრება, რომელშიც ევროპის პირველობის ექვსი საუკეთესო ნაკრები მონაწილეობს. მოსკოვში ჩვენებს წილისყრამ გაუმართლა- ისინი B ჯგუფში მოხვდნენ თურქეთისა და ბელარუსის გუნდებთან ერთად. ამით ასცდნენ მასპინძლებს, რომლებიც მეორე ჯგუფში არიან უკრაინასა და ბულგარეთთან. მართალია, იოლი მეტოქე არც ოდითგანვე და ტრადიციულად ძლიერი თურქეთია და არც ბოლო წლებში ძირითადად ჩრდილო კავკასიელებით გაძლიერებული, თუმცა დიდწილად საკუთარი მოჭიდავეებითაც ფრთებგაშლილი ბელარუსი (თუნდაც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, ეროვნებით ბელარუსი **ალექსეი შემაროვი** გავიხსენოთ), მაგრამ რუსეთის ნაკრები ტურნირის გამოკვეთილი ფავორიტია და კარგია, მათ რომ ავცდით. სხვათა შორის, გუშინ რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის საიტმა ჩაატარა გამოკითხვა ქომაგთა შორის, ვინ მიაჩნიათ რუსთა მთავარ კონკურენტად. გულშემატკივართა აბსოლუტურმა უმრავლესობამ - 248 კაცმა მათ მთავარ მეტოქედ ჩვენი გუნდი დაასახელა. შედარებისთვის - ვამოკითხვაში მეორეზე თურქები გავიდნენ 164 ხმით.

დღეს გაიმართება ჯგუფური ეტაპის შეხვედრები, ხვალ - ფინალები.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ტურში ორი ცენტრალური მატჩია



მარცხნიდან მესამე ვიქტორ კოლელიშვილი

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ პირველ დივიზიონში დღეს მორიგი, მე-11 ტურის შეხვედრები გაიმართება. აღსანიშნავია, რომ დღესვე საფრანგეთის ნაკრები ტესტ მატჩს ჩაატარებს ავსტრალიის ნაკრებთან, ამიტომ წამყვანი გუნდების ურავლესობა ლიდერების გარეშე არიან დარჩენილნი და მათი შეხვედრების პროგნოზირება ძალზედ სარისკო საქმეა.**

შეგახსენებთ, რომ მე-11 ტურის წინ სატურნირო ცხრილის პირველი ხუთი საფეხური ქართველ მორაგბეთა გუნდებს უკავიათ. ესენია: „ტულონი", „კლერმონი", „ტულუზი", მონპელიე" და „კასტრი". საპლეიოფო ექვსეულთან ახლოს იმყოფება პარიზული „სტად ფრანსეც".

გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონი" სტუმრად ეთამაშება უახლოეს მდევარს **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონს".

ტურის ცენტრალური შეხვედრის მიმართ ინტერესი არ განელდება მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე წამყვანი მოთამაშე არ იქნება, რადგან თავიანთ ეროვნულ ნაკრებებში არიან გამოძახებულნი. ასე მაგალითად, „ტულონს" უკანა ხაზში დააკლდებიან **ფრედერიკ მიშალაკი** და **მაქსიმ მერმოსი**, კიდევ უფრო მეტი დანაკლისი აქვთ ტულონელებს შერკინებაში, **საიმონ** შოუ, **კარლ ჰეიმანი** და **კრის მასო** ნებისმიერი გუნდისთვის უდიდესი ძალაა.

არანაკლებად გადახალისებული იქნება „ვულკანების" შემადგენლობაც, **ვესლი ფოფანა, მორგან პარა** და **ტომას დომინგო** საფრანგეთის ნაკრებში არიან მიწვეულნი. **ნათან ჰაინსი, ჟულიენ მალზიო** და **გერჰარდ ვოსოლო** კი ტრავმირებულნი არიან.

*„ჩვენთვის ეს მორიგი კალენდარული მატჩია და მეტი არაფერი"* - განაცხადა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე „ტულონის" მთავარმა მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა. სრულიად განსხვავებულად ფიქრობს კლერმონელთა თავკაცი, ახალზელანდელი **ვერნ კოტერი**:

*„სერიოზული ბრძოლა გველის, მოხარული ვიქნები, თუ წლევანდელი სეზონის საუკეთესო გუნდს დავამარცხებთ".*

ბერნარ ლაპორტმა დავით ქუბრიაშვილი და კონსტანტინე მიაქუტაძე წინასწარ, 24-კაციან განაცხადში შეიყვანა. სავარაუდოდ, კლერმონელთა ძირითად გუნდში ითამაშებს დავით ზირაქაშვილი.

არანაკლებ საინტერესო იქნება მესამე და მეოთხეადგილოსნების დაპირისპირებაც. **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი" შინ მიიღებს **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიეს".

ტულუზელებს, რომლებიც 34 ქულით მესამე ადგილზე არიან, სხვადასხვა მიზეზების გამო 15 მორაგბე დააკლდებათ. აქედან ნახევრაზე მეტი თავიანთ ეროვნულ ნაკრებებში არიან გამოძახებულნი. ტრავმირებულთა შორის იმყოფებიან კაკოვინი და ბრეგვაძე. ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია ამ მხრივ „მონპელიე". მათგან „ლე ბლოში" მხოლოდ ორი — **ფრანსუა ტრინ-დუკი** და **ფულენსე უოდაროგო** არიან გამოძახებულნი. თუმცა ეს ორი მოთამაშე მონპელიელებისთვის სერიოზულ ძალას წარმოადგენენ.

განაცხადში არ არის ასევე შერკინების ქართველი ბურჯი გიორგი ჟღენტი, მამუკა გორგოძე კი მეორე ხაზში ითამაშებს, ნარიაშვილი სათადარიგოთა შორის იქნება. აღსანიშნავია, რომ ტულუზელებმა „მონპელიეს" ბოლო შვიდი მატჩიდან შვიდივე მოუგო.

28 ქულით მეხუთე ადგილზეა **ანტონ ფექირიშვილის** „კასტრი", რომელიც გათამაშების ერთ-ერთ აუტსაიდერს „ბორდოს" სტუმრად ეთამაშება. აღსანიშნავია, რომ ბორდოელებმა ბოლო სამ საშინაო მატჩში მეტოქეს სამივეჯერ მოუგეს.

„კასტრი" წლეულს, ისევე როგორც შარშანდელ სეზონში, კარგად, მაგრამ მაინც არასტაბილურად ასპარეზობს. ჩვენებურის გუნდი საკუთარ მოედნზე დაუმარცხებელია. აი, სტუმრად თამაში კი ძალიან უჭირს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ „კასტრს" სამმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.

ანტონ ფეიქრიშვილი ტრავმის მოშუშების შემდეგ შესანიშნავ ფორმაშია და ძირითად შემადგენლობაში ითმაშებს.

**ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე" 20 ქულით მე-9 ადგილზეა და მე-11 ტურში გამარჯვების შემთხვევაში საპლეიოფო ექვსეულს საგრძნობლად დაუახლოვდება. პარიზელები შინ მიიღებენ „აჟენს". მეტოქის დამარცხება ჩვენებურის გუნდს ძალიან გაუჭირდება, რადგან მათ დააკლდებიან საფრანგეთის ნაკრებში მიწვეული **პასკალ პაპე**, იტალიის ნაკებში მიწვეული **სერჯო პარისე**, არგენტინის ნაკრებში მიწვეული **ფელიპე კონტეპომი** და აშშ-ს ნაკებში გამოძახებული **სკოტ ლა ვილა**. ამასთან ერთად, დაშავებულია ფიჯელი მორკინალი **ვაისეა ვუიდრავუვალუ**.

ცხადია, „სტად ფრანსესთვის", რომელიც უკვე თითქმის კრიზის დაძლევის გზას დაადგა, ეს ძალიან დიდი დანაკლისია, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ მეტოქე, „აჟენი" ერთ-ერთი აუტსაიდერია და სტუმრად სუსტად ასპარეზობს, პარიზელებმა, წესით მაინც უნდა მოიგონ.

სატურნირო ცხრილის ფსკერზეა **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანი", რომელსაც მოგებათა გრაფაში ისევ ნული უწერია და სულ რაღაც ორი ქულა აქვს დაგროვებული. ჩვენებურის გუნდი სტუმრად ეთამაშება პარიზულ „მეტრო რასინგს" და სავარაუდოდ ამ შეხვედრასაც წააგებს.

**I დივიზიონი**

**XI ტური**

**ტულუზი-მონპელიე, კლერმონი-ტულონი, მეტრო რასინგი-მონ დე მარსანი, სტად ფრანსე-აჟენი, გრენობლი-ბაიონი, ბორდო-კასტრი, ბიარიცი-პერპინიანი**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 41 ქულა, 2. კლერმონი - 36, 3. ტულუზი - 34, 4. მონპელიე - 32, 5. კასტრი - 28, 6. გრენობლი - 26, 7. პერპინიანი - 21, 8. ბიარიცი - 20, 9. სატდ ფრანსე - 20, 10. მეტრო რასინგი - 20, 11. ბაიონი - 19, 12. ბორდო - 15, 13. აჟენი - 15, 14. მონ დე მარსანი - 2.



მარჯვნივ ანტონ ფეიქრიშვილი

ტესტები



# ფიჯი ტესტებს ინგლისით იწყებს

**ნოემბრის ტესტებში საქართველოს ნაკრების მეტოქე ფიჯის ეროვნული გუნდი ევროპულ ტურნეში პირველ შეხვედრას ლონდონში, ინგლსური რაგბის მექაში, „თვიქნემზე" ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან გამართავს.**

ფიჯელები ერთ კვირაზე მეტია ბრიტანეთში იმყოფებიან და მომავალი ბატალიებისთვის ემზადებიან. მომდევნო შეხვედრა მათ დუბლინში ერთი კვირის თავზე ირლანდიის ნაკრებთან აქვთ. 24 ნოემბერს კი თბილისში „ბორჯღალოსნებს" დაუპირისპირდებიან.

ფიჯელებმა ევროპაში 32 მორაგბე იახლეს, ამათგან ნახევარმა შარშან ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში იასპარეზა. ინგლისელებთან მატჩში ამ ნაკრების შემადგენლობაში ოთხი უმაღლესი რანგის მორაგბე ითამაშებს, ესენია: **ვერენეკი გონევა, სირელი ნაკელევუკი, აკაპუსი ქერა** და **დიკონ მანუ**.

შეგახსენებთ, რომ ფიჯელთა მთავარმა მწვრთნელმა **ინოკი მალემ** ფრანგული და ინგლისური ბობოლა კლუბების წინააღმდეგ გაილაშქრა. მათი მეშვეობით ამ ქვეყნებში უამრავი ახალგაზრდა ფიჯელი მორაგბე ხვდება, რომელთაგანაც საუკეთესოები ფიჯის ნაკრებში თამაშზე უარს ამბობენ. ცხადია, მათ ინგლისელები და ფრანგები ფულით აცდუნებენ. ინოკი მალე IRB -ს სთხოვს მიიღოს კანონი, რომლის მეშვეობითაც ფიჯელები ადგილობრივი ნიჭიერი მორაგბეების შენარჩუნებას შეძლებენ.

ახლახან კი განსჯის საგანი კიდევ ერთი თემა გახდა. ფრანგული „მეტრო რასინგის" ყოფილმა მორაგბემ **საიმონ მანიქსმა** განაცხადა, რომ 2011 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში ამ გუნდში მოასპარეზე ფიჯელებს კლუბის ხელმძღვანელებმა ეროვნულ ნაკრებში თამაშის უფლება არ დართეს. მეტიც, ამ მორაგბეებს სანაცვლოდ იმაზე მეტი გადაუხადეს, ვიდრე ჯამაგირის სახით ილებდნენ.

არადა, IRB-ის წესდების თანახმად კლუბი ვალდებულია, ყოველ მიზეზგარეშე გაათავისუფლოს მორაგბე და ეროვნულ ნაკრებში მის ასპარეზობას ხელი არ შეუშალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოქმედდება ის სანქციები, რაც ამავე ორგანიზაციის სადისციპლინო კოდექსითაა გათვალისწინებული.

ერთი სიტყვით, თუ ამ საქმეს მსვლელობა მიეცა, მსოფლიოს რაგბიში გახმაურებულ სკანდალს უნდა ველოდოთ. თუმცა, ისიც სავარაუდოა, რომ IRB-მა დაზარალებული ფიჯელების გასაჭირი გულთან ახლოს არ მიიტანოს. ამასთან ერთად, ისიც საგულისხმოა, რომ ფიჯის ნაკრებთან ძალიან ბევრი სკანდალი და წესდების დარღვევის ფაქტია დაკავშირებული. ქვეყანას დიქტატორი მართავს და გამორიცხული არ არის, რომ ამ ფაქტორმაც ზემოაღნიშნული ფაქტის განხილვისას გადამწყვეტი როლი ითამაშოს.

**ფიჯი ტესტებს ინგლისით იწყებს**

**ინგლისი:** 15. ალექს გუდი, 14. ჩარლი შარპლი, 13. მანუ ტუილაგი, 12. ბრედ ბარიტი, 11. უგო მუნი, 10. ტობი ფლუდი, 9. დენ კერი. 1. ჯო მარლერი, 2. ტომ იანგსი, 3. დენ კოლი, 4. ტომ პალმერი, 5. გოფ პარლინგი, 6. ტომ ჯონსონი, 7. კრის რობშო, 8. ტომას ვალდრომი.

16. დევიდ პაისი, 17. მაკო ვუნიპოლა, 17. ჯო ლანჩბერი, 19. ტომ ვუდი, 20. ბენ იანგსი, 21. ოუენ ფარელი, 22. მაიკ ბრაუნი.

**ფიჯი:** 15. სიმელი კონიფრედი, 14. სამუ ვარა, 13. ვერენეკი გონევა, 12. სირელი ნაკელევუკი, 11. ვატისონი ვოტუ, 10. მეტუისელა ტალებულა, 9. ნიკოლა მატავალუ. 1. რატუ მაკუტუ, 2. ვილიამ ვეკისო, 3. დეკონ მანუ, 4. ლეონ ნაკავარა, 5. აპისოლამე რატუნიარავა, 6. აპი ნაიკატანი, 7. მალაკი რავულო, 8. აკაპუსი ქერა.

16. სერემია ნაურეურე, 17. სეტაფანო სამოსა, 18. მანასა საულო, 19. საკონია კალუ, 20. ლიესა რატუვა, 21. კელემედი ბოლა, 22. ჯოშ მატავესი.

**17 ნოემბერი**

ირლანდია-ფიჯი

**24 ნოემბერი**

საქართველო-ფიჯი

ჭაბუკთა A ლიგა

# წინ ლელო და ქუთაისია

საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა A ლიგის გათამაშებაში ნახევარფინალის პირველი მატჩები გაიმართა. თბილისის „ლელომ" შინ უმძიმეს ბრძოლაში მინიმალური სხვაობით დაამარცხა რუსთავის „ხარები" - 8:7.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში ბრძოლა არანაკლებ დაძაბული გამოდგა, რომელშიც თბილისის „აკადემიამ" შინ წააგო „ქუთაისთან" - 10:13.

განმეორებითი შეხვედრები 16 ნოემბერს გაიმართება.

**ჭაბუკთა A ლიგა**

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| ლელო-ხარები | 8:7 |
| აკადემია-ქუთაისი | 10:13 |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

● სუპერლიგა 2012-13. III ტურის რჩეულნი

# ბოუის სიბრძნე: ცოდნა უმოქმედოდ უსარგებლოა



საქართველოს ჩემპიონატის მესამე ტურის ცენტრალურ მატჩში „დინამომ“ „რუსთავი“ მიიღო. გაიმარჯვეს სტუმრებმა, რომელთა წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა გამთამაშებელმა **ნეით ბოუიმ.** მან 10-დან 5 ორქულიანი, 3-დან 3 სამიანი, 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 20 ქულას 11 მოხსნა და 6 პასი მიამატა. მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა 31-ს უწია. ჟურნალისტებმა ტურის საუკეთესო კალათბურთელად სწორედ ნეითი დავასახელეთ. მისი უკეთ გაცნობის მიზნით შემოგთავაზებთ ამონარიდს ბოუის ჩანაწერიდან („დინამოსთან“ მატჩამდეა შესრულებული), რომელიც საიტ „ევრობასკეტზე“ გამოქვეყნდა.

*„წერა ნამდვილად სასარგებლოა, რადგან ზოგჯერ წაგების განცდებს გავიწყებს. თუმცა ჩემი გუნდი ჯერ დაუმარცხებელია. არის შემთხვევები, როცა თამაშს შესანიშნავად იწყებ, მაგრამ ასე ვერ ასრულებ. ზოგჯერ პირიქით ხდება - ცუდად იწყებ და კარგად ამთავრებ. სწორედ მეორე შემთხვევა მოგვივიდა საქართველოს ჩემპიონატის საწყის ორ მატჩში.*

*სტუ-სთან შეხვედრაში პირველ ხუთწუთეულში არაფერი გამოგვდიოდა, თუმცა მას მერე თამაში დავალაგეთ და გავიმარჯვეთ კიდეც - 94:62. სადებიუტო შეხვედრას ყოველთვის ახლავს ნერვიულობა, თუმცა ძნელია ამას დაბრალდეს მეორე მატჩში ჩავარდნაც: „სამედიცინომ“ პირველი პერიოდი 21:14 მოგვიგო. ამჯერადაც იოლად მოვახერხეთ გადაწყობა. მეორე ათწუთეულში დაცვაში მყარად დავდექით და მეტოქეს მხოლოდ 6 ქულა ჩავაგდებინეთ.*

*ძალიან მეხმარებიან როგორც ამერიკელი, ასევე ქართველი თანაგუნდელები, კაელი, მიხეილი, ლუკა, გიორგი, რევაზი... ტუჯანის თითოეული მოხსნის შემდეგ სწრაფი იერიშის საშუალება გვეძლევა. „რუსთავი“ თამაშიდან თამაშამდე იკვრება და ერთმანეთს უფროდაუფრო უკეთესად ვუგებთ. ეს შედეგებშიც ისახება.*

***გახსოვდეთ, ცოდნა არაფრისმომცემია, თუ მას არ გამოვიყენებთ.***

*ნეით ბოუი“.*




| | |
|---|---|
| ოლიმპი-ბათუმი | 94:63 |
| დინამო-რუსთავი | 64:78 |
| შსს აკადემია-თსუ | 82:68 |
| არმია-სამედიცინო | 95:45 |
| ქუთაისი-სტუ | 76:63 |

## რეკორდები

**ქულა**

30 - კირკ არჩიბეკი (შსს აკადემია)
2-ქულ 10/16; 3-ქულ 0/0; საჯ 10/14
27.10.12 შსს-სოხუმი

**მოხსნა**

14 - სტეფან მილოშევიჩი (ოლიმპი)
(მეტოქ: 6; საკუთ: 10)
03.11.12 ოლიმპი-ბათუმი

**ჩაჭრა**

4(ორჯერ) - ნეით ბოუი (რუსთავი)
20.10.12 სტუ-რუსთავი
26.10.12 რუსთავი-სამედიცინო

4 - ბექა ჩიკვილაძე (დინამო)
20.10.12 დინამო-თსუ
4 - ირაკლი ძიძიგური (სტუ)
02.11.12 ქუთაისი-სტუ
4 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
03.11.12 შსს-თსუ

**პასი**

12 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
03.10.12 შსს-თსუ

**დაფარება**

8 - მილან ოლუიჩი (დინამო)
26.10.12 ბათუმი-დინამო

### ქულა

| | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 2 | 49 | 24.5 |
| 2 | ლამარ კარიმი | დინამო | 3 | 71 | 23.67 |
| 3 | კირკ არჩიბეძი | შსს აკადემია | 3 | 66 | 22 |
| 4 | გივი ბაქრაძე | თსუ | 3 | 62 | 20.67 |
| 5 | ნეით ბოუი | რუსთავი | 3 | 61 | 20.33 |
| 6 | ლევან ფაცაცია | ოლიმპი | 2 | 39 | 19.5 |
| 7 | ჩად პრევიტი | შსს აკადემია | 3 | 54 | 18 |
| 8 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 3 | 51 | 17 |
| 9 | გიორგი ნანიტაშვილი | ბათუმი-რსუ | 3 | 49 | 16.33 |
| 10 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 3 | 47 | 15.67 |
| 11 | ნოდარ თენიეშვილი | ოლიმპი | 2 | 27 | 13.5 |
| 12 | გიორგი პირველაშვილი | სტუ | 2 | 27 | 13.5 |
| 13 | სტენ სოკი | ოლიმპი | 2 | 27 | 13.5 |
| 14 | მილან ოლუიჩი | დინამო | 3 | 40 | 13.33 |
| 15 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 2 | 26 | 13 |
| 16 | გრიგოლ შვანგირაძე | სოხუმი | 2 | 26 | 13 |

### მოხსნა

| | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 2 | 12 | 15 | 27 | 13.5 |
| 2 | სერჟი ასელაინი | თსუ | 2 | 4 | 20 | 24 | 12 |
| 3 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 2 | 8 | 14 | 22 | 11 |
| 4 | კირკ არჩიბეძი | შსს აკადემია | 3 | 15 | 18 | 33 | 11 |
| 5 | მილან ოლუიჩი | დინამო | 3 | 12 | 21 | 33 | 11 |
| 6 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 3 | 6 | 23 | 29 | 9.67 |
| 7 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 3 | 9 | 18 | 27 | 9 |
| 8 | ჩად პრევიტი | შსს აკადემია | 3 | 10 | 16 | 26 | 8.67 |
| 9 | იოაკიმ შელგომი | არმია | 2 | 10 | 6 | 16 | 8 |
| 10 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 3 | 4 | 19 | 23 | 7.67 |

### პასი

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 2 | 21 | 7 | 10.5 |
| 2 | სტენ სოკი | ოლიმპი | 2 | 13 | 3.25 | 6.5 |
| 3 | გიორგი გამყრელიძე | არმია | 2 | 12 | 2.4 | 6 |
| 4 | რატი ბააკაშვილი | სოხუმი | 2 | 11 | 2.2 | 5.5 |
| 5 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 3 | 16 | 1.6 | 5.33 |
| 6 | ვახტანგ ჩქარეული | თსუ | 3 | 16 | 2.29 | 5.33 |
| 7 | რევაზ დიდია | ქუთაისი | 3 | 15 | 1.5 | 5 |
| 8 | ნეით ბოუი | რუსთავი | 3 | 14 | 7 | 4.67 |

### ჩაჭრა

| | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნეით ბოუი | რუსთავი | 3 | 10 | 3.33 |
| 2 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 3 | 10 | 3.33 |
| 3 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 2 | 6 | 3 |
| 4 | გიორგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 3 | 7 | 2.33 |
| 5 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 3 | 6 | 2 |
| 6 | მიხეილ ჟოჟუა | რუსთავი | 3 | 6 | 2 |
| 7 | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 3 | 6 | 2 |
| 8 | რევაზ ჩაჩანიძე | რუსთავი | 2 | 4 | 2 |
| 9 | დავით დეკანოიძე | სოხუმი | 2 | 4 | 2 |

### დაფარება

| | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილან ოლუიჩი | დინამო | 3 | 14 | 4.67 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 3 | 5 | 1.67 |
| 3 | კირკ არჩიბეძი | შსს აკადემია | 3 | 4 | 1.33 |
| 4 | რომან ტუკვაძე | სამედიცინო | 3 | 4 | 1.33 |

### შეცდომა

| | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გივი ბაქრაძე | თსუ | 3 | 16 | 5.33 |
| 2 | გიორგი გაფრინდაშვილი | სამედიცინო | 3 | 16 | 5.33 |
| 3 | გიგა კვეტენაძე | სტუ | 2 | 9 | 4.5 |
| 4 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 3 | 12 | 4 |
| 5 | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 3 | 11 | 3.67 |
| 6 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 3 | 11 | 3.67 |
| 7 | გიორგი ხანიაშვილი | თსუ | 3 | 11 | 3.67 |

● ქართველი უკრაინაში

# არც მაიმუნები დაინდეს



მოკლედ, უკრაინის მშენებელთა გუნდ „ბუდიველნიკს“ ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია მალე პასუხს მოსთხოვს - კიეველებმა ერთმანეთის მიყოლებით გაამწარეს „ზვიგენები“ (ოდესა), „ვეფხვები“ (დონეცკი), „მაიმუნები“ (ჩერკასი)... ბოლო მატჩში „ბუდიველნიკი“ „მაიმუნებს“ ესტუმრა და 80:75 გაიმარჯვა. ეს გახლდათ **გიორგი ცინცაძის** თანაგუნდელთა მეცხრე მოგება მიმდინარე სეზონში. მათ სამი წაგება აქვთ და პირველ-მესამე ადგილებს ინაწილებენ „ხიმიკთან“ და „ფეროსთან“.

ვის თუ არა „ბუს“ უნდა ეკისრა „მაიმუნების“ დამარცხება - ქართველმა გამთამაშებელმა თანაგუნდელ **დილეინისთან** ერთად მოედანზე ყველაზე მეტი დრო გაატარა: 31 წუთში 6 ორქულიანი 50-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა, 2 საჯარიმოც ჩააგდო და 8 ქულას 3 მოხსნა და 1 პასი მიამატა.

1 შედეგიანი გადაცემა პლეიმეიქერისთვის შეიძლება ცოტაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცინცაძე გუნდზე არ თამაშობდა, უბრალოდ, პასებს არა შეტევისთვის განკუთვნილი დროის ბოლოს, არამედ თავიდანვე ანაწილებდა და ამიტომაც არ ჩაიწერა შედეგიანი გადაცემების გრაფაში მაღალი რიცხვი. მართებულად შენიშნა მატჩის უკრაინელმა კომენტატორმა: გიორგი ცინცაძე დღეს თამაშს საკუთარ თავზე არ იღებს, მხოლოდ შეტევების ორგანიზებაზეა ორიენტირებულიო.

● ქართველი ევროლიგაზე

# მსაჯებისგან შევიწროებული

ევროლიგის მიმდინარე გათამაშებაში მეორე მატჩი მოიგო **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ“, რომელმაც სტუმრად პოლონურ „პროკომს“ აჯობა - 101:66.

ვიქტორი სასტარტო ხუთეულში იყო და ცენტრის ფუნქციებსაც ითავსებდა, თუმცა მალევე მიიღო 3 ფოლი (რაც მსაჯების ნამუსზეა) და სათამაშო დროც შეეზღუდა. სულ 15 წუთი ითამაშა და 2 მოხსნა მიითვალა.

„პროკომის“ შემადგენლობაში ორი ნაცნობი კალათბურთელი ირჯებოდა: **ფრენკ რობინსონი** და **რაიან რიჩარდსი.** პირველმა 1 ქულა ჩააგდო, მორემ - 3. რაიანიცა და ფრენკიც გასულ სეზონში „სოხუმში“ გამოდიოდნენ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### სუპერლიგა 2012-13. IV ტური

11.11. ქუთაისი

| ქუთაისი | დინამო |
|---|---|
| 90 | 78 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 17 | 22 | 25 | 26 |
| დინამო | 12 | 16 | 24 | 26 |

| ქუთაისი | წთ | ა | მ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფასაძე | 28 | 7 | 5 | 5 | 4 | 0 | 14 |
| გაგუნაშვილი | 24 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 8 |
| ღიდია | 21 | 5 | 3 | 4 | 0 | 0 | 3 |
| გრძელიძე | 01 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კვიმსაძე | 31 | 5 | 4 | 0 | 1 | 0 | 16 |
| დ. ბარბაქაძე | 18 | 3 | 1 | 4 | 2 | 0 | 10 |
| ლომინაშვილი | 09 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 6 |
| გ. ბარბაქაძე | 34 | 2 | 3 | 0 | 1 | 0 | 14 |
| მათიაშვილი | 30 | 9 | 4 | 3 | 0 | 0 | 19 |

| დინამო | წთ | ა | მ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კაპინი | 36 | 8 | 6 | 3 | 4 | 0 | 12 |
| ს. ლეჟავა | 25 | 1 | 5 | 2 | 0 | 0 | 3 |
| ჩიქვილაძე | 33 | 2 | 4 | 2 | 0 | 0 | 12 |
| ლილუაშვილი | 18 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 3 |
| მორის | 01 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კოპაძე | 01 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნინიაშვილი | 06 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ორმოცაძე | 10 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 |
| ოლეინი | 32 | 7 | 1 | 0 | 1 | 1 | 18 |
| კლიმენი | 33 | 8 | 2 | 3 | 3 | 1 | 26 |

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, ირაკლი ბერიშვილი

# ქუთაისი გალიდერდა

ქუთაისის სპორტის სასახლეში შეკრებილი გულშემატკივრები სანახაობის მატჩის მოლოდინში იყვნენ. სამი ტურის შემდეგ „ქუთაისსა“ და „დინამოს“ თანაბარი ქულები ჰქონდათ და სატურნირო თვალსაზრისით გუშინდელი მატჩი ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანი იყო. თამაში მართლაც სანახაობითი და დინამიკური გამოდგა. **დავით უსტიაშვილის** შეგირდებმა თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა, ქუთაისელები პერიმეტრიდანაც კარგად ისროდნენ და ფარქვეშაც ჩაუქრობლები, სადაც მთავარ როლს ტრადიციულად მასპინძელთა ცენტრი **რიჩარდ მათიაშვილი** თამაშობდა, იგი ეფექტურად ირჯებოდა და საბოლოოდ თავისი გუნდიდან ყველაზე მეტი 19 ქულა დააგროვა, ორმაგ დუბლამდე კი წინა მატჩის მსგავსად მხოლოდ 1 მოხსნა დააკლდა.

მასპინძლები ანგარიშში სხვაობას თანდათან ზრდიდნენ და დიდ შესვენებაზე 11-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ. მათიაშვილთან ერთად აღსანიშნავია აზერბაიჯანელი ლეგიონერის **ზაურ ფაშაევის** შესანიშნავი თამაში, მან პირველ ტაიმში ორი სამქულიანი ისროლა და ორივე კალათში მოათავსა. საბოლოოდ იგი საკუთარ გუნდს 14 ქულით, 5 პასითა და 7 მოხსნით შეეწია.

მესამე პერიოდი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. სტუმართა ლეგიონერების **ფილ კლიმენისა** და **მილან ოლეინის** კარგი თამაშის წყალობით თბილისელებმა ჩამორჩენა შეამცირეს, თუმცა მასპინძლები მალევე გააქტიურდნენ და ეს მეოთხედიც მათი გამარჯვებით დასრულდა (25:24). შედეგიანად უტევდნენ **ბუბა კვიმსაძე, გიგი** და **დავით ბარბაქაძეები**. გადამწყვეტი პერიოდის დაწყებამდე მასპინძლები 12 ქულით დაწინაურდნენ - 64:52

მეოთხე ათწუთეულის საწყის წუთებში თბილისელებმა უპირატესობა მოიპოვეს და სხვაობა 6 ქულამდე შეამცირეს, მაგრამ შემდეგ სტუმრები ვაბანკზე წავიდნენ, ძალიან ჩქარობდნენ, დაცვაში ყურადღება მოადუნეს და მასპინძლებმა კონტრშეტევებით კვლავ აღადგინეს სტატუს-კვო. საბოლოოდ, დაძაბული შეხვედრა ქუთაისელთა 12-ქულიანი გამარჯვებით დასრულდა.

მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი 26 ქულით დინამოელი კლიმენი გახდა. 18 ქულა მოაგროვა მისმა თანაგუნდელმა ოლეინმა. „დინამოს“ დამარცხების შემდეგ „ქუთაისმა“ დროებით პირველ ადგილზე აინაცვლა.

**ნათქვამი**

**დავით უსტიაშვილი** („ქუთაისის“ მწვრთნელი):

- დაძაბული და საინტერესო მატჩი გამოდგა, რომელიც ჩვენი უპირატესობით წარიმართა. „დინამომ“ ბოლომდე იბრძოლა და კარგი თამაში აჩვენა, თუმცა გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩა და ვფიქრობ, დამსახურებულადაც.

ირაკლი ხომხარია („დინამოს“ მწვრთნელი):

- გასულ ტურში, რუსთავთან ჩატარებული კატასტროფული მატჩის შემდეგ, მოთამაშეებთან უმკაცრესი საუბარი მქონდა, რამაც შედეგი გამოიღო და დღეს ჩვენმა გუნდმა შეხვედრის ბოლო წუთებამდე იბრძოლა. თუმცა, ჩვენი ასპარეზობით კმაყოფილი არ ვარ. ვეცდებით მომავალში მეტი ვიმუშაოთ, თამაში გამოვასწოროთ და უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 ქუთაისი | 4 | 3 | 1 | 311/268 | 7 |
| 2 რუსთავი | 3 | 3 | 0 | 251/183 | 6 |
| შსს აკადემია | 3 | 3 | 0 | 274/223 | 6 |
| დინამო | 4 | 2 | 2 | 296/274 | 6 |
| 5 არმია | 2 | 2 | 0 | 173/103 | 4 |
| 6 ოლიმპი | 2 | 2 | 0 | 191/141 | 4 |
| 7 თსუ | 3 | 1 | 2 | 186/226 | 4 |
| 8 სტუ | 3 | 0 | 3 | 184/235 | 3 |
| 9 ბათუმი-რუსი | 3 | 0 | 3 | 181/255 | 3 |
| 10 საპატრიარქო | 3 | 0 | 3 | 151/261 | 3 |
| 11 ხიხანი | 2 | 0 | 2 | 168/197 | 2 |

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



## ოლიმპიური მედლები




2004




## პირველი, პირველმა, პირველად...

* * *

**პირველი** საფოსტო მარკა ფეხბურთის თემაზე მსოფლიოში გამოუშვეს ჰოლანდიაში 1928 წელს.

* * *

**პირველმა** ქალთაგან ცხენოსნობაში (ცხენის გაწვრთნა) მამაკაცებთან ერთად ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა **იდა ფონ ნაგელიმ** (გფრ) 1952 წელს. იგი თამაშების მესამე პრიზიორი გახდა.

* * *

**პირველად** ოლიმპიური ცეცხლი ქალმა აანთო მეხიკოში 1968 წლის თამაშების გახსნისას. ეს პატივი მორბენალ **ენრიკეტა ბასილიოს** ხვდა წილად.

## ვიქტორინა

1. ალორძინებული ოლიმპიური თამაშების პირველი პრეზიდენტი დემეტრიოს ვიკელასი (საბერძნეთი) პროფესიით იყო: ა — ისტორიკოსი
ბ — ფილოლოგი და საზოგადო მოღვაწე
გ — სამივე ერთად

2. ჰიმალაი ნიშნავს:
ა — მთის თოვლიან მწვერვალს
ბ — თოვლს და საცხოვრებელს
გ — მარადთოვლიან ადგილს ცასთან ახლოს

3. ვინ იყო ამერიკელი პაულ მორფი?
ა — რობერტ ფიშერის მენეჯერი
ბ — გოლფისტი და ცნობილი ექიმი
გ — ცნობილი მოჭადრაკე

4. ოლიმპიურ თამაშებში ელექტრონული ტექნიკა ფართოდ პირველად გამოიყენეს:
ა — 1972 წელს მიუნხენში
ბ — 1976 წელს, მეხიკოში
გ — 1980 წელს მოსკოვში

5. პირველი სპორტული კლუბი „მაკაბის“ სახელწოდებით დაარსდა:
ა — თბილისში
ბ — პარიზში
გ — იერუსალიმში

პასუხები: 1 — გ, 2 — ბ, 3 — გ, 4 — ა, 5 — გ.

## შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** 2011 წლის შედეგებით **ლეონელ მესი** აღიარებულია პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად — ვფიქრობ, სრულიად სამართლიანად.

გთხოვთ, მიპასუხოთ: მესის გარდა გასულ წლებში რომელ ფეხბურთელებს აქვთ მოპოვებული ანალოგიური ტიტული.

პატივისცემით,

**რომან წივწივაძე**
ფეხბურთის მოყვარული,
ქუთაისი




**პასუხი:** თუ ანალოგიურ ტიტულზე, ანუ „ფიფას ოქროს ბურთის“ მფლობელზე გვეკითხებით, ეს ჯილდო 2010 წლიდან დაწესდა და მისი პირველი მფლობელიც ასევე „ბარსელონას“ არგენტინელი ლეგიონერი **ლიონელ მესი** იყო.

## თარიღი

### 10-16 ნოემბერი

**10. 1956 წ.** დაიბადა **ხოსე ლუის ბრაუნი** — ფეხბურთი (არგენტინა).

**10. 1969 წ.** დაიბადა **ფაუსტინო ასპრილია** — ფეხბურთი (კოლუმბია).

**11. 1983 წ.** დაიბადა **ფილიპ ლამი** — ფეხბურთი (გერმანია).

**11. 1955 წ.** დაიბადა **ხორენ ოგანესიანი** — ფეხბურთი (სომხეთი).

**12. 1966 წ.** დაიბადა **ენცო ფრანჩესკოლი** — ფეხბურთი (არგენტინა).

**12. 1968 წ.** მეხიკოში საზეიმოდ გაიხსნა ზაფხულის მეცხრამეტე ოლიმპიური თამაშები.

**12. 1999 წ.** გარდაიცვალა (63 წლის) ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელი **უილტ ჩემბერლენი.**

**13. 1988 წ.** ფორმულა 1-ში პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი **აირტონ სენა.**

**13. 1991 წ.** კვიპროსში უკანასკნელი ოფიციალური მატჩი ჩაატარა ფეხბურთში სსრ კავშირის ნაკრებმა.

**13. 1992 წ.** მძიმე წონაში მოკრივე **რიდიკ ბოუ** (აშშ) მსოფლიოს ჩემპიონი გახდა **ევანდერ ჰოლიფილდის** ქულებით ძლევის შემდეგ.

**14.1926 წ.** დაფუძნდა საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია.

**14.1975 წ.** დაიბადა **ლუიზაო** — ფეხბურთი (ბრაზილია).

**15. 1910 წ.** დაიბადა **მიხეილ იაკუშინი** — ფეხბურთი (რუსეთი).

**16. 1954 წ.** დაიბადა **ული შტილიკე** — ფეხბურთი (გერმანია).

**შენიშვნა:** ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ხუთშაბათობით "ქართული სპორტის ქრონიკებში" ქვეყნდება.

## საინტერესო ამბების აბგიდან

თუ კინოფილმებით ვიმსჯელებთ, რეჟისორებმა კრივი ყველაზე პოპულარულ სახეობად აქციეს. სპორტის ეს სახეობა პირველ ადგილზეა სხვადასხვა ჟანრის ფილმებში კრივის ეპიზოდების სიმრავლით.

■ ■ ■

გამოკვლევის თანახმად, არ არსებობს პროფესიონალი ჰოკეისტი, რომელსაც ყინულის მოედანზე შეტაკებებისას დაკარგული არ ჰქონდეს... თუნდაც ერთი კბილი

■ ■ ■

1900-1920 წლებში ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედიოდა... ბაგირის გადაძალვა.

■ ■ ■

სპორტული ტერმინი ჰეთ-თრიკი წარმოდგება ჩვეულებრივი კრიკეტიდან. თუ მოთამაშე შეძლებდა სამჯერ წარმატებით ეტყორცნა ბურთი, ის ჯილდოვდებოდა ახალი შლიაპით (ინგლისურად — ჰეთ).

■ ■ ■

საინტერესოა, რომ ძიუდოში, როგორც ეს მიღებულია, არსებობს არა 10, არამედ 12 დანი. ფაქტია, რომ დღემდე მე-11 დანი არავის დაუმსახურებია. აი, მე-12 დანი კი ძიუდოს ფუძემდებელ **ძიგარო კანოს** აქვს მინიჭებული.

■ ■ ■

1477 წელს ინგლისში **ედუარდ მეოთხემ** აკრძალა კრიკეტის თამაში. მიზეზი? ხელს უშლიდა მშვილდოსნობაში ვარჯიშის დროს.

## კვიმატი ობიექტივი



ეროვნული ბიბლიოთეკა



● ფორმულა 1



კიმი რაიკონენი

# არა გინებას!

ფორმულა 1-ის პილოტებმა გაფრთხილება მიიღეს - ავტომრბოლებმა თავი უნდა შეიკავონ პირდაპირ ეთერში არანორმატული ლექსიკისგან, - იტყობინება გაზეთი The Sun. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ ოფიციალური წერილით მიმართა ყველა გუნდს, რომელიც ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში იღებს მონაწილეობას.

ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის მიზეზი გახდა აბუ დაბის რბოლის შემდეგ გამართული პრესკონფერენცია. BBC-ის კომენტატორი **დევიდ კულტჰარდი** ინტერვიუს იღებდა **კიმი რაიკონენისგან** და **სებასტიან ფეტელისგან**. ფინელმა და გერმანელმა უწმაწური სიტყვები იხმარეს, რის გამოც ფედერაციამ ისინი გააფრთხილა და აღნიშნა, რომ მომავალში, ასეთი ქმედებისთვის პილოტებს ფულადი ჯარიმები დაეკისრებათ.

*„მრბოლელებს უნდა ესმოდეთ, რომ დაუშვებელია მსგავსი ლექსიკის გამოყენება პრესასთან ურთიერთობაში“*, - წერია გუნდებისთვის გაგზავნილ წერილში.

როგორც იტყობინებიან, ბრიტანული პუბლიკა შოკირებული დარჩა მოსმენილით. BBC-ის მისამართით უამრავი საპროტესტო წერილი გაიგზავნა. ამიერიდან, პლანეტის საუკეთესო პილოტები ჯერ დაფიქრდებიან და შემდეგ იტყვიან სათქმელს.

აბუ დაბის პოდიუმზე ფეტელმა განაცხადა, რომ მისმა გუნდმა „არ ჩაისვარა“ (We didn’t fuck it up), რაიკონენმა კი განსაკუთრებით ჯიუტი კონკურენტების მიმართ გამოიყენა სიტყვა - „განავალი“ (Gave me shit).

# ფერარი: და მაინც ჰიულკენბერგი?

გერმანული პრესის ცნობით, **ნიკო ჰიულკენბერგი** „ფერარიში“ **ფელიპე მასას** შეცვლის - ეს 2013 წლის ბოლოს მოხდება, როცა ვადა ამოეწურება ბრაზილიელი პილოტის კონტრაქტს. ჭორები ნიკოსა და „ფერარის“ შორის მოლაპარაკებების შესახებ წლევანდელ ზაფხულს დაიწყო, მაგრამ, საბოლოოდ, 25 წლის გერმანელი „ზაუბერში“ გადავიდა კარიერის გასაგრძელებლად. თუმცა ცნობილია ამ საჯინიბოს კავშირები „სკუდერიასთან“ და აქ ლაპარაკი არ არის მხოლოდ ძრავების მიწოდებაზე. სხვათა შორის, იგივე მასა თავის დროზე „ფერარიში“ „ზაუბერიდან“ გადავიდა.

ჰიულკენბერგის ამჟამინდელი კონტრაქტი მხოლოდ ერთ წელზეა გათვლილი, მაგრამ უფრო შორეულ მომავალზე პილოტი ჯერ არ ლაპარაკობს: „ვერაფერს გეტყვით იმის შესახებ, სად აღმოვჩნდები 2014 წელს. ფორმულა 1-ში ყველაფერი ძალიან სწრაფად იცვლება“, - განაცხადა ჰიულკენბერგმა „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

დღეისთვის ფელიპე მასას თითქმის არ შეუძლია თანაგუნდელ ფერნანდო ალონსოსთვის კონკურენციის გაწევა. სეზონის მეორე ნაწილში ჩატარებული რამდენიმე კარგი რბოლის მიუხედავად, ფელიპემ წელს მხოლოდ ერთხელ მოუგო კვალიფიკაცია ესპანელს. გარდა ამისა, ბრაზილიელის ერთადერთი პოდიუმი ძალიან დაბალი შედეგია ალონსოს ტიტულისთვის ბრძოლის ფონზე.

*„ჩემი შორსმიმავალი გეგმები პოდიუმებს, გამარჯვებებსა და საჩემპიონო ტიტულს უკავშირდება*, - განაცხადა ჰიულკენბერგმა. - *რომელ გუნდთან? ეს ყველაფერი ვარსკვლავებმა გადაწყვიტონ, მე მხოლოდ კარგი ადგილის მოპოვებისთვის ვიბრძვი“*.



# შუმის საჩუქრით გააცილებენ

ბრაზილიის გრანპრის ორგანიზატორები სიურპრიზს უმზადებენ „მერსედესის“ პილოტ **მიხაელ შუმახერს**. ლეგენდარული გერმანელისთვის სან პაულუს რბოლა უკანასკნელი იქნება კარიერაში.

ბრაზილიურ მხარეს მკაცრად აქვს გასაიდუმლოებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა საჩუქარს უმზადებენ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს. 2006 წელს, როცა შუმახერი პირველად წავიდა ფორმულა 1-დან, ორგანიზატორებმა ზეიმი მოაწყეს, რომლის სტუმარი აღმოჩნდა ფეხბურთის მეფე - **პელე**.

ბრაზილიის გრანპრი 25 ნოემბერს გაიმართება.

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მოსახდენი მოხდა

## ლეიკერსმა მაიკ ბრაუნის გაშვების გადაწყვეტილება მიიღო

გუშინ, საინტერესოდ ვითარდებოდა მოვლენები „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მთავარი მწვრთნელის - **მაიკ ბრაუნის** გარშემო.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მაიკ ბრაუნის ვაჟი - **ელაიჯი** „ტვიტერის“ სოციალური ქსელის მეშვეობით მუქარის ხასიათის შეტყობინებებს იღებს. მიზეზი NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში „ლეიკერსის“ სუსტი სტარტია.

*„აუცილებელია გავაფრთხილო „ლეიკერსის“ უსაფრთხოების სამსახური“*, - განაცხადა მაიკ ბრაუნმა.

შეგახსენებთ, რომ „ლეიკერსმა“ წააგო ყველა წინასასეზონო მატჩი და რეგულარულ ჩემპიონატში ხუთიდან მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგო.

ასეთი შედეგების მიუხედავად, კალიფორნიული გრანდის ლიდერი **კობი ბრაიანტი** აცხადებს, რომ მხარს უჭერს მაიკ ბრაუნს.

*„მე ბრაუნს სრულ ნდობას ვუცხადებ. რა თქმა უნდა, წაგებების გამო იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ ჩვენი წარუმატებლობა მხოლოდ ერთ ადამიანს არ უკავშირდება“*, - ამბობს ბრაიანტი.


მაიკ ბრაუნი

მთავარი ინფორმაცია კი დღის ბოლოს გავრცელდა - „ლეიკერსის“ მენეჯმენტმა მაიკ ბრაუნის პოსტიდან გაშვება გადაწყვიტა. მართალია, ორი დღის წინ, კალიფორნიული კლუბის მფლობელი **ჯიმ ბასი** პრესასთან საუბარში ამბობდა, რომ ბრაუნს ისევ აქვს ხელმძღვანელობის ნდობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლო ორ დღეში სიტუაცია შეიცვალა.

# ჩიკაგომ დურანტი ვერ გააჩერა

მხოლოდ ორი მატჩი გაიმართა გუშინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. ჩიკაგოში „ხარები“ „ოკლაჰომას“ მასპინძლობდნენ და ამ მატჩში საინტერესო იყო - როგორ გაუმკლავდებოდა ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვის მქონე „ბულზი“ „რეაქტიულ“ „თანდერს“.

მასპინძლებმა თითქმის გაართვეს თავი ამოცანას: „ოკლაჰომამ“ მხოლოდ 12 ქულა დააგროვა სწრაფ გარღვევებში და 22 შეცდომა დაუშვა. თან გაუჭირდა აქტიური დაცვის წინააღმდეგ **რასელ უესტბრუკს**, რომელმაც თამაშიდან 15 ტყორცნა ააცილა (22-დან). მაგრამ „ბულზმა“ ვერაფერი მოუხერხა **კევინ დურანტის** ეფექტურობას და თან სტუმრებმა საჯარიმოების რეალიზაციის 95.2 პროცენტი დააფიქსირეს.

„თანდერის“ გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა **სერჟ იბაკას** კარგი თამაშის გარეშე. ნატურალიზებული ესპანელის ოთხი დაფარება გასაკვირი არ ყოფილა, მაგრამ ასეთი შედეგიანობა მისგან დიდი იშვიათობაა. იბაკას 21 ქულა 2010 წლის 15 ნოემბრის შემდეგ არ დაუგროვებია. ალარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ცენტრს ქულა დააკლდა პირადი რეკორდის გასამეორებლად. გარდა ამისა, სერჟმა სამქულიანი ჩააგდო, რაც მის კარიერაში მესამედ მოხდა.

მაგრამ „ოკლაჰომას“ წარმატებისთვის მისი რეზერვისტების კარგი თამაშიც გახდა საჭირო და არც მათ დაალალატეს გუნდი: სტუმრების სათადარიგოთა სკამის მონაგარი 29 ქულა იყო „ჩიკაგოს“ რეზერვისტთა 14 ქულის წინააღმდეგ. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი **მეინორმა**. ბოლო მეოთხედში „თანდერის“ ექვსი შედეგიანი შეტევიდან ხუთში მონაწილეობა სათადარიგო გამთამაშებელმა მიიღო. ამ დროის განმავლობაში მის ანგარიშზე იყო სამი შედეგიანი პასი და ხუთი ქულა. მეინორმა თავისი საქმე გააკეთა და ისევ სათადარიგოთა სკამისკენ გაეშურა, მის ნაცვლად კი მოედანზე უესტბრუკი გამოვიდა, რომელმაც იმ დღეს 12 შედეგიანი პასი დააგროვა.

თავის მხრივ, ჩიკაგოელთაგან მატჩის გადარჩენას ცდილობდნენ **ლუოლ დენგი** და **რიჩარდ ჰემილტონი**. ამ უკანასკნელმა ბოლოჯერ მატჩში ანგარიში საფინალო სირენამდე ორი წუთით ადრე გაათანაბრა. თავის მხრივ, ლუოლმა ბოლო მეოთხედში რვა ქულა დააგროვა. მაგრამ დენგმა მთავარი ვერ შეძლო - ვერ გაანეიტრალა დურანტი, რომელმაც ბოლოსკენ, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ორი რთული ბურთი ჩააგდო.

■ ■ ■

შესანიშნავი სპექტაკლი იხილა პორტლენდურმა პუბლიკამ, მაგრამ ბოლოს მაინც განბილებულმა დატოვა არენა.

„კლიპერსი“ 21-ქულიანი უპირატესობით იწყებდა მესამე მეოთხედს და, როგორც ჩანს, მიიჩნია, რომ დასვენების უფლება ჰქონდა. ამით მასპინძლებმა მაშინვე ისარგებლეს და მესამე 12-წუთეულში გაანადგურეს მეტოქე - 32:17. განსაკუთრებით აქტიურობდა **ნიკოლა ბატუმი**, რომელმაც ამ პერიოდში 12 ქულა დააგროვა. მას მხარი აუბეს **ოლდრიჯმა** და **ლილარდმა** - თითოეულმა ექვს-ექვსი ქულა მიითვალა.

სწორედ ამ დროს უშველა „კლიპერსს“ **ჯამალ კროუფორდმა**, რომელმაც მესამე მეოთხედის ბოლოს და მეოთხეს დასაწყისში 11 ქულა დააგროვა. შეგახსენებთ, რომ ეს კალათბურთელი შარშან „პორტლენდში“ თამაშობდა. მატჩის ბედი კი მაშინ გადაწყდა, როცა საფინალო სირენამდე შვიდი წუთით ადრე, ექვსი პერსონალურის გამო დატოვა მოედანი **პრაისმა**, მოგვიანებით ორი საჯარიმო ააცილა **ბლედსოუმ** და ამას მოჰყვა ოლდრიჯისა და **მეტიუზის** აცილებები.

პრაისის გავარდნის შემდეგ, „პორტლენდმა“ მხოლოდ რვა ქულა დააგროვა, გარდა ამისა, ორი მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდო **კრის პოლმა** - ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ვარსკვლავური პლეიმეიკერი ბოლო მეოთხედებში არ ცდება. მისი მეორე ზუსტი ტყორცნის შემდეგ, ანგარიში 15 ქულამდე გაიზარდა და „პორტლენდმა“ მეორე სასწაული ველარ მოახდინა.

**ჩიკაგო-ოკლაჰომა 91:97**

24:24, 23:24, 25:18, 19:31

**ჩ:** დენგი (27), ჰემილტონი (20+8 მოხსნა), ჰაინრიხი (12+5 პასი), ნოა (9+13 მოხსნა+6 პასი), ბუზერი (9+11 მოხსნა).

**ო:** დურანტი (24+3 დაფარება+3 ჩაჭრა), იბაკა (21+9 მოხსნა+4 დაფარება), უესტბრუკი (16+12 პასი), მარტინი (15+6 მოხსნა), მეინორი (10+3 პასი).

**პორტლენდი-კლიპერსი 90:103**

22:29, 17:31, 32:17, 19:26

**პ:** ბატუმი (23+9 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ლილარდი (16+4 პასი+3 ჩაჭრა), ოლდრიჯი (14+5 პასი), მეტიუზი (10+4 პასი+3 ჩაჭრა).

**კ:** კროუფორდი (25), პოლი (21+6 პასი+3 ჩაჭრა), ჯორდანი (21+8 მოხსნა), გრიფინი (7+10 მოხსნა+4 პასი+3 ჩაჭრა).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


დურანტი ჩიკაგოზე მაღლა

## რაგბი. ტესტები



# ნოემბრის ციებ-ცხელება იწყება

დღეს ევროპაში ნოემბრის ტესტები იწყება. წლევანდელ მატჩებს, შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან 3 დეკემბერს, ლონდონში, 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების წილისყრა უნდა გაიმართოს, სადაც 12 საუკეთესო გუნდი, ჯგუფებში რეიტინგის მიხედვით განაწილდება.

ნოემბერში გასამართი მატჩების შედეგები რეიტინგში, სავარაუდოდ, ბევრ ცვლილებას გამოიწვევს. საკმაოდ საინტერესო დაპირისპირებაა მოსალოდნელი პარიზში, სადაც საფრანგეთის ნაკრები ავსტრალიის ეროვნულ გუნდს მასპინძლობს. „ვოლაბები" რეიტინგში მეორე ადგილზე არიან, „ლე ბლო" კი - მეხუთეზე. გამარჯვების შემთხვევაში ფრანგები საუკეთესო ოთხეულში შეაღწევენ. ისინი, სავარაუდოდ, ინგლისის ადგილს დაიკავებენ.

გამორიცხული არ არის, ფრანგებმა მესამეადგილოსან სამხრეთ აფრიკასაც გაასწრონ. ეს იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ „ბოკე" დუბლინში ირლანდიის ნაკრებთან წააგებს. სამყურები ამჟამად რეიტინგში მესამე ადგილზე არიან.

არაფერი ემუქრება მსოფლიოს საუკეთესო გუნდს, ახალი ზელანდიის ნაკრებს, რომელიც სტუმრად ეთამაშება შოტლანდიის ეროვნულ გუნდს. „ოლ ბლექსი" რეიტინგში ყველას საგრძნობლად უსწრებს და ნაკლებად სავარაუდოა, თუნდაც წაგების შემთხვევაში საუკეთესო ოთხეულიდან გამოვარდეს.

ყველას ძალიან აინტერესებს, რა გავლენა იქონია არგენტინის ნაკრებზე ოთხი ერის გათამაშებაში მიღებულმა გამოცდილებამ. „პუმები" კარდიფში უელსის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან, რომელიც ამჟამად ევროპის საუკეთესო გუნდადაა აღიარებული.

### საფრანგეთი-ავსტრალია

საფრანგეთი: 15. ბრაის დულინი, 14. ვესლი ფოფანა, 13. ფლორიან ფრიცი, 12. მაქსიმ მერმოსი, 11. ვინსან კლერი, 10. ფრედერიკ მიშალაკი, 9. მაქსიმ მაშენო. 1. იანიკ ფორესტიერი, 2. დიმიტრი სზარჟევსკი, 3. ნიკოლა მასი, 4. პასკალ პაპე, 5. იონ მაესტრი, 6. იანიკ ნიანგა, 7. ფულენსე უოდრაოგო, 8. ლუის პიკამოლი.

*16. ბენიამინ კაიზერი, 17. ტომა დომინგო, 18. ვინსენ დებატი, 19. ჟოსელინ სუტა, 20. დამიენ შული, 21. მოგან პარა, 22. ფრანსუა ტრინ დუკი.*

ავსტრალია: 15. მაიკ ჰარისი, 14. ადამ ეშლი-კუპერი, 13. ბენ ტაპუაი, 12. პეტ მაკკები, 11. ნიკ კამინსი, 10. ქართლი ბეილი, 9. ნიკ ფიპსი. 1. ბენ რობინსონი, 2. ტატაფუ პოლოტა ნაუ, 3. სეკოპე კეპუ, 4. კენ დუგლასი, 5. ნათან შარპი, 6. დეივ დენისი, 7. მაიკლ ჰუპერი, 8. ვიკლიფი პალუ.

*16. სტივენ მური, 17. ჯეიმზ სლიპერი, 18. პადი რაიანი, 19. რობ საიმონსი, 20. რადიკე სამო, 21. ლიამ გილი, 22. ბრეტ შინანი.*

### უელსი-არგენტინა

უელსი: 15. ლეიგ ჰალპფენი, 14. ალექს კატბერტი, 13. სკოტ ვილიამსი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. ჯორჯ ნორსი, 10. რის პრისტლენდი, 9. ტევის კნოლი. 1. გეთინ ჯენკინსი, 2. მეტიუ რისი, 3. აარონ ჯერვისი, 4. ალუნ ვინ ჯოუნზი. 5. იან ევანსი, 6. ჯოშ ტურნბული, 7. სემ ვერბარტონი, 8. ტობი ფალეტაუ.

*16. რიჩარდ ჰიბარი, 17. რაიან ბევინგტონი, 18. პაულ ჯეიმზი, 19. რობ მაკკუსკერი, 20. ჯასტინ ტიპურიჩი, 21. მაიკ ფილიპსი, 22. ჯეიმზ ჰუკი.*

არგენტინა: 15. ხუან მარტინ ერნანდესი, 14. გონსალო კამაჩო, 13. გონსალო ტიესი, 12. ფელიპე კონტეპომი, 11. ხუან იმოფი, 10. ნიკოლას სანჩესი, 9. მარტინ ლანდაჰო. 1. მარკოს აიერზა. 2. ეუსებიო გინასუ, 3. ხუან ფიგალო, 4. მანუელ კარისა, 5. ხულიო კაბელო, 6. ლეონარდო სენატორე, 7. ხუან მანუელ ლეგუსამონი, 8. ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე.

*16. ავგუსტინ კრევი, 17. ბრუნო პოსტილიონი, 18. ხუან გომესი, 19. ტომას ვალეხოსი, 20. ტომას ლეონარდი, 21. ნიკოლას ვერგალო, 22. ორასიო აგულა.*

### შოტლანდია-ახალი ზელანდია

შოტლანდია: 15. სტიუარტ ჰოგი, 14. შონ ლამონტი, 13. ნიკ დე ლუკა. 12. მეთ სკოტი, 11. ტომ ვიზერი, 10. გრეიგ ლაიდლოუ, 9. მაიკ ბლერი. 1. რაიან გრანტი, 2. როს ფორდი, 3. ჯო კროსი, 4. რიჩი გრეი, 5. ჯიმ ჰამილტონი, 6. ალასდაირ სტროკოში, 7. როს რენი, 8. კელი ბრაუნი.

*16. სკოტ ლაუსონი, 17. ალან იაკობსენი, 18. კილი ტრაინორი, 19. ალისტერ კელოკი, 20. დავიდ დენტონი, 21. ჰენრი პირგოსი, 22. რუარიდ ჯექსონი.*

ახალი ზელანდია: 15. იზრაელი დაგი, 14. ქორი ჯეინი, 13. ბენ სმითი, 12. ტამატი ელისონი, 11. ჯულიან სავეა, 10. დენ კარტერი, 9. პირი ვიპუ. 1. ვიათ კროკეტი, 2. ენდრიუ ჰორი, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ლუკ რომანო, 5. სემ ვაითლოქი, 6. ადამ თომსონი, 7. რიჩი მაქოა, 8. ვიქტორ ვიტო.

*16. დენ კოლი, 17. ტონი ვუდქოკი, [illegible] ფრენქსი, 19. ალი ვილია[illegible] ტავერა ბარლოუ, 22. მაა ნონუ.*

### ირლანდია-სამხრეთ აფრიკა

ირლანდია: 15. საიმონ ზებო, 14. ტომი ბოუი, 13. ქის ირლზი, 12. გორდონ დარსი, 11. ენდრიუ ტრიმბლი, 10. ჯონათან სექსტონი, 9. კონორ მურეი. 1. კიან ჰილი, 2. რიჩარდ სტრაუსი, 3. მაიკ როსი, 4. დონჩა რაიანი, 5. მაიკ მაკკარტი, 6. პიტერ ომაჰონი, 7. კრის ჰენრი, 8. ჯიმი ჰისლიპი.

*16. შონ კრონინი, 17. დეივ კილსონი, 18. მაიკლ ბენტი, 19. დონჩა ოკალაჰანი, 20. იან ჰენდერსონი, 21. ევან რიდანი, 22. რონან ოგარა.*

სამხრეთ აფრიკა: 15. ზან კირხნერი, 14. ჯეი პი პიტერსენი, 13. იაკო ტაუტე, 12. იან დე ფილიერსი, 11. ფრანსუა ჰუგარი, 10. პატრიკ ლამბიე, 9. რუან პინარი. 1. ტენდაი მთავარირა, 2. ადრიან სტრაუსი, 3. იანი დუ პლესი, 4. ებენ ესტებესი, 5. ივანდერ კრუხერი, 6. ფრანსუა ლოუ, 7. ვილემ ალბერტსი, 8. დუეინ ვერმულენი.

*16. სხალკ ბურხერი, 17. სი ჯეი ფან დერ ლინდე, 18. პეტ კილიერსი, 19. ფლიპ ფან დერ მერვე, 20. მარსელ კუცია, 21. მორნი სტეინი, 22. იუან დე იონგი.*

### ნოემბრის ტესტები

**10 ნოემბერი**

რუმინეთი-იაპონია, იტალია-ტონგა, ინგლისი-ფიჯი, ურუგვაი-პორტუგალია, რუსეთი-აშშ, სამოა-კანადა

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| მიდლსბრო-უენსდი | 3:1 |
| **ნასიონალი** | |
| ალფრეტონი-ნიუპორტი | 4:3 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| გროსეტო-სპეცია | 1:1 |
| **სერია C1/B** | |
| ნოჩერინა-აველინო | 1:0 |
| **ესპანეთი** | |
| ბეტისი-გრანადა | 1:2 |
| **გერმანია** | |
| მაინცი-ნიურნბერგი | 2:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კიოლნი-დუისბურგი | 0:0 |
| აუე-ბრაუნშვაიგი | 1:1 |
| ზანდჰაუზენი-ჰერტა | 1:6 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ოფენბახი-ჰანზა | 2:1 |
| უნტერჰახინგი-ბაბელსბერგი | 0:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩ-ა)** | |
| კარლ ცაისი-პლაუენი | 0:0 |
| **რეგიონალლიგა (ს-დ)** | |
| ზონენჰოფი-ფრაიბურგი II | 5:0 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ვიდენბრუკი-კიოლნი II | 0:4 |
| ვუპერტალერი-ლოტე | 0:1 |
| ლევერკუზენი II-ბერგიში | 1:2 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ვერდერი II-მეპენი | 2:1 |
| **საფრანგეთი** | |
| ნანსი-რენი | 1:3 |
| **II დივიზიონი** | |
| ანჟერსი-ნიორი | 0:0 |
| არლი-ლავალი | 0:3 |
| დიჟონი-ნიმი | 2:1 |
| გფკო აიაჩო-სედანი | 1:1 |
| გინგამი-ტური | 0:0 |
| ისტრი-ლე მანი | 1:0 |
| ჰავრი-კლერმონი | 1:3 |
| ნანტი-შატორუ | 1:1 |
| **ნასიონალი** | |
| ეპინალი-ფრეჟუსი | 0:2 |
| ბულონი-პარიზი | 0:0 |
| შერბური-ბასტია | 1:1 |
| კრეტეი-კარკეფუ | 2:1 |
| ლე პუარი-ორლეანი | 2:0 |
| ლუზენაკი-კოლმარი | 1:1 |
| ვანი-რუანი | 0:2 |
| **ჰოლანდია** | |
| ბრედა-გრონინგენი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ალმერი-ემენი | 1:0 |
| კამბური-აპელდოორნი | 0:0 |
| გრააფსხაპი-დორდრეხტი | 3:4 |
| ეინდჰოვენი-იგლზი | 1:4 |
| მაასტრიხტი-დენ ბოში | 4:0 |
| სპარტა-ჰელმონდი | 2:0 |
| ტოპ ოსი-ტელსტარი | 1:0 |
| ვეენდამი-ფორტუნა | 1:3 |
| **ბელგია** | |
| ლოკერენი-სტანდარდი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| სტ. ნიკლაასი-რუზელარე | 1:1 |
| ვესტერლო-ანტვერპენი | 0:0 |
| **პორტუგალია** | |
| ჟილ ვისენტე-ფერეირა | 0:1 |
| **შოტლანდია** | |
| **I დივიზიონი** | |
| ეირდრი-ლივინგსტონი | 1:3 |
| **დანია** | |
| ჰორსენსი-აგფ ორჰუსი | 2:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალტახი-ვენა | 3:0 |
| აუსტრია (ლ)-ბრაუ ვაისი | 2:1 |
| კაპფენბერგი-ლუსტენაუ | 2:4 |
| გრიოდიგი-სტ. პოლტენი | 3:4 |
| ჰორნი-ჰარტბერგი | 0:0 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-ბურსა | 3:3 |
| შივასი-ესქისეჰირი | 1:0 |
| **ჩეხეთი** | |
| დუკლა-ბანიკი | 2:0 |
| ბუდეიოვიცე-სლავია | 2:1 |
| **რუსეთი** | |
| როსტოვი-ამკარი | 3:0 |
| **უკრაინა** | |
| ჰოვერლა-ვორსკლა | 1:1 |
| **[illegible]** | |
| რუხი-ლეჩი | 0:1 |
| ვიძევი-ლოძი | 0:1 |
| **ხორვატია** | |
| ზაგრები-ჰაიდუკი | 0:1 |
| **უნგრეთი** | |
| დიოშდიორი-პეჩი | 1:1 |
| შიოფოკი-ლომბარდ პაპა | 1:0 |
| **რუმინეთი** | |
| ტურნუ-გლორია | 1:0 |
| გაზ მეთანი-იასი | 0:1 |
| **მოლდოვა** | |
| დაჩია-ნისტრუ | 3:0 |
| სპერანტა-ტირასპოლი | 0:2 |
| **არგენტინა** | |
| ბელგრანო-არგ. ხუნიორსი | 0:0 |
| **ავსტრალია** | |
| მელბურნი ჰ-ბრისბენი | 4:1 |
| **ფუტსალი** | |
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| სერბეთი-ჩეხეთი | 2:2 |
| ქუვეითი-ეგვიპტე | 4:3 |
| სოლომონის კ-ბი-გვატემალა | 4:3 |
| კოლუმბია-რუსეთი | 0:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ცედევიტა-კახა ლაბორალი | 76:69 |
| პროკომი-მონტეპასკი | 66:101 |
| ეფესი-ჟალგირისი | 64:77 |
| პანათინაიკოსი-ხიმკი | 67:79 |
| ოლიმპია-რეალი | 76:89 |
| პარტიზანი-ბამბერგი | 72:77 |
| **გერმანია** | |
| ბრემერჰავენი-ჰაგენი | 97:87 |
| **საფრანგეთი** | |
| პარიზი-ლიმოჟი | 84:74 |
| **ჰოკეი** | |
| **ევროტური** | |
| შვედეთი-რუსეთი | 2:3 |
| ფინეთი-ჩეხეთი | 0:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ლონდონი** | |
| ჯოკოვიჩი-ბერდიხი | 6:2, 7:6 |
| მიურეი-ცონგა | 6:2, 7:6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## TV პროგრამა

### 10 ნოემბერი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. მაინცი-ნიურნბერგი.
**12:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტურის წინ.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**15:30** არგენტინის ჩემპიონატი. XIII ტური. ველეს სარსფილდი-გოდოი.
**17:30** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**18:30** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტურის წინ.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური. არსენალი-ფულემი (LIVE).
**21:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**21:30** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური. ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ (LIVE).
**23:30** გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. შალკე-ვერდერი.
**01:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXV ტური. ბოტაფოგო-პორტუგეზა (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ფილადელფია.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** NBA ACTION.
**16:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ტულუზა-ლესტერი.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. ბაიერნი-აინტრახტი (LIVE).
**20:30** რაგბი. ტესტ-მატჩი. ინგლისი-ფიჯი.
**22:30** კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. V ტური. ალბა-მაქაბი.
**00:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ფილადელფია.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**15:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ოკლაჰომა.
**17:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
**00:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**I არხი**

**14:00** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. შსს-რუსთავი (LIVE).

### 11 ნოემბერი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXV ტური. ბოტაფოგო-პორტუგეზა.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**15:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XII ტური. ვიტესი-ტვენტე (LIVE).
**17:30** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური. მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი (LIVE).
**19:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური. ჩელსი-ლივერპული (LIVE).
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
**23:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXV ტური. პალმეირასი-ფლუმინენსე (LIVE).
**01:00** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური. ნიუკასლი-ვესტ ჰემი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. XIV ტური. ველეს სარსფილდი-გოდოი.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-მინესოტა.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა.
**16:30** რაგბი. ტესტ-მატჩი. ინგლისი-ფიჯი.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. ვოლფსბურგი-ლევერკუზენი (LIVE).
**20:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. შტუტგარტი-ჰანოვერი (LIVE).
**22:30** კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. V ტური. ცსკა-ბარსელონა.
**00:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-მინესოტა.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**15:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-მაიამი.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
**18:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. 1/2 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XII ტური. ეინდჰოვენი-ჰერენვეენი.
**23:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. 1/2 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**I არხი**

**17:55** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 11 | 17 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 12 | 20 | (წვიმა) |
| ბათუმი | 14 | 20 | (წვიმა) |
| ფოთი | 12 | 19 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 11 | 18 | (წვიმა) |
| გორი | 9 | 20 | (წვიმა) |
| თელავი | 10 | 18 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 9 | 17 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | 3 | 11 | (წვიმა) |
| ბორჯომი | 6 | 17 | (წვიმა) |
| მესტია | 4 | 20 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1173 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6639 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6546 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2829 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი

# ფეხბურთზე მოგებული მილიონი




ცნობილია, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე, ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერი** აზარტული თამაშების დიდი მოყვარულია. რამდენიმე დღის წინ, მან ერთ-ერთ საბუკმეიკერო კანტორაში ერთი ფსონით მილიონი დოლარი მოიგო.

ფლოიდმა 1.1 მილიონი დოლარი დადო ამერიკული ფეხბურთის გუნდის - „ორეგონ დაქსის" მოგებაზე. საბოლოოდ, „იხვებმა" იმ მატჩში 43:21 გაიმარჯვეს.

თავისი მოგების დასადასტურებლად, მოკრივემ თავის „ტვიტერზე" მოგებული ქვითარი დადო.

# უფრო მძიმე და მაღალი პრეტენდენტი


ჩემპიონი და პრეტენდენტი

გუშინ, გერმანიის ქალაქ ჰამბურგში გაიმართა უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკოსა** და პოლონელი **მარიუშ ვახის** აწონვის ცერემონია. შეგახსენებთ, რომ ამ მოკრივეთა ბრძოლა დღეს შედგება.

ვახის წონამ 113,8 კილოგრამი შეადგინა, უკრაინელი მეტოქეზე 1,8 კილოგრამით მჩატეა. უნდა აღინიშნოს, რომ ვახი ვლადიმერის კარიერაში პირველი მოწინააღმდეგეა, რომელიც უკრაინელს სიმაღლეში აღემატება: ვახის სიმაღლეა 202 სანტიმეტრი, კლიჩკოსი - 198 სანტიმეტრი.

მომავალ ბრძოლაში კლიჩკო დაიცავს ტიტულებს WBO-ს, IBF-სა და WBA-ის ვერსიებით. უკრაინელმა პროფესიულ კარიერაში 58 ბრძოლა (50 - ნოკაუტით) აქვს მოგებული და სამჯერ დამარცხდა. ვახს ჯერჯერობით არც ერთი ბრძოლა არ აქვს წაგებული - მან 27-დან 27 შეხვედრა მოიგო (15 - ნოკაუტით).

**კალათბურთი**

## გრეინჯერს პიეტრუსი შეცვლის

ფრანგმა ფორვარდმა **მიკაელ პიეტრუსმა** მოლაპარაკებები დაიწყო „ინდიანა პეისერსთან". ეს კალათბურთელი ტრავმირებული **დენი გრეინჯერის** შემცვლელად განიხილება. როგორც იცით, ეს კალათბურთელი ფეხის ტრავმის გამო სამ თვეს გამოტოვებს.

პიეტრუსი 2011-12 წლების სეზონში „ბოსტონის" რიგებში თამაშობდა და საშუალოდ 6.9 ქულას აგროვებდა.

## სასჯელი იდაყვის მოქნევისთვის

„საკრამენტო კინგზის" ფორვარდმა **ტომას რობინსონმა** ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო „დეტროიტის" მოთამაშის - **იონას ჟერებკოს** წინააღმდეგ უხეშობისთვის. რობინსონმა შვედ ლეგიონერს სახეში იდაყვი ჩაარტყა. ის მატჩი „საკრამენტომ" 105:103 მოიგო. ტომასის მონაგარი ორ ქულასა და შვიდ მოხსნას უდრიდა.

ასე რომ, რობინსონი გამოტოვებს შეხვედრებს „სან ანტონიოსთან" და „ლეიკერსთან".

**ჰოკეი**

## ფინეთი უკვე სოჭისთვის ზრუნავს

ფინეთის ოლიმპიურ ნაკრებს სოჭის 2014 წლის თამაშებისთვის **ერკა ვესტერლუნდი** მოამზადებს. ფინელთა ამჟამინდელმა მწვრთნელმა **იუკა იალონენმა** ადრე განაცხადა, რომ მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატის შემდეგ დატოვებს თავის პოსტს. ვესტერლუნდი 2014 წლის ოლიმპიადამდე იქნება „სუომის" სათავეში და შემდეგ დატოვებს ნაკრებს.

ვესტერლუნდი ერთხელ უკვე წვრთნიდა ფინეთის ნაკრებს - 2004-07 წლებში. მისი ხელმძღვანელობით ფინეთმა 2006 წლის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. ასევე მეორე ადგილი დაიკავეს სკანდინავებმა მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონატზე. ორივე ტურნირზე მათ ნახევარფინალში რუსეთი დაამარცხეს.

**ჩოგბურთი**

## ცვლილება კალენდარში

ATP-ის ტურის ლოს ანჯელესის ტურნირი გაიყიდა და ამიერიდან ის კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში გაიმართება. აქამდე, კალენდარში ეს ტურნირი ივლისის ბოლოს იყო ჩასმული, მაგრამ არსებობს ვარიანტი, რომლის მიხედვითაც მას თებერვალში გადაიტანენ - ამ პერიოდში, მამაკაცთა ტურში ლათინური ამერიკის ტურნირების სერია მიმდინარეობს.

ლოს ანჯელესის ტურნირის ორგანიზატორები ამტკიცებენ, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ისინი ფინანსურ მოგებას ვერ ნახულობდნენ, აგრეთვე ვერ შეძლეს 2013 წლისთვის სპონსორების მოძიება.

აღსანიშნავია, რომ 1980 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში 36 ტურნირი იმართებოდა, ახლა კი ეს რიცხვი 13-მდე დავიდა. 2014 წელს კი აშშ-ში 12 ტურნირი ჩატარდება, რადგან სან ხოსეს ტურნირიც გაიყიდა და ის ბრაზილიაში გადაიტანეს.

● ჩოგბურთი. ATP. შემაჯამებელი ტურნირი

# ჯერ როჯერი, შემდეგ ნოვაკი

## მსოფლიოს პირველი ორი ჩოგანი ნახევარფინალში ითამაშებს


როჯერ ფედერერი

ლონდონის წლის შემაჯამებელ ტურნირზე მეორე ტურის მატჩები გაიმართა B ჯგუფში და გამოვლინდა პირველი ნახევარფინალისტი.

პირველები კორტზე **როჯერ ფედერერი** და **დავიდ ფერერი** გავიდნენ, რომლებმაც პირველ ტურში გამარჯვებები მოიპოვეს. ფერერი აღნიშნულ შეხვედრას 11-მატჩიანი მოგებათა სერიით შეხვდა - ესპანელმა ბოლო ორი კვირის განმავლობაში მოიგო ვალენსიას ტურნირი და პარიზის მასტერსი. ეს მის კარგ ფორმაზე მეტყველებდა, თუმცა იყო საშიშროება, რომ ასეთი მჭიდრო გრაფიკის გამო, ფერერისთვის, შესაძლოა, დაღლილობას შეეშალა ხელი. გარდა ამისა, ურთიერთშეხვედრებში ფედერერი 13:0-ს უგებდა ესპანელს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ წელს დავიდი ტურის ლიდერია ტიტულების რაოდენობით (7).

საბოლოოდ, ესპანელმა ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაუწია ტურნირის მოქმედ ჩემპიონს. როჯერმა კარგად დაიწყო მატჩი და პირველ სეტში საწყისი სამი გეიმი აიღო, მაგრამ შემდეგ ესპანელმა გამოასწორა თამაში. ის ზედიზედ იღებდა ბრეიკ-პოინტებს და საბოლოოდ, მერვე ცდაზე შეძლო მეტოქის მოწოდების მოგება. როცა ყველას ეგონა, რომ სეტის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდებოდა, როჯერმა ბოლოსკენ მოუმატა და მეორე ბრეიკით სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:4.

მეორე სეტშიც ფერერს მეტოქეზე ორით მეტი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ამ პარტიაში ბრეიკი არ დაფიქსირებულა და გათამაშდა ტაი-ბრეიკი, რომელიც უკეთ როჯერმა ჩაატარა და მე-13 გეიმი 7:5 მოიგო.

■ ■ ■

დღის მეორე მატჩში ბრძოლა არ შედგა - არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროსა** და სერბ **იანკო ტიპსარევიჩს** შორის მატჩში ირკვეოდა, ვინ გააგრძელებდა ბრძოლას ნახევარფინალის საგზურისთვის. ამ ჩოგბურთელებმა პირველი ტურის მატჩები დათმეს და გუშინდელ შეხვედრაში წაგებული კარგავდა ბრძოლის გაგრძელების შანსს.

აქ არგენტინელი ურთიერთშეხვედრებში 3:0-ს იგებდა, მაგრამ დელ პოტრო სხვა ფაქტორის გამო მიიჩნეოდა ფავორიტად. საქმე ისაა, რომ იანკომ ვერ შეძლო ლონდონის ტურნირისთვის ნორმალური ფორმის აკრეფა, თუმცა ამ შეხვედრაში ხუან მარტინის ასეთ დიდ უპირატესობას მაინც არავინ ელოდა. ტიპსარევიჩს პრაქტიკულად არაფერი გამოსდიოდა - ცუდად აწვდიდა და მარტივ სიტუაციაში შეცდომებს უშვებდა. მხოლოდ 0:4-ზე და 0:40-ზე სერბმა უცებ მოუმატა და რამდენიმე კარგი დარტყმა შეასრულა, მაგრამ სეტის „მშრალი" ანგარიშით წაგებას ვერ გადაურჩა.

იანკოს შეეძლო წაეგო ზედიზედ მეშვიდე გეიმი, მაგრამ გადაარჩინა თავისი მოწოდება. საერთო ჯამში, მთელი მეორე პარტიის განმავლობაში ტიპსარევიჩი ცუდად არ გამოიყურებოდა, მაგრამ მეხუთე გეიმში დელ პოტრომ მაინც მოახერხა ბრეიკის გაკეთება. ამის შემდეგ ჩოგბურთელებმა მაყურებელს რამდენიმე ლამაზი გათამაშება აჩუქეს, მაგრამ მატჩის შედეგთან დაკავშირებით სერიოზული ინტრიგა არ ყოფილა - ხუან-მარტინმა დამაჯერებლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე და მეტოქეს ნახევარფინალში გასვლის თეორიული შანსიც მოუსპო.

**B ჯგუფი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-დავიდ ფერერი (ესპ, 4) 6:4, 7:6(5); **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 8) 6:0, 6:4.

■ ■ ■

გუშინ კი დასრულდა ჯგუფური ეტაპი A ჯგუფში. გვიან გაიმართა მატჩი **ენდი მიურეისა** და **ჟო-ვილფრიდ ცონგას** შორის, მანამდე კი კორტზე გავიდნენ მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და ჩეხი **ტომაშ ბერდიხი**. ამ მატჩის შემდეგ, ჯოკოვიჩმა პირველი ადგილი გაინაღდა და ნახევარფინალში გავიდა.

სერბმა ჩოგბურთელმა დამაჯერებლად მოიგო პირველი სეტი, მეორე პარტიაში კი ტაი-ბრეიკი გაიმართა, რომელშიც ჩეხმა სამმაგი სეტბოლი მოიპოვა, მაგრამ ჯოკოვიჩმა ზედიზედ ხუთი ქულა აიღო და ორ სეტში გაიმარჯვა - 6:2, 7:6(6).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608